# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№8 (74) დეკემბერი, 2019 წელი ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

ლევან ბერძენიშვილი

1970
2019

& იულია ტიმოფეევა

**პოეზია**
რაულ ჩილაჩავა
დიმიტრი წიკლაური
ზაალ ჯალაღონია
ამბროსი მელქაძე
ნატალი დარასელია
გიორგი ჩუთლაშვილი
იაგო ქებურია

**პროზა**
კობა ცხაკაია

**ინტერვიუ**
იენ უოტსონის ბუნებრივი ინტელექტი

**კრიტიკა, ესეისტიკა**
ლელა კოდალაშვილი – ვირჯინია ვულფზე
ჯეიმს ვუდი – ვ.ს. ნაიპოლზე

**ახალი თარგმანი**
ესქილე – მიჯაჭვული პრომეთევსი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

საუნჯე
PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

ტირაჟი გამოდის საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

მწერალთა
სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

## ნომრის ავტორები

*ლევან ბერძენიშვილი*

ელისო მეტრეველი – ლევან ბერძენიშვილის ათასი ცხოვრება – 3
ლევან ბერძენიშვილი – გალაკტიონის „თოელი“ – 12
ესქილე – მიჯაჭვული პრომეთევსი (ძველბერძნულიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა) – 16

*იულია ტიმოფეევა*

*ბიოგრაფია* – 32
იულია ტიმოფეევა: ბელარუსული ჩემთვის მეტადაა გახსნილი ექსპერიმენტებისთვის (ინტერვიუ) – 33
იულია ტიმოფეევა – ლექსები (თარგმნა შოთა იათაშვილმა) – 36

2

## პოეზია

რაულ ჩილაჩავა – 43
დიმიტრი ნიკლაური – 48
ზაალ ჯალაღონია – 51
ამბროსი მელქაძე – 54
ნატალი დარასელია – 57
გიორგი ჩუთლაშვილი – 60
იაგო ქებურია – 63

3

## პროზა

კობა ცხაკაია – პჰირ ბჰი დილ ჰაი ჰინდუსტანი – 66

**ინტერვიუ**
იენ უოტსონის ბუნებრივი ინტელექტი (ზაზა კოშკაძის ინტერვიუ) – 71

**კრიტიკა, ესეისტიკა**
ლელა კოდალაშვილი – „ორლანდო“ – ნამდვილი სახის, ნამდვილი სქესის ძიება – 77
ჯეიმს ვუდი – ნაიპოლის ორმაგი ხედვები (ინგლისურიდან თარგმნა ნათია მეჩითიშვილმა) – 79

4

5

პროექტის ავტორი:
ვაჟა წონკოლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხველელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ლევან ბერძენიშვილი
რაულ ჩილაჩავა
დიმიტრი წიკლაური
ზაალ ჯალალონია
ამბროსი მელქაძე
ნატალი დარასელია
გიორგი ჩუთლაშვილი
იაგო ქეზურია
ზაზა კოშკაძე
ლელა კოდალაშვილი
კობა ცხაკაია
ნათია მეჩითიშვილი

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

# ლევან ბერძენიშვილის ათასი ცხოვრება



ელისო მეტრეველი

„ყოველთვის, როდესაც მორდოვეთი, ტენგუშევოს რაიონის დასახლება ბარაშევო და პოლიტიკური ბანაკი ЖХ-385/3-5 მახსენდება, ავტომატურად მეცხადება ერთი და იგივე ხატი, როგორც მიქელანჯელო ანტონიონის, ან რომელიმე სხვა ძალიან კარგი რეჟისორის მიერ უძრავი კამერით გადაღებული კადრი: ორნი ვდგავართ აკრძალულ ზონასთან, საპატიმრო ქურქები გვაცვია, თითქმის ფეხებით მავთულხლართს, პირდაპირ აღმართული კოშკიდან შინაგანი ჯარების ყურადღებიანი ჯარისკაცი და სახელგანთქმული ავტომატის, კალაშნიკოვის ლულა გვიმზერს, ცივა, თოვს, ბნელა...“ – *არ ვიცი, ანტონიონის ხსენებამ იმოქმედა თუ ზოლებიანმა ქურთუკმა, მხოლოდ ამ სიტყვების წაკითხვისას წარმოვიდგინე პირველად ამ ტექსტის ავტორი საპატიმროში, სიცივეში, გულაგში – ხმას და გამოსახულებას რომ გაასწორებ სამონტაჟოში, ისე „გასწორდა“ ყველაფერი.*

*ამის შემდეგ, როცა ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექციებსა და პოდკასტებს ვუსმენ, როცა ლიტერატურის შესახებ სტატიებსა და ბლოგებს ვკითხულობ, პოლიტიკასა თუ პროტესტზე მის გამოსვლებს ვუყურებ, სულ ვხედავ იმ ზოლებიან ქურთუკს და მავთულხლართებს, სიბნელეს, სიცივეს, კალაშნიკოვის ლულას...*

*ასეთია ლევან ბერძენიშვილის „წმინდა ნყვდიადი“ – წმინდა დოკუმენტური, წმინდა ავტობიოგრაფიული წიგნი, იმდენი ამბით და სიცოცხლით სავსე, რომ თითქოს ხელიდან გისხლტება ყველა ის უბედურება, რასაც გულაგი იტევდა. თუმცა სინამდვილეში არაფერი გისხლტება და მხედველობიდანაც არაფერი გეპარება, არც „შიზოში“ გამოკეტილი კვირები, არც შიმშილი და ტოტალური უსამართლობა და არც ბარაშევოს ზონის სხვა სისასტიკე თუ სიმახინჯე.*

*საქართველოშიც რომ გადაიღებენ დიდ კინოს, ნამდვილ კინოს დამოუკიდებლობისთვის მრავალწლიან ბრძოლაზე, პოლიტპატიმრებზე, გულაგზე, იმედია, ამას ნაწილობრივ მაინც „წმინდა ნყვდიადის“ მიხედვით გააკეთებენ, რადგან დღემდე ამაზე ნამდვილი, ამაზე მართალი, ამაზე ყველა თვალსაზრისით ადამიანური და თან სიყვარულით, იმედით სავსე ტექსტი არ დაწერილა, მით უმეტეს, არ დაუწერია ქართველ პოლიტპატიმარს.*

*მთელი ცხოვრება როგორ კარგადაც უნდა „დამალულიყო“ თარგმანებში, „წმინდა ნყვდიადი“ დიდი ოსტატობით დაწერილი დიდი წიგნია. ორი მოწვევის პარლამენტარი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, არისტოფანეს, ესქილეს, ევრიპიდეს, ჰომეროსის და სხვათა ბრწყინვალე მთარგმნელი, პროფესორი ლევან ბერძენიშვილი ახალ წიგნზე მუშაობს და ეს ლაპარაკიც, რაღაც*

ნაწილი მაინც, ამ წიგნისთვის რამდენიმე ამბის „ზეპირმეტყველებით გამოცდაა“...

**ჰო, „წმინდა ნყვდიადი“ სხვა წიგნებს არ ჰგავს.**

„წაკითხული მაქვს უამრავი რამ გულაგზე, ციხესა და უბედურებაზე და ვიცი ყველას ერთი ნაკლი – ყველა ტირის. ერთმა, იტალიელმა მწერალმა, პრიმო ლევიმ დაწერა ავტობიოგრაფიული რომანი, „თუ ეს ადამიანია“ და მას არ აქვს ეს ნაკლი. იქ იმდენი იუმორია, რამდენიც ჩემთან არ არის, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მხიარული წიგნი დამეწერა ციხეზე. არ ვიცი, როგორ გამოვიდა, ასე მინდოდა...“

**ბატონო ლევან, „წმინდა ნყვდიადი“ არის ავტობიოგრაფია, დოკუმენტური პროზა, თუმცა ამ წიგნზე მხატვრული შეიძლება ძალიან ცოტა რამ წამიკითხავს. იქ კი წერია სათაურის ამბავიც, „ვალზეც“ და ამ 15 კაცის „დაძახებაზეც“, მაგრამ მაინც როდის და როგორ აეწყო ეს ყველაფერი?**

„არაფერი ისეთი მხატვრული არ არის, როგორიც ავტობიოგრაფიები, იმიტომ, რომ არსად იმდენი გამონაგონი არ არის, რამდენიც ავტობიოგრაფიებშიო – ფრანგებმა თქვეს ადრე. მე არ ვფიქრობდი ამ წიგნზე. არაფრის წერას არ ვაპირებდი. მით უმეტეს, წიგნის. მოხდა ასეთი რამ: ვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვმუშაობ ძალიან სერიოზულ ორგანიზაციაში, რომელსაც ჰქვია National Endowment for Demmocracy, სადაც ვარ Senior Fellow – უფროსი მეცნიერ-მუშაკი. მაქვს დიდი ვალდებულებები, მაგრამ რაღაცებს ამერიკელები სხვანაირად უყურებენ, ჩვენ სხვანაირად. ჩვენ სხვანაირად გარკვეული ხალხი ვართ, ყოფილი კომუნიატური სისტემის ხალხი – მოკლე გზებს ვპოულობთ ხოლმე. მალე ვამთავრებდი საქმეს და ბევრი თავისუფალი დრო მრჩებოდა. აღმოვაჩინე, რომ დეფიციტი მაქვს პირუკუ, ანუ – დრო მაქვს ბევრი და არ მაქვს წიგნები. აქ როცა ვარ, გამოვიღებ ბერძნულს და ვიწყებ თარგმნას. 2009 წელია და ინტერნეტიც სხვანაირია, შეზღუდულია, ახლა რომ ყრია ყველაფერი, ისე არ არის. ამასობაში ჟურნალმა „ცხელმა შოკოლადმა“ შემომთავაზა, რამეს თუ დაგვიწერ, აი, ამ ზომისას, თითო ნომერში დაგიბეჭდავთო. მაშინ მოვიფიქრე და დავიწყე წერა. ასე რომ, ეს ამბავი, ვალი რომ მაქვს და რაღაც, ეს არის უკანა რიცხვით დაწერილი მხატვრული გამართლება იმისა, რომ ალბათ, ვალი მქონდა“.

**ანუ საავადმყოფოში არ მოხვედრილხართ?**

„საავადმყოფოში როგორ არ მოვხვდი. საავადმყოფოში მოვხვდი. და იქ არკადიზე რომ დავწერე, იმან არაფერს არ დაუძახა. მართლა მქონდა მაგ ერთი კაცის ვალი. დანარჩენების ვალს მაინცდამაინც ვერ ვგრძნობდი. იმან იმას დაუძახა, ეგ არ მომხდარა. ეს „არკადი“ ხომ მქონდა, ავიღე და გავუგზავნე ჟურნალს. ასეთები კიდევ გამოგვიგზავნეო. მეც დავიწყე. მარსელ პრუსტს დავესესხე ძალიან უკულმართულად. პრუსტი ამბობს, სუნი, გემო აღძრავს მოგონებებს, მაგრამ ხელოვნურად არ უნდა სცადო მისი გამოწვევაო. მე არ დავუჯერე მაგ ნაწილში – რომ არ უნდა სცადო. ვფიქრობ, ეს ზონის ამბები – ზოგიერთი მახსოვს, ზოგიერთი არ მახსოვს, გახსენება მინდა. შემიძლია, დათოს დავურეკო, იქნებ რამე ახსოვდეს, მაგრამ ძირითადად დათოს გათავისუფლების შემდეგი ხალხია... და უცებ მომაფიქრდა, რომ არის ზონის გახსენების უებარი საშუალება: ის, რაც ზონაში იყო და მერე არ ყოფილა – ჩეფირი! გავაკეთე. დავლიე. ვენაცვალე მარსელ პრუსტს, კარგი მწერალია. დავლიე თუ არა, მთელი ზონა განათდა, ყველაფერი გამახსენდა! ისეთი რამეები გამახსენდა, რომლებიც არაფრით არ მეგონა, თუ მახსოვდა. ვწერე და ვწერე, ვწერე და ვწერე და ვწერე, ვერ გამაჩერა ვერავინ. წიგნი, რაც დავბეჭდე, იმის მეათედია, რაც დავწერე. ბევრი დავწერე. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყველაფრის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა“.

**არც ახლა?**

„არც ახლა. იმიტომ, რომ არის რაღაცა, ისეთი... ერთხელ მერაბ მამარდაშვილმა თქვა, რომ არის ისეთი სიმართლე, რომ თქმის მომენტში გრძნობ, ვერ აღიქვამენ, როგორც სიმართლეს და არჩევ სათქმელის შეფერადებას ან ტყუილის თქმასო...“

**ან ართქმას?**

„ან ართქმას. ძალიან ბევრი რამაა ასეთი. მაშინ არ ვფიქრობდი, რომ ეს ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე და ასე შემდეგ... მაგრამ ქართულად ხომ იბეჭდებოდა. ჯონი ლაშქარაშვილზე რომ დავწერე, ხომ წაიკითხავდა? რაც დაიბეჭდა, ისიც ეწყინა და წარმოგიდგენიათ, მე რაც მეწერა, ის რომ დაბეჭდილიყო, სულ გაგიჟდებოდა. შეიძლება, არ უნდოდა, მის წარსულზე ყოფილიყო, თუმცა კი დასამალი რა იყო. ისე, ჩემი წიგნის მკითხველები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე ის პერსონაჟები, რომლებსაც, ჩემი ჭკუით, ძეგლი დავუდგი. თუმცა არიან მადლიერებიც. მაგალითად, ვადიმ იანკოვი მადლიერი დამრჩა. ერთი-ორი ამბავი გავასწორე, იმიტომ, რომ დათომ მითხრა, მეტისმეტად მკაცრია ვიღაცის მიმართო და სხვა... მე თვითონაც მქონდა შინაგანი ცენზურა ჩართული, ამიტომ გამოვიდა ის, რაც გამოვიდა, დაიბეჭდა ამ ჟურნალში და ამოიწურა. წიგნის გამოცემა შემომთავაზა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“. ამიტომ არის, რომ პური უნდა გამოაცხოს ხაბა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმა. გამომცემელმა უცებ დაინახა და „ჩაავლო". კიდევ კარგი, ასე მოხდა, ყველაფერს თავისი ამბავი აქვს. როდესაც დავაწყვეთ ერთად, ჩავხედე და მივხვდი: არ დამთავრდა წიგნი. წიგნმა მოითხოვა ცვლილებები და მაშინ წავიდა ეს პროცესიც. დათოს თავი დაემატა, ხოლო ჩემს თავზე არაფერი მეწერა".



## „პეპი"

„გამოვიდა წიგნი და მეუბნება ზურაბ ქარუმიძე, ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი კაცი, რომ ერთი მწერალი ქალია კანადაში, გიყდება შენს წიგნზე და დაუკავშირდიო. ეს აღმოჩნდა ელენე ბოჭორიშვილი, „პეპი". რუსულენოვანი, კანადაში მცხოვრები ქართველი მწერალი, ცნობილი მთელ მსოფლიოში. დაეუკავშირდი პეპის. დავმეგობრდით, ჯერ ინტერნეტმეგობრობა აგვიტყდა და რომ ჩამოვიდა და გავიცანი, მერე სულ გადავირიე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მთელი ცხოვრება მეგობრები ვართ. პეპი მეუბნება, რომ ეს უნდა გამოქვეყნდეს მთელ მსოფლიოში. მე ცხოვრებაში არ მიფიქრია ამაზე. პეპიმ თქვა, მე მყავს აგენტი, დაგაკავშირებ მასთანო და დამაკავშირა. კიდევ ერთი მეგობარი ვიპოვე ამ სიბერეში. საერთოდ, მაგრად გამიმართლა ქალებში. სიბერეში ვიპოვე თამარ კორძაია და ხათუნა სამნიძე – ჩემი მეგობრები არიან, თან – თანაპარტიელები, ძალიან ახლო მეგობრები. სიბერეში ვიპოვე პეპი და სიბერეში პეპიმ მაპოვნინა გალინა დურსტოფი, ჩემი აგენტი, რომელიც დღეს ჩემი მეგობარია".

## თარგმანი

„რუსულად თარგმნა აღმოჩნდა რთული, რამდენიმემ სცადა, არ გამოვიდა. ბოლოს პეპიმ მითხრა, შენ თარგმნეო. სინამდვილეში თარგმნა თვითონ, მე ვკითხულობდი და ვაზუსტებდი, ზოგჯერ რაღაცას რომ დაწერ, იცი, რისი თქმაც გინდოდა, მაგრამ მკითხველს სხვაგვარად ესმის და ეს თარგმანის დროს კარგად ჩანს. მოკლედ, რამდენიმე ასეთი ადგილი გასწორდა და უცებ პეპიმ აღმოაჩინა, რომ ამ წიგნს აქვს სტრუქტურა. ეს ხომ არასდროს არ ვიცოდი. აღმოჩნდა, რომ ყველა თავს აქვს რაღაც ერთნაირი სქემა და თუ რამე იყო დარღვეული, ისიც გასწორდა. მოიკლა თავი და არაფრით არ მიაწერა თავისი სახელი და გვარი. აწერია, რომ ჩემი თარგმანია. ამერიკელებმა სცადეს ქართულიდან თარგმნა, არაფერი გამოვიდა. რაკი ლევან ბერძენიშვილი ეწერა, რუსული ჩაითვალა ავტორიზებულ, ორიგინალის ტოლფასად და დაიწყეს რუსულიდან თარგმნა. ამას მიკეთებდა თურმე პეპი, ასეთი გულშემატკივარი აღმოჩნდა. თითქოს უნდა გიკვირდეს, მაგრამ ქართველია, ქართველებს გვაქვს ხანდახან ასეთი ამბები".

## გამოხმაურება

„ძალიან ლამაზი გამოცემაა რუსული, მაგრამ არ წაიკითხა არავინ, იმიტომ, რომ რუსეთში თურმე ანტისაბჭოთა ლიტერატურა აქტუალური არ არის. თან გამოცემული არ იყო, რომ მეორე დღეს იდო „ფლიბუსტაზე" და ვისაც აინტერესებდა, უფასოდ წაათრია იქიდან. წიგნის დიდი ნაწილი შარშან, ფრანკფურტის ბაზრობაზე ჩამოიტანა გამომცემლობამ და იქვე გაყიდა. მოკლედ, რუსული რომ გამოჩნდა, მერე ჩაჯდა ჩემი აგენტი და გააკეთებინა გერმანული, იტალიური, ინგლისური, რომელიც გამოიცა ამერიკაშიც და დიდ ბრიტანეთშიც. ახლა გამოდის უნგრულ, სერბულ, რუმინულ და ფრანგულ ენებზე. საქართველოშიც კი არ ყოფილა ცუდი რეცენზია. მე ვიცი ხალხი, რომელსაც უბრალოდ, არ ვუყვარვარ, ვიცი ხალხი, რომელიც ვერ მიტანს და ვეზიზღები. არ ვიცი, გამოეპარათ თუ რა, საქართველოში ამ წიგნმა მომიტანა განსაკუთრებული სიხარული. როცა ეს გამოდიოდა, სერიოზულ დაპირისპირებაში ვიყავი „ნაციონალურ მოძრაობასთან". პირველი კეთილი სიტყვა წიგნზე გავიგონე „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებისგან. ჯერ იყო და გიგი უგულავამ შემომითვალა ციხიდან, წავიკითხეო, მერე დავით კირკიტაძემ".

## სათაური

„სათაური სხვადასხვა ენაზე გამოვიდა ძალიან მაგარი. რუსულადაც ხომ კარგია: Святая Тьма. ინგლისურად – Sacred Darkness, იტალიურად – la Santa Tenebra – რომ დავინახე, ჩემი თავი, მე თვითონ მომეწონა. ქართულ გამოცემაში ქვესათაური არ გვქონდა. პეპიმ შემომთავაზა – **Последние дни Гулага**, რომელიც მომაკვდინებელი სათაურია. 90-იანი წლების რუსეთი რომ ყოფილიყო. მაშინ მილიონები გამოიცემოდა, ნაღდად ვიცი, დავაგვიანე. თუმცა არ ვთვლი, რომ მე თვითონ დავაგვიანე წიგნის ამბავში. მაშინ



რომ დამეწერა, ტკივილი იმდენად დიდია, იუმორის თავი არ მექნებოდა. ამ წიგნში რაც არის აღწერილი, არაფერი არ არის გამოგონილი, ეს ყველაფერი ხდებოდა, მაგრამ გადაფარული იყო შიშშილით, გამნარებით, ისეთი სიმნარეები მაქვს ნანახი, რომელიც არც დავწერე. არ დავწერე უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ შეშინებული ვიყავი – ჩემიანებს არ სწყენოდათ. არის ისეთი რამეები, რომელიც ჩემმა ცოლმა არ უნდა წაიკითხოს, არადა, ჩემი ცოლი არის ჩემი პირველი მკითხველი, რედაქტორი, მაგას ვენდობი. ჩემი წიგნების ნანილს, რომელიც მას არ წაუკითხავს, როგორც რედაქტორს, ეტყობა კიდეც ეს..."

**ერთხელ თქვით, რომ წერა არ გიყვართ. რატომ?**

„წერა არ მიყვარს, ჰო, მე მიყვარს ლაპარაკი. ეს ქართველების ამბავია. სოკრატე არ წერდა პრინციპულად. ჩემი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი, ირაკლი შენგელაია მადარებდა სოკრატეს გარეგნულად. მისი ბიუსტი ხომ არსებობს. ცხვირით, რაღაცით გავხარო. მერაბ მამარდაშვილსაც ქართველ სოკრატეს ეძახდნენ. ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, არ წერდა, პედაგოგი იყო. მეც შინაგანად ვარ პედაგოგი, დედაჩემიც პედაგოგი იყო – ძალიან მაგარი ქალი. ჩემს სასამართლოზე ისეთი სიტყვით გამოვიდა, მოსამართლემ უთხრა, თუ სამართალია, ამათ მაგივრად ახლა თქვენ უნდა გიჭერდეთო. რა თქმა უნდა, როგორც ყველამ, ბავშვობაში დავიწყე წერა. ახლაც მახსოვს, როგორ იწყებოდა ჩემი მოთხრობა: „გემის ქვინტზე იდგა გოგონა..." ეს იპოვა დედაჩემმა, დამახია თავზე, ამიკრძალა წერა. მითხრა, ხარ უნიჭო, არ გესმისო, და მე დავიჯერე. მერე დიდი ხნის განმავლობაში დავიმალე თარგმანში. ახლაც, ხუთი წუთი თუ მიჩნდება, ეგრევე რაღაცას ვთარგმნი. მეზიზღება აკადემიური წერა, თუმცა ორმოცამდე სამეცნიერო ნაშრომში მაქვს, პროფესორი ისე ვერ გავხდებოდი. რაც შეეხება ლიტერატურაზე ჩემს წიგნებს, კაცი მყავს, გიორგი ქეიშვილი, რომელ- [illegible] -იც შიფრავს ჩემს რადიოგადაცემებს, ლექციებს, [illegible] ვკითხულობ, ვასწორებ. მაგრამ ყველა ამ წიგნს აქვს ნაკლი – ის არ არის დაწერილი, როგორც წიგნი... მქონდა გრძნობა, რომ მე არ უნდა ვწერო, იმიტომ, რომ „იმან" ამიკრძალა, ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა, ვინც მყავდა. მერე ციხეში მოვხვდი და ამ ყველაფერზე რომ ვყვებოდი, ტიპები მეხვეწებოდნენ, დაწერე, დაწერეო. დავწერე და მივხვდი, რომ წერა შეიძლება".

**ამ აღიარებამ, თარგმანებმა, ყველაფერმა – არ გაგიჩინათ გაგრძელების სურვილი?**

„კი, კი, გამიჩინა და უკვე ვწერ".

**ასევე დოკუმენტურს?**

„ასევე დოკუმენტურს. წინასწარ დავარქვი „გულაგამდე და გულაგის შემდეგ" – ეს იქნება ჩემი ცხოვრება დაპატიმრებამდე და გათავისუფლების შემდეგ".

**გათავისუფლებიდან დღემდე თუ რაღაც პერიოდამდე?**

„რაღაც პერიოდამდე მივალ, ალბათ. არ ვიცი, სად გავჩერდები. ბევრია. ბევრი რამაა საინტერესო. იმდენი რაღაც მაქვს მოსაყოლი. მე ვიცი, საიდან მაქვს ეს, რატომ მიყვარს ბევრი ლაპარაკი – ყველა მყავდა მთხრობელი. მამაჩემი იყო ბრწყინვალე მთხრობელი, მაგრამ სულ სხვა სტილში. ფანტაზია არა, მაგრამ ამბების მაგარი მოყოლა იცოდა. ბებია მყავდა, წარმოსახვა ჰქონდა საოცარი. მე სულ ვამბობ, რომ წარმოსახვას ავითარებს წიგნები. ბებიაჩემს ერთი წიგნი არ ექნებოდა წაკითხული, მაგრამ დაიბადა წარმოსახვის ფანტასტიკური უნარით. პირველი გილდიის ვაჭრების ოჯახიდან იყო. ბაბუაჩემმა საერთოდაც მაგიტომ მოიყვანა ცოლად, მაგრამ იმათ არაფერი არ მისცეს. სასტუმრო „რუსთავი" რომ იყო და მერე კონტროლის პალატა, ის შენობა მათ ეკუთვნოდათ. მამაჩემი იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ყოველ შაბათ-კვირას გარბოდა ჩოხატაურში მიწის საჩიჩქნად. დედამისი ამბობდა, არ მჯერა, რომ ეს არის „სუდია", ვარიანტი არაა, ისე იქცევაო".

**ბავშვობიდან დაიწყებთ თუ სტუდენტობიდან? „რესპუბლიკურ პარტიაზეც" დაწერთ?..**

„რამდენიმე ეპიზოდი მინდა ბავშვობიდანაც. ერთი-ორი სტატია მაქვს დაწერილი, წონაში რომ დავიკელი, მაგ დროზე. მენანება, არ მინდა, დაიკარგოს, იმიტომ, რომ ჩემთვის ძვირფასია ჩემი სიდედრის გამო. ვაღრმავებ ახლა მაგ მიმართულებით. ჩემი სიდედრი წელს გარდაიცვალა. ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა..."

**და თქვენი დიდი მხარდამჭერიც იყო.**

„მხარდამჭერიც და ბოლო წლებში მხოლოდ მე ვუყვარდი. ძალიან მაგარი ქალი იყო. სასამართლოზე სიტყვით გამოვიდა: „ესაა თქვენი გუმანიზმი?.." მახსოვს, მოსამართლე შოკში ჩავარდა, რა გჭირთ ამ ქალებსო, თუ დედა, თუ სიდედრიო. გადაირია. ამ კაცს დახვრეტილი ჰყავდა მთელი საქართველო. ეს იყო თვითმფრინავის საქმის მოსამართლე, გერსამია. ჩვენს განაჩენზე ხმა აუკანკალდა. თვითონ ეს სასამართლო პროცესი ძაან მაგარი იყო. ვწერ ამაზეც. ისეთი მაგარი ამბები ხდებოდა. სხვათა შორის, ადრე ამაზე არ მიფიქრია. სულ ციხე, ციხე და ის, რაც მანამდე იყო, არ ჰქონდა მნიშვნელობა, და ახლა მაგაზე დაწერას ვაპირებ. სულ ვთარგმნი და ზაფხულში უფრო ვიცლი, ლექციები რომ არ მაქვს.

უცებ ვიგრძენი, რომ უნდა გავაგრძელო „წმინდა წყვდიადი".

დავიწყე რაღაცების ჩაწერა და მეორე დღეს მომდის პეპის წერილი, შენ უნდა გააგრძელო გულაგის წერა, ეგ გაყიდის პირველ წიგნსაც და თავის თავსაცო. მივწერე, შენ შეიძლება არ დაიჯერო, მაგრამ გუშინ დავიწყე-მეთქი. კომპიუტერში ვწერ, თან ახლა ისეთი კომპიუტერი მაქვს, მე მგონი, თვითონ წერს. მთელი ცხოვრება ტექნიკის ფანი ვარ. მაგის გამო ვსწავლობდი გეპეიში. მათემატიკა მიყვარდა. ავტომატიკა და მექანიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მეორე კურსზე დავანებე თავი და უნივერსიტეტში ჩავაბარე".

## მათემატიკა

„ისეთი ვირული გარემოცვა იყო „გეპეიში"... უნდა დავწერო ამაზე ახალ წიგნში აუცილებლად. მათემატიკაში ბავშვობიდან არა მიშავდა. მეზობლად ცხოვრობდა დიდი მათემატიკოსი, თბილისელი კაცი, რომელსაც აკრძალული ჰქონდა დედაქალაქში ცხოვრება. ამ კაცმა მოსწავლეები აიყვანა და ვეხმარებოდი. ჯერ 50 მანეთი მქონდა ხელფასი, მერე – 100. მათემატიკაში ძალიან გავძლიერდი. საბჭოთა კავშირის ოლიმპიადა მაქვს მოგებული, მაგრამ საფრანგეთში არ გამიშვეს. რუსი გაუშვეს, რომელმაც წააგო. ის ამოცანები მერე კოლმოგოროვმა ჩამოიტანა და მე ამოვხსენი, საათი მაჩუქა. დიდი კაცი იყო ანდრეი კოლმოგოროვი. მაგან მასწავლა ერთი დიდი სიბრძნე – მითხრა, არ დაიმახსოვრო ფორმულები, ყველაფერი, რაც წიგნში წერია ამოიგდე თავიდან. დაიმახსოვრე მარტო ის, რაც არსად არ წერია და უნიკალურია. მანამდე ყველაფერს ვიმახსოვრებდი. ამან ძალიან გამომცვალა".

## უნივერსიტეტი

„ვსწავლობ გეპეიში და არ მაინტერესებს ლექცია. მათემატიკას მასწავლის რუხაძე. ჩუმად ვკითხულობ წიგნს. ეს ახლაც მახასიათებს, სადმე მოსაწყენ ადგილას თუ ვარ, ჩუმად ვკითხულობ ხოლმე. დამადგა თავზე და ამართვა წიგნი. ასწია ზევით, ასი კაცი მაინც არის აუდიტორიაში: „წიგნს კითხულობს". ატყდა სიცილი. გადაწყვიტა, ბოლო ლურსმანი დააჭედოს ჩემს კუბოს, გადაშალა და გაგიჟდა თვითონაც: „ლექსებს კითხულობს!" მთლად ლექსები არ იყო, მეტერლინკის „ლურჯ ფრინველს" ვკითხულობდი, მაგრამ გადაირია ხალხი, დაიხოცა სიცილით. ამის მერე ჩხუბი მომიხდა უფროსკურსელებთან. გაზეთი გავაკეთე და ერთ-ერთმა, კამათში რომ ვერ მომიგო, ცოლი მოიყვანა, ამას გაეცი პასუხი, ფილოლოგიაო. იმან მითხრა რაღაცაზე, მასე არ უთქვამს რისმაგსო. მე ვკითხე, რისმაგი რა არის-მეთქი. რისმაგი არის ადამიანიო და წავედი უნივერსიტეტში რისმაგის სანახავად. წავედი უნივერსიტეტში გეპეის მესამე კორპუსიდან, გაჯერებული ოფლის, შარდის, კაცების და სიბინძურის სუნიდან, შევდივარ მარმარილოს პირველ კორპუსში, და უცებ – შანელის სუნი, გოგოები, და ვიფიქრე, ასეთი იდიოტი როგორ უნდა იყო, გეპეიში რამ წაგიყვანა... მთელი ცხოვრება ბედნიერი ვიყავი მხოლოდ ქალთა გარემოცვაში. ჩემი სკოლა ბათუმში ყოფილი ქალთა სკოლა იყო, ყველა მასწავლებელი ქალი იყო. ერთი კაცი შემოვიდა და ვერ აიტანეს. მერე უნივერსიტეტში ვიყავი ბედნიერი, ბიბლიოთეკის დირექტორი ვიყავი ბედნიერი, პარლამენტი და ციხე არ იყო მარტო კარგი, განსაკუთრებით პარლამენტი, საშინელება იყო".

## „საბა"

„წმინდა წყვდიადში" „საბა" ვერ ავიღე, ეს მეწყინა. სხვათაშორის, ეგ ამბავიც აუცილებლად აღმოჩნდება ახალ წიგნში. მაშინ მაჯობა პაატა ქურდაძემ. ვიცი მთელი ისტორია და ამიტომ შევეგუე მაგ ამბავს, გადავიტანე. თრომბის ამბავი მქონდა, თრომბი დამემართა. მოვიდა ერთი სასწრაფო, ეგრევე მორფი გამიკეთეს, არ მიშველა. დაიწყეს ლოცვა. გავაგდე ესენი. გამოიძახეს მეორე, იმათმაც ლოცვა დაიწყეს და იმათაც გამიკეთეს რაღაცა, გამჭყიპეს, ვერ მიჩერებენ ამ ტკივილს. ჩემმა რძალმა, რომელიც ექიმია, მოიყვანა ერთი თავზეხელაღებული კაცი, სვანი ექიმი, რომელმაც დააძრო ჯიბიდან ლანცეტი, გამიჭრა ფეხი, ჩავარდა ხელებით შიგნით, მოგლიჯა რაღაცები, ჭკუაზე არ ვარ, ისეთი ტკივილი მაქვს, ეგ საერთოდ არ გამიგია. ამის შემდეგ ჩამდეს მანქანაში და წამიყვანეს საავადმყოფოში. უცებ, პოპ და გაქრა ტკივილი. ოთხი ნარკოტიკი მქონდა მიღებული და ყველა ამოქმედდა. სამი დღე ვიყავი ეიფორიაში. საავადმყოფოში ვწევარ და ვიცი, რომ მაძლევენ „საბას", მითხრეს. გამოვიდა ტელევიზორში მანანა ლარიბაშვილი, ჩემი ჯგუფელი. ვიფიქრე, დამცინის, მეხუმრება, ამიტყდა სიცილი. შემოვარდნენ ექიმები. ვეუბნები, იხუმრა მანანამ, „საბა" მე მომცეს და ის კი ამბობს, ქურდაძეო... არადა, მაგის იმედზე ვიყავი, 4 ათასი ლარი იყო მაშინ პრემია და იმ საავადმყოფოს ხარჯს ფარავდა. „საბა" ლიტერატურულ ესეებში მაქვს მიღებული".

## პარტია

„ერთმა რუსმა მწერალმა თქვა თავის თავზე ის, რაც შეიძლება ჩვენზეც ითქვას: Без меня народ не полный! ჩვენ გარეშე არ წყდება არცერთი დიდი საკითხი. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს ჩვენი გულუბრყვილობის ამბავია. არა, საკმაოდ გააზრებულად ხდებოდა ხოლმე. კარგია, რომ შევარდნაძის წინააღმდეგ ვიბრძოლეთ, კარგია, რომ შევარდნაძესთან ერთად ასლანსაც ვებრძოდით, ძაან კარგია, რომ მერე მიშას ვებრძოლეთ... ყოველთვის მართალი ვიყავით. ყველაფერი ძველდება და ისინი ვერ გრძნობენ ხოლმე. პატარა პარტია ვართ, ნაკლები ვალდებულებებით და მეტად ვგრძნობთ, რაღაც რომ იცვლება, რაღაც რომ ძველდება. პოლიტიკოსი ვალდებულია, რომ თვითონაც შეიცვალოს, მარადიული არაფერია. კარგი პარტიაა „რესპუბლიკური პარტია", არ ვართ ძალიან პოპულარული, მაგრამ არ შეგრცხვება, ევროპაში ყველაზე ღირსეული პარტიის ნაწილი ვართ, ყველაზე ნორმალური ხალხი ვართ".

**ოთხი დღის წინ გაათავისუფლეს თქვენი ძმისშვილი ადმინისტრაციული პატიმრობიდან. აქციების ზოგი მონაწილე ისევ საკანში რჩება, ალბათ ესენიც არ იქნებიან ბოლო პატიმრები. რამ უნდა გაამხნევოს, რამ უნდა უშველოს ადამიანს იმ დროს, რკინის კარი რომ დაიხურება?**

„ძირითადად, გამხნევება სჭირდებათ, სანამ იქ აღმოჩნდებიან. რამდენადაც მე მივხვდი, თვითონ პატიმრობა არაფერი არ არის, არის პატიმრობის შიში. ადამიანს აქვს გაურკვეველი წარმოდგენა პატიმრობაზე, სიკვდილივითაა. როგორც კი დაგიჭერენ, იმწუთას მიხვდები, რომ არაფერიც არ ყოფილა, გრძელდება ცხოვრება ჩვეულებრივად, რა თქმა უნდა, ციხის გარეთ... ადამიანს საკმარისად აქვს სულიერი ძალები, რომ გადაიტანოს ნებისმიერი პატიმრობა, თუკი რაიმე იდეას ემსახურება. ცოტა იდეალისტი თუ არის, ცოტა იუმორის გრძნობა თუ აქვს, პატიმრობა არის სახალისო საქმიანობა. ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ფიგურამ თქვა, ჭკვიანი კაცი ციხეში არ ჩაჯდებაო. მე მაშინ ვუთხარი – სერვანტესი, თუნდაც ჩვენი გურამიშვილი, დოსტოევსკი, ჩამოვუთვალე ერთი-ორი. მერე ვინ თქვა, რომ ეგენი ჭკვიანები იყვნენო. არის ხალხი, ვისთვისაც ეს სიკვდილია და არის ხალხი, ვინც ძალიან პატარა რამისთვისაც წავა ციხეში. ჩემმა ძმისშვილმა თქვა, მირჩევნია ახლა ჩავჯდე 15 დღე, ვიდრე მომავალი არ მქონდესო. ამ ახალგაზრდებს ასე იოლად ველარ შეაშინებენ, მათ აქვთ იდეა, უკეთეს ქვეყანაში უნდათ იცხოვრონ. გოეთემ თქვა, მხოლოდ ის იმსახურებს სიცოცხლეს და თავისუფლებას, ვინც ყოველდღე ამისთვის საბრძოლველად გადის სახლიდანო".

**თქვენ ყველაზე კარგად იცნობთ ორი თაობის ახალგაზრდებს – ახლა ვისაც ასწავლით და თქვენ როცა იყავით ახალგაზრდა... რომელი სჯობს?**

„დღევანდელი გვჯობია ჩვენ ბევრი თვალსაზრისით. საბჭოთა ახალგაზრდობას ჰქონდა ძალიან სერიოზული შიში და საბჭოთა ახალგაზრდობაში ვაჟკაცი იყო, ალბათ, ძალიან ცოტა. იმ დროს ხელოვნება იყო, უკაცრავად და, ჩვარი. ძალიან ბევრი იყო ეზოპეს ენა. ეზოპე მშვენიერი ავტორია თავის ამბავში, მაგრამ ეზოპეს ენა რომ გჭირდება იმის სათქმელად, რომ სამშობლო გიყვარს, ეს სერიოზული უბედურებაა. მახსოვს, მე ვიყავი ახალგაზრდა და უნივერსიტეტში მოვიდა ცნობილი პოეტი მუხრან მაჭავარიანი. ის არ ითვლებოდა ოფიციოზის პოეტად, სინამდვილეში კი იყო, მაგრამ ვითომ არ იყო და მან წაიკითხა ლექსი: ეს გზა მეც ვიცი, საითკენ მიდის... გაივლის ქარელს... გაივლის რაღაცას... იმას... ამას... შენ გზა მითხარი, ის გზა, რომელიც... ეს გზა მეც ვიცი, საითკენ მიდის... იმ დარბაზში, ეს იყო უნივერსიტეტის კლუბი, სადაც ეტევა დაახლოებით ხუთასი კაცი, იყო სამი ათასამდე ადამიანი და დაინგრა იქაურობა. რა თქვა ასეთი? სამშობლო მიყვარსო და ისიც კ[illegible] მივთვლი, რომ ეს არის იმ ეპოქის ლექსი, ის არასდროს არ ყოფილა პოეზია, „სამშობლო მიყვარს" არ არის პოეზია, მაგრამ ჩვენ ეს მოგვწონდა, იმიტომ, რომ ეს იყო მინიშნება".

**და რა უნდა ექნათ?**

„ვის, მწერლებს? რაც მე ვქენი, უნდა ჩამჯდარიყვნენ. მაგაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. ტყუილში არ უნდა იცხოვრო. ან ლენინზე ლექსები მაინც არ უნდა დაეწერათ. თუ საყვედურზეა ლაპარაკი, ეს საყვედური ყველას ეკუთვნის, დიდებსაც და პატარებსაც".

**მოდი, ასე ვთქვათ, არ უნდა ეწერათ 70-80-იანებში მაინც, თუ არც 30-40-იანებში და დაეჭირ-დაეხვრიტათ? ერთმნიშვნელოვანი იყო ყველა დროში არწერა?**

„არ არის ერთმნიშვნელოვანი ნამდვილად. ვიცი, ვინც შეიძლება იგულისხმებოდეს და მე გალაკტიონი არ მემეტება დასახვრეტად, მიუხედავად იმისა, რომ არამარტო სტალინზე და ბერიაზე წერდა, კანდიდ ჩარკვიანზეც აქვს დაწერილი".

**იქნებ ეს თავის გადარჩენის პროცესია, „ადამიანური ამბავი", რაღაც გზაზე დგები, რაღაც „ირთვება", ცოლსაც ვერ სწერდა წერილებს...**

„შეიძლება. ეს გზა იწყება პატარათი და წერე კვდება ძალიან სერიოზულად დიდი რამ. როცა გალაკტიონი კომპრომისზე წავიდა, დაკარგა პოეტური უნარი. როგორც კი სტალინი მოკვდა, მაშინვე დაწერა – „ქარი დასცხრა სიბობოქრის, შავი ზღვიდან სიო მოქრის, მე გიცქერი, როგორც ოქროს, ჩამავალ მზეს, ჩამავალს..." – ნამდვილი პოეზია. გალაქტიონი დაინდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში საფრთხეს ვერ ხედავდნენ. გალაკტიონი არის მილიარდჯერ უფრო დიდი პოეტი, ალბათ, ვიდრე მისი ბიძაშვილი, მაგრამ ის საშიში იყო. სტალინს შესანიშნავი ყნოსვა ჰქონდა. გალაკტიონი, ჩემი აზრით, არის მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი სახელი, ვაჟა-ფშაველა მაინც მე-19 საუკუნეს ეკუთვნის. გალაკ-



ბესიკ ხარანაულთან ერთად ფრანკფურტის ბაზრობაზე

ტიონი არის ფენომენი იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ იქნებოდა საერთოდ არცერთი ხელისუფლების გულწრფელი მეხოტბე, „ქართულ ოცნებაში" ვერ იქნებოდა, „ნაციონალებში" ვერ იქნებოდა, ის ვერავისი ვერ იქნებოდა. ეს იმათ ესმოდათ. ამიტომ თვლიდნენ. რომ არ არის საშიში. გალაკტიონი იყო ხელისუფლებისგან, ადამიანებისგან, სახელმწიფოსგან განრიდებული კაცი. აქაც ცდებოდნენ, გალაკტიონი, ასეთი უძლურიც კი, ცოლს რომ წერილებს ვერ წერს, საშიში იყო, თავისთვის ხომ მაინც ჩაწერს ხანდახან დღიურში – „ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინ".

**თუმცა „სანიმუშო" საბჭოთა მოქალაქედ ვერ აქციეს...**

„ვერ აქციეს, მაგდენიც არ შეეძლოთ ახლა... ბიბლიოთეკის დირექტორი ვიყავი, სხვა რა უნდა მეკეთებინა, ვიჯექი და ვკითხულობდი. მიხეილ ჯავახიშვილი მთავრობას სთხოვდა, გამიშვით, მე ჩამოვიყვან ჩოლოყაშვილს და დახვრიტეთო. ყველას ხომ ვერ მოიშორებ, ვინლა დარჩება... აი, ტიციანმა არ დალია ბერიას სადღეგრძელოო, მაგრამ სანამ ამას იზამდა, იმდენი ქნა, ნეტა არ გვენახა საერთოდ. თავისი მეგობრების გინება მოუნია, თავისი სტუმრების გინება. გალაკტიონი არ აქტიურობდა. გამსახურდიამ რომ „მთვარის მოტაცება" დაწერა, ქართველი მწერლები მის დახვრეტას ითხოვდნენ, რიგში ჩადგნენ „მაღალი სახელები".

**„იმ" დროის დაბრუნების შანსი არის?**

„არა, „იმ" დროის დაბრუნების შანსი არ არის, იმიტომ, რომ „ეს" დრო მოვიდა; იმიტომ, რომ მაშინ საქართველომ ვერ აითვისა თავისუფლების ჰაერი, ცოტა იყო ის. ჩვენ ახლა დიდი ხანია, ვართ თავისუფლებაში, ეს დიდია. ამ ახალგაზრდობას ახლა ველარსად დააბრუნებ. ბედნიერებაა, რომ ახალ თაობას არ უწევს კომპრომისზე წასვლა. მათ შეიძლება გაუჩნდეთ ილუზია, 40-50 წლის წინ რომ ეცხოვრათ, მაშინაც ასეთები იქნებოდნენ, მაგრამ ამაში ჩვენ არ უნდა შევცდეთ. მე კი შემიძლია ვთქვა, რა მერჩივნა იმ ეპოქაში... მაშინაც იყვნენ ვაჟკაცები, რომლებსაც ძალიან სწრაფად გაუსწორდნენ... როდესაც ვიჯექი უშიშროებაში, გამაკვირვა იმან, რომ ბადით იყო დაფარული კიბის უჯრედები. დავინტერესდი, რატომ იყო. გაირკვა, როცა ოცდაათიან წლებში ერთ-ერთი პატიმარი, კერძოდ, უფროსი ბიძინა რამიშვილი (მისი შვილიშვილი, უმცროსი ბიძინა რამიშვილი „რადიო თავისუფლებაში" მუშაობს) როცა დააპატიმრეს, ამ კიბიდან გადახტა და თავი მოიკლა. არავინ არ დააბეზღა, და მისი სახელი არ შეიბღალა. ეს მაგალითებიც არის, ძალიან ცოტა... ახალგაზრდები, რომლებიც დაიბადნენ თავისუფალ ქვეყანაში, იქ ველარ დაბრუნდებიან. რატომ გაგვასწრო ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა ევროპის გზაზე, რატომ აირჩიეს ის გზა, რომელიც სწორი აღმოჩნდა და ჩვენ რატომ ვერ ავირჩიეთ? იმიტომ, რომ იქ ცოცხალი იყო თავისუფლების სული, ცოცხალი იყო ის ხალხი, თავისუფალი რომ დაიბადა".

**ჩვენი მეზობლები, ახლო მეზობლები – იქ ახლაც „სხვა დროა".**

„ვფიქრობ, რომ იქაც უკვდავი არაფერი არ არის. არისტოტელე, მოგეხსენებათ, იყო ყველაზე პოზიტიური ფილოსოფოსი. რასაც ხედავდა, იმას აღწერდა ხოლმე. ერთხელ თქვა დიდი სიბრძნე, რომელიც თავისი სიღრმით იმდენად მარტივია, ყველას ეჩვენება, რომ არაფერს არ ნიშნავს. მან თქვა, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი, შუა ტანი და დასასრული. როდესაც ასეთი რამ გესმის, ფიქრობ, ამას მეც ვიტყოდი, ყველა იტყოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსაც აქვს დასაწყისი, დასასრული; ქრისტიანობასაც აქვს დასაწყისი, დასასრული; ყველაფერს აქვს. ასე რომ შეხედავ, იმწუთას მიხვდები, რა საშინელი ძალის ნათქვამია, და შიშსაც აქვს რაღაცნაირი დასასრული. ეს ახალგაზრდები არ არიან კმაყოფილები იმით, რაც აქვთ. ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი ქვეყანა, რაღაცნაირი ტიპის დემოკრატია, ბევრი სისტემა არ გვაქვს [?] და გადის ცუდი ხელისუფლებით გამოცდებს [?], მინდა გითხრა, ვუძლებთ. რითი ვუძლებთ? ახალი რესურსი გამოჩნდა ამ ახალგაზრდების სახით. თორემ პოლიტიკური სისტემა არ არის ძლიერი, არც ოპოზიციაა ძლიერი. გამოჩნდნენ შვილები. ეს მაგათი შვილებიც არიან. ისე არ არის, რომ მარტო ჩვენი შვილები არიან, ცუდი კაცები რომ არიან, მაგათი შვილებიც კარგები არიან, ამაშია საქმე, მემკვიდრეობით კი ვერ გადასცემენ თავიანთ არაკაცობას. ქვეყანა სხვაგან წავიდა. ეს ახალგაზრდობა იმხელა გაიზარდა, არჩევნებზე მივა და ეს ცვლილებას გამოიწვევს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არჩევნებზე, კი, მაგრამ პოლიტიკაში როდის მოვლენ?**

„პოლიტიკაშიც მალე მოვლენ, მათი ასაკი უნდა მოვიდეს. მე ვთვლი, რომ ჩვენ, ვინც საბჭოთა კავშირშია დაბადებული და ვინც, თუნდაც ერთი დღე, იქ იცხოვრა, სანამ ფიზიკურად არ წავალთ, მანამდე ამ ქვეყანას არ ეშველება, იმიტომ, რომ ჩვენს რიგებში ყოველთვის მოიძებნება ვიღაც, ვისაც ეს მონური სულისკვეთება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ახლა ახალგაზრდობა ზრდის ხელისუფლებას და გარყვნის მას თავისუფლებით. ეს პოლიციელი ერთ მშვენიერ დღეს მიხვდება, რომ ბრძანებები მოდის ისეთი, რომ უფერულდება, უქმდება, როგორც ადამიანი და ყველა არ არის ამისთვის მზად. ისინი „ფუჭდებიან". ასე „გააფუჭა" ირანის ახალგაზრდობამ ირანის შაჰის საიდუმლო ძალები. მართალია, ეს ახალგაზრდები თავისუფლების იდეით კი არა, სულ სხვა იდეით იყვნენ, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიაა ეს. მათ „გააშავეს" ქვეყანა, ჩვენ უნდა „გავათეთროთ". ჩვენი ახალგაზრდები „თეთრები" არიან, მადლობა ღმერთს. მარტო ხელისუფლებას ჰგონია, რომ ამ ახალგაზრდების უკან პოლიტიკოსები დგანან. შეიძლება, იქ ჩემი ძმისშვილი დგას, მაგრამ ის ჩემი პარტია არ არის. ჩემი გავლენა პარტიული კი არ არის, შეიძლება მხოლოდ ისაა, რომ კარგი ხალხი ვიყავით ოჯახში. ის აკვიატება, რომ ამათ უკან პოლიტიკოსები დგანან, ზედმეტი შეფასება ამ პოლიტიკოსების, არ შეგვიძლია ამდენი, ბატონო, უფრო სურვილია, ასე იოლი იქნებოდა. ამბობენ, ცოტა არიან, დაილევიანო. რა დალევს ახალგაზრდობას, ასეთი სისულელე შეიძლება თქვა მარტო მაშინ, როცა თავისუფალი აზროვნების გეშინია".

**ბოლო რამდენიმე ათწლეულს მაინც ვიცნობთ, შევესწარით. რომ წარმოვიდგინოთ და განვავრცოთ რაღაც პრინციპით მთელ დროზე – ეს ვართ? სულ ასეთები ვართ?**

„ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს ისტორიაში ისეთი, თავიდან რომ გადაიწერებოდა ხოლმე

და ჩვენ გვყავდა ისტორიკოსები, რომლებმაც ეს მოახერხეს. ჩვენ ვმალავთ ბევრ რამეს თამარის ეპოქაზე, დემეტრე თავდადებული გმირად გამოვაცხადეთ, ჩვენ ვერ დავმალეთ მე-17 საუკუნის ტრაგედია, არ გვინდა ვილაპარაკოთ აბაშიძის გზაზე და ასე შემდეგ... მონობის პროცესზე. როგორც კი ვინმეს წამოსცდება, რომ დედებს ყიდდნენ და ცხენებს ყიდულობდნენო, იმწუთას ჩააჩხობენ, რა სისულელეა, რას ამბობ, ეგეთი არასოდეს მომხდარაო. ანუ საქართველოს აქვს შერჩევითი ისტორია. არამარტო შერჩევითი სამართალი, ისტორიაც შერჩევითი აქვს".

**ეგეც ნიშანი არ არის?**

„რა თქმა უნდა, ეგეც ნიშანია. ნაპოლეონმა ერთხელ თქვა, ისტორია არის შეთანხმებული ტყუილიო. ჩვენც ბევრი რამ გვაქვს ასეთი და იყო ვაჟკაცობაც, ბრძოლაც. დავით აღმაშენებლის უბედურება არის ის, რომ იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოს ასეთი ტიპის მეფეების გენერირება შეეძლო. მისი მეოთხედი რომ ყოფილიყო მისი შვილი და თამარი – მეათედი მაინც, გვეშველებოდა. დავით აღმაშენებელი აღმოჩნდა იმხელა, უსაშველოდ იმხელა... როგორც რუსთაველი, რომ მას შემდეგ საუკუნეები გავიდა, წერას სანამ დავიწყებდით, გურამიშვილამდე. გურამიშვილიც ხომ რუსთაველი არ არის, მაგრამ რაღაც არის. რუსთაველი იყო „კატასტროფა", დავით აღმაშენებელი აღმოჩნდა ასეთივე „კატასტროფა", როგორ გალაკტიონი აღმოჩნდა „კატასტროფა", ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ რომ მოცარიელდება ყველაფერი... სკოლაში რომ მივედი, დამხვდა შვიდი ქართველი მწერალი კედელზე. ერთ დღეს მოხდა საოცრება და ჩემმა ქართულის მასწავლებელმა ჩამოხსნა ბესიკის პორტრეტი და დაკიდა გალაკტიონი, რომელიც იქ არ იყო. მე ვასახელებ ოთხს, ოთხი „ასისთავი" – რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი. ჩემი აზრით, ეს არის დღემდე, რაც არის, გაუძლებს ყველაფერს. არ მჯერა, რომ ჩვენ ოდესმე ისე წინ წავიდეთ, რომ აქ ვინმე გამოვცვალოთ. ბარათაშვილის არ უმართლებს დღემდე. ყველაზე ინტელექტუალური, ყველაზე ფილოსოფიური ქართველი პოეტი ქართველებს არ უყვართ. ნამდვილი ამბავია, რომ არ უყვართ, არ შეეშალათ – 50 კაცში არ მოახვედრეს".

**ყველაზე კარგი საქმე, რაც გიკეთებიათ, რასაც სულ გააკეთებთ?**

„ლექციების კითხვა. განსაკუთრებით – საჯარო ლექციების. მე თუ დავინახე, რომ ბავშვები იატაკზე სხედან, ესე იგი, ცხოვრება შედგა. როცა ვხედავ ინტერესს, ვხედავ სიყვარულით სავსე თვალებს, ეს არის ყველაფერი. ლექცია რა არის? სიყვარულის გამოცხადება ერთმანეთის მიმართ. მე მყავდა მასწავლებელი, აკაკი ურუშაძე, კათედრის გამგე იყო. ბერძნულ ტექსტს რომ ამბობდა, ხელებით ეფერებოდა სიტყვებს. ეს იყო ისეთი სიყვარული, ვგიჟდებოდი. ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის ლექციების კითხვას მოუტანია. არც თარგმანს, არც წიგნს, ამხელა სიყვარული არ მოაქვს. დაბადებულები ვართ ჩვენ ამისთვის. ეს ჩვენი ნაციონალური „უბედურებაა", ქართველებს გვიყვარს ჭკუის სწავლება. ციხეში სომხები ისხდნენ და სწავლობდნენ, ქართველები ასწავლიდნენ. მე რომ ჩავედი, მთელმა ზონამ ფრანგული იცოდა. ქართველი მაღალაშვილი იჯდა და იმან ასწავლა ყველას. მე რომ წამოვედი, მათემატიკოსმა ვადიმ იანკოვმა, რომელმაც ცოტა ბერძნული იცოდა, ოთხი წიგნი გამოსცა ანტიკურ ფილოსოფიაში, ისე გავუღრმავე ცოდნა".

**თქვენ რა ისწავლეთ?**

„მე ციხეში ვისწავლე ყველაზე მთავარი: შევედი ქართველი ნაციონალისტი და გამოვედი ლიბერალი. ციხეში გავიგე, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც მე მეგონა. ისეთი რამეები მახსოვს ჩემს თავზე, გახსენებაც კი მრცხვენია. ციხეში რომ წავედი, კაი ქართველი პატრიოტი ვიყავი, რუკებზე მქონდა მოხატული მთელი ტერიტორიები, ერთადერთი – რეიგანის ბებია რომ ქართველი იყო, ამაზე მეცინებოდა. აკაკი ბაქრაძემ, ამ კარგმა კაცმაც კი დაწერა სტატია „ნაკლული ქართველობის სევდა", წარმოგიდგენიათ? ყოველთვის იყო ეს, სანამ დამოკიდებულებაში რაღაც არ შეიცვალა. ახლაც ძალიან ცოტანი ვართ ლიბერალები. ბევრისთვის ეს სიტყვა ახლაც სალანძღავია".

**რა სჭირდება მწერალს, კარგად რომ წეროს?**

„რამდენიმე რამ არის აუცილებელი. პირველი, როგორც გალაკტიონმა თქვა, ნიჭი, ანუ ეს არის ძალიან სპეციფიკური რამ. მერე, მწერალი უნდა იყოს დაუნდობელი, ანუ მან უნდა „გაიმეტოს", მან ისეთი რამ უნდა გაბედოს, რაც მე, მაგალითად, ვამბობ, რომ ვერ გავბედე და არ ვარ მწერალი. დავწერე რაღაცები და ვერ გავბედე. მაგალითად, ფოლკნერმა დედამისი გამოაჭენა მთელ მსოფლიოში, დედა დაკარგა, მაგრამ ის იყო ფოლკნერი. განსაკუთრებული თავხედობა, სითამამე, გამბედაობა, ვაჟკაცობა – ეს ბევრი პროფესიისთვის არის მნიშვნელოვანი, მაგრამ მწერლისთვის უპირველესია. ჩემი აზრით, გადამწყვეტია წარმოსახვა. ეს ბუნებითაც ჩნდება, მაგრამ წიგნების კითხვაც აჩენს, თუმცა წიგნები ზოგჯერ მწერლისთვის საშიშია, საჭიროა ზომიერება. ისეთი კაციც კი, როგორიც იყო აინშტაინი, ამბობდა, კითხვა საშიშია, ბევრ კითხვას მეცნიერების დრო მიაქვს, კითხვა უფრო სასიამოვნოაო. უნდა შეიზღუდოს მწერალი, როგორღაც. ამ ბოლო დროს შეინიშნება „ნაკითხი" მწერლების მოზღვავება, რომელთა ტექსტებშიც კომპილაციებს უფრო ხედავ მერე. სადაა ზღვარი, არავინ იცის. და უმნიშვნელოვანესი, მწერლობის საფუძველი არის სიყვარული, ყველაფერი უნდა უყვარდეს, ისე ვერ დაწერს. მერე ეს მის ნიჭზეა დამოკიდებული, ამ ყველაფერს სატირით გამოხატავს, პირდაპირ, თუ – უელბეკივით უკუღმა, სულერთია. მთავარია – უყვარდეს".

**თქვენ ხშირად გესხმიან თავს – იქნება ეს პოლიტიკა, ლიტერატურა, ნებისმიერი რამ – როგორ უძლებთ, რთულია?**

„ადვილი არაფერი არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ადამიანი ამ იმუნიტეტს იმუშავებს ცხოვრების განმავლობაში. საქმე ის არის, რომ ნებისმიერი, ვინც მეტ-ნაკლებად რაღაც სფეროში რამეს წარმოადგენს, იძენს როგორც მეგობრებს, ისე მტრებს. „ცუდას რად უნდა მტერობა..." – ეს ნამდვილი ამბავია. როდესაც პირველად წავიკითხე, რომ მე ვარ კაგებეს აგენტი, ძალიან

მეწყინა, მერე შევეგუე. ვიცი, რომ არ ვარ. ვისაც ჰგონია, მე იმას როგორ ვუშველო. მიხეილ სააკაშვილმა თქვა ჩემზე, რუსეთის აგენტიაო. მერე თვითონ თქვა, ვიხუმრეო, მერე ბოდიში მომიხადა და ტიპები არიან, ამბობენ, არა, მაინც აგენტიაო. ახლა არ ამბობს ასე, იმიტომ, რომ ასე სჭირდება, მაგრამ ისინი, ის ტიპები ამბობენ, ხომ ვიცით, რომ აგენტი არისო. მე რა შემიძლია. არის გამჯდარი საოცარი ამბავი, რომ მე ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში რაღაც მონაწილეობა მივიღე. მასთან არ მქონია არანაირი ურთიერთობა, არასდროს, არც პარლამენტში ვყოფილვარ მაგ დროს. ქუჩაში მივდივარ, ვხედავ ქალი მოდის და გაიღიმა, რომ დამინახა, უკვე ველოდები, ბატონო ლევან, თქვენ ლექციას მოვუსმინე ან რაღაც ასეთი, და – „სიკვდილი და კუბო შენ! შენ მოკალი ზვიადი!“ თურმე თავის თავს გაუღიმა: კარგია რომ დავინახე, ახლა ამას ვეტყვი, რაც საჭიროაო. საინტერესოა, რომ მაინცდამაინც ქალის ის ტიპაჟი მომეწონება ხოლმე, რომელიც ზვიადისტი აღმოჩნდება და გამომლანძღავს. ზოგჯერ მეტყვიან, ამან ის დაწერა, იმან ის დაწერა, უპასუხე. ვის ვუპასუხო, რა ვუპასუხო – რომ „აქლემი არ ვარ“?

**აბა, რა არის სწორი, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი? თან ინტერნეტია, ყველაფერი რჩება.**

„ყველაზე სწორი არის „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“! მე ვიცი ერთი საიდუმლო საკუთარ თავზე. ხომ რამდენი რამ გამიკეთებია: ქვეყანა მაქვს თარგმნილი – გაშლილი ხელებით ვზომავ ხოლმე გამოცემულ წიგნებს. ლექციები მაქვს ჩატარებული, ალბათ რეკორდსმენი ვარ საქართველოში. კიდევ ბევრი რაღაც, მაგრამ... როგორც კი მკითხავენ, ვინ ხარ, იმ წუთში ვამბობ: ციხე! ვიჯექი! ჩემი ცხოვრების 7 წელი – 4 დაპატიმრებამდე, 3 პატიმრობაში – წაიღო მთლიანად ამ საქმემ. ის 4 წელი უფრო მძიმე იყო, ვიდრე ის სამი – შიშით, ძრწოლით... და მაინც რაღაც ვთქვით, რაღაც გავბედეთ. მე ვთვლი, რომ ეს შვიდი წელი მე მივეცი ჩემს ქვეყანას, ჩემს თავსაც და ჩემს ოჯახსაც, რომ მომავალში რამე ყოფილიყო, ჩემი ქვეყნის სამსახურში მაქვს ეს დრო გატარებული. როცა ვინმე მხვდება და მეკითხება, ვინ ხარ? ვამბობ: ფორმერ პოლიტიცალ პრისონერ. ჩულაგ! ეს ჩვეულებრივი ამბავი არ არის. არ ეგონოს ვინმეს, რომ მართლა პროფესორი და ისა ვარ, მთავარი უნდა იცოდეს, მთავარი ესაა. არც ის, რომ წიგნი [illegible] ვთარგმნე, არც ის, რომ ლექცია [illegible] ესქილემ თავის ავტოეპიტაფიაში ჩაწერა, რომ მარათონის ბრძოლაში მონაწილეობდა. არც დრამატურგია უხსენებია და არც არაფერი. ვიღაც რომ გამაჩერებს და მეტყვის, მიყვარხარ, ჩემთან სელფის გადაიღებს, მერე მოვდივარ და სახლში ვყვები, დღეს გამაჩერეს ქუჩაში ამდენჯერ. ადამიანი არის აღიარება. ადამიანს სჭირდება აღიარება და მე ეს მაქვს ჭარბად! და „ასავალ-დასავალს“ არ ვკითხულობ, აგერ დამირეკეს და მითხრეს, „მარშზე“ ილაპარაკეო. „მარშზე“ რა მალაპარაკებს, რა უნდა ვილაპარაკო „მარშზე“?!

## წიგნი

„წიგნები მკითხველისთვის იძლევა თავდაჯერებულობას, წიგნი ავითარებს წარმოსახვას. წიგნს შეუძლია შეგაყვაროს სიცოცხლე. რაც წიგნს არ შეუძლია, წიგნი ვერ გაგხდის იმაზე უკეთესს, რაც შენ ხარ, წიგნი ამ მხრივ არ არის ძლიერი მეგობარი. როცა ამბობენ, რომ ამხანაგი სტალინი ბევრ წიგნს კითხულობდა, ვხვდებით, რომ სამწუხაროდ, ბევრი წიგნის კითხვა არაა საშველი. კითხვა დეპრესიის მტერია, ავადმყოფობის. ხომ ამბობენ ამერიკელები, გაციების დროს წამლებით ერთ კვირაში განიკურნები, უწამლოდ 7 დღეშიო, მე ვამატებ, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვით ოთხ დღეში, განსაკუთრებით შველის ავთანდილის ანდერძი. წიგნს სიცოცხლის შეყვარება შეუძლია. წიგნი ადამიანს ერთი ცხოვრების მაგივრად **ათასი ცხოვრებით აცხოვრებს!..“**



# გალაკტიონის „თოვლი“

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ლევან ბერძენიშვილი*

ეს ლექსი 1916 წელს დაიწერა და იგი შევიდა გალაკტიონის უკვდავ კრებულში „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, რომელიც 1919 წელს გამოიცა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ქართულ პოეზიაში არ მეგულება მეორე ლექსი, რომელიც ასე გაჯერებული იყოს ენობრივი ოსტატობით, ლიტერატურული ცოდნით, პოეტური ტრადიციისადმი და, განსაკუთრებით, ფრანგული სიმბოლიზმისადმი ერთგულებით. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი სიმბოლისტების მთელი გუნდის არსებობის მიუხედავად, ასეთი კლასიკური სიმბოლისტური ლექსი საქართველოში ვერავინ დაწერა. ლექსი დაწერილია გალაკტიონის საყვარელი ათმარცვლიანი საზომით და იწყება სიტყვით „მე“. საერთოდ, ლირიკა დაიბადა ძვ. წელთაღრიცხვის VII საუკუნეში, როდესაც გაჩნდა ეს აზრი, ეს კონცეფცია, ეს პოეტური „მე“. ჰომეროსის შემდეგ, მისი ეპოსის შემდეგ პირველმა დიდმა ლირიკოსმა, არქილოქოს პაროსელმა ამოიღო ხმა და თქვა „მე“, „ჩემი“ ფიქრი, „ჩემი“ აზრი და, ბოლოს და ბოლოს, დაინგრა მითოსური „ჩვენ“ და ეპიკური ობიექტურობა და დაიბადა სუბიექტური პოეზია, დაიბადა ლირიკა.

ცნობილი ამბავია, რომ ეპიკოსებს ზოგადად ლირიკოსები არ უყვართ (მარტო ტოლსტოის მაგალითი რად ღირს, როდესაც დიდმა რომანისტმა პოეტი ღრმა კვალის გამყვანი გუთნიდედის კვალში მიმავალ მოცეკვავეს შეადარა), ხოლო ლირიკოსებს ეპიკაში უჭირთ ხოლმე. გალაკტიონიც უძლური იყო ეპოსში, იგი ლირიკის ღმერთი იყო, სხვა რამ მას არ ეხერხებოდა, მას უბრალო ლაპარაკიც კი არ ეხერხებოდა, სესხის აღებასაც კი ლექსით ითხოვდა („ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, ... მასესხე, მომეხმარეო!“)

გალაკტიონის ლირიკა სავსეა სიმბოლოებით და ამ ლირიკაში თოვლი ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა.

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.

დასაწყისშივე გაიდო ხიდი გალაკტიონსა და მის უსაყვარლეს მასწავლებელს, ჩვენს უდიდეს გენიოსს, ბარათაშვილს შორის. გალაკტიონი სულ კითხულობდა, ხომ ვგავარ აკაკისო და ჰგავდა ბარათაშვილს. ყველაზე მეტად სწორედ ამ ლექსში არის გალაკტიონი ბარათაშვილის მემკვიდრე. ბარათაშვილს უყვარდა ლექსის დაწყება სიტყვით „მიყვარს" („მიყვარს თვალები მიბნედილები", „მიყვარს ტიკტიტი ჩვილის ყრმის", „მიყვარს [illegible]") – ეს მისი სტილია. გალაკტიონი აძლიერებს ემოციას და ამბობს არა „მიყვარს", არამედ „მე მიყვარს" და „მე ძლიერ მიყვარს". როცა ის ამბობს „ძლიერ მიყვარს", ნათელია, რომ ის სალაპარაკო ენიდან გადის. სალაპარაკო ენაში ჩვენ არ ვამბობთ „ძლიერ მიყვარს", ჩვენ ვამბობთ „ძალიან". ეს ნიშნავს, რომ მან ასწია ტონი და თითქმის ღმერთივით გველაპარაკება. „თოვლი" სამაგალითო ლექსია იმის გასაგებად, თუ რა ხერხები აქვს სიმბოლიზმს.

ერთ-ერთი მთავარი სიმბოლისტური ხერხი გახლავთ სინესთეზია. ეს ტერმინი აღებულია ფსიქოლოგიიდან, მაგრამ ლიტმცოდნეობაში დიდი ხანია დამკვიდრებულია, როდესაც სწორედ სიმბოლიზმზეა ლაპარაკი. სინესთეზია ნიშნავს, რომ ერთი გამღიზიანებელი, რომელიც, მაგალითად, თვალს აღიზიანებს, ამავე დროს, შეიძლება აღიზიანებდეს ყურს. პოეზიაში კი ეს არის ხილული ხატი, რომელსაც ამავე დროს აღმოაჩნდება ხმოვანი ჟღერადობა, ტაქტილური ჟღერადობა და ა.შ. აი, როგორ აქვს გამოხატული გალაკტიონს სინესთეზია: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის", ანუ თოვლი არის იისფერი. არსებობს მოსაზრება, რომ იისფერი თოვლი არავის უნახავს. შეიძლება, გალაკტიონსაც „არ უნახავს", ისე დაინახა. ეს ცოტა მაკვირვებს, რადგან მე მინახავს იისფერი თოვლი. როდესაც დიდი თოვლი მოდის და მას სიმაღლე უჩნდება და მისი გაჭრა ხდება საჭირო, მაგალითად, ბილიკის გასაჭრელად, ეს გაჭრილი თოვლი ზემოდან დახედვისას ნამდვილად იისფერია. ამავე დროს, როდესაც მეცნიერებამ თოვლის ფიფქები მიკროსკოპით შეისწავლა, ისინი სწორედ იისფერი და მოლურჯო შეფერილობისა აღმოჩნდა. შესაბამისად, გალაკტიონსაც დიდი შანსი ჰქონდა, ენახა თოვლის ეს სილურჯე; იგი ნამყოფია ზამთრის რუსეთში, სადაც თოვლის ქრა ჩვეულებრივი მოვლენაა.

„ქალწულებივით ხიდიდან ფენა" თვითმკვლელობის სახეზე მიგვითითებს და შემდგომში, ოთარ ჭილაძის პოეზიაში გაჩნდება სიტყვები „თავგანწირულად დნებოდა თოვლი", რაც ასევე სიკვდილის სახეა. ოთარ ჭილაძის, „რკინის საწოლის" ავტორის დამოკიდებულებაზე გალაკტიონთან მე აღარ ვილაპარაკებ. „თავგანწირული" თოვლის ქვეყნიდან ჭილაძის ბავშვი „უხილავ ცაში მსუბუქი ფრთებით მიქროდა". იისფერი თოვლი, რომელიც ამავე დროს, არის წმინდა, ვარდება ხიდიდან, შეყვარებული ქალიშვილივით და ჩნდება კლასიკური ტრიადა: ხიდი, მდინარე, სიყვარული. 1916 წელია და ხიდი, მდინარე, სიყვარული უკვე ბევრჯერაა ნახსენები მსოფლიო პოეზიაში, განსაკუთრებით ხშირად კი – ფრანგულში. ეს ნაწილობრივ აღინიშნა კიდევაც ლიტმცოდნეობაში. ამ სიტყვებს მოჰყვება:

ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.

სულ სახეებია, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა: „სული მევსება თოვლით". გალაკტიონს ხშირად აბრალებდნენ „წიგნიერებას", ანუ მასალის სესხებას წიგნებიდან. ყველამ ვიცით, როგორ დაესესხა იგი მთელ პასაჟებს ჯეკ ლონდონს, ედგარ პოს, მაგრამ, ამავე დროს, იპოვეს უფრო ნაკლები მნიშვნელობის ავტორებისგან „სესხებაც". შესანიშნავ წიგნ „ანარეკლებში" დავით წერედიანს ნახსენები ჰყავს ბელგიელი სიმბოლისტი პოეტი ჟორჟ როდენბახი; ამ პოეტს ჰქონია ლექსი, რომელიც შევიდა რუსეთში გამოცემულ წიგნში "Чтец-Декламатор". ესაა სპეციალურად შერჩეული ლექსები დეკლამაციისთვის. შვიდასგვერდიანია პირველი ნაწილი, რომელშიც როდენბახიც მოხვდა, სავსეა იგი მსოფლიო პოეზიის ნიმუშებით და, განსაკუთრებით მდიდრულადაა წარმოდგენილი რუსული პოეზია. გალაკტიონი იცნობდა ამ წიგნს, ყოველ შემთხვევაში, მის პირველ ტომს (მეორეში დრამატურგია შედიოდა და მესამეში – პროზა). როდენბახის ლექსი მთავრდება სიტყვებით: ჩემი სული, როგორც ვარსკვლავებით, ისე სავსეა თოვლითო. მსგავსება აშკარაა, მაგრამ ვნახოთ განსხვავებაც: იქ არის „სავსეა", გალაკტიონთან – „მევსება", იქ არის შედეგი, გალაკტიონთან – პროცესი. ესაა განსხვავება თანამედროვე ქართულ პოეზიასა და გალაკტიონს შორისაც. ჩვენი პოეზია სავსეა მტკიცებით, ხოლო გალაკტიონი სავსეა ვნებით, დინამიკითა და განვითარებით.

მაშასადამე, ლაპარაკია თოვლზე, რომელიც არის სიმბოლო, იგი არის ფერადოვანი – იისფერი, იგი არის მწუხარე; მას, ამავე დროს, ტაქტილურად ვეხებით და ვადგენთ, რომ იგი არის ცივი და სველი (სინესთეზიის კლასიკური ნიმუშია) და ეს ასეთი თოვლი: ცისფერი, მწუხარე, ცივი და სველი ავსებს სულს და სული ხდება ცისფერი, მწუხარე, ცივი და სველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...

თურმე ლაპარაკი ყოფილა „შენზე", რომელიც წახვედი, ლაპარაკი ყოფილა სიყვარულზე, რომელიც წავიდა და დედამიწაზე ჩამოწვა მწუხარე ზეცა. და დედამიწა არის უდაბნო. თოვლის უდაბნო. ამ უდაბნოში, როგორც წარსულის ფლეშ-ბეკი, იელვებს „შენი მანდილი". როგორც ედგარ პო გვასწავლის, ყველაზე „მომგებიანი" პოეტური სახე ახალგაზრდა ქალის სიკვდილია. ეს ახალგაზრდა ქალი, რომლის „თოვლივით მკრთალი ხელები" ლირიკულ გმირს მუდამ ემახსოვრება, „იანვარში" აღარ არის. სიყვარული ოდესღაც იყო და აღარ არის. და იმის შემდეგ, რაც იგი აღარ არის, ლირიკულ გმირს აღარ უნდა სიცოცხლე. ახლა, ამწუთას, ამ სიყვარულის წასვლის შემდეგ

თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დალალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

ყველაფერი კარგი, რაც იყო, წავიდა. დარჩენილია მხოლოდა ნატვრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება გადარჩეს ადამიანი. როგორ უნდა დააღწიო თავი ზამთარს-სიკვდილს?! როგორ უნდა დაემალო ქარს-სიკვდილს?! სატრფოს წასვლის შემდეგ მეტრფე როგორ უნდა გადარჩეს? სად არის გამოსავალი? გალაკტიონმა იცის მითოსური გამოსავალი. იცის მომაკვდავი და აღდგენილი ღმერთების ამბავი, ადონისის ამბავი, ქრისტეს ამბავი; ფრეიზერის ნაპოვნი „კალენდარული" ღმერთებიც შეგვიძლია გავიხსენოთ; მაგრამ ეს სულ „კაცი" ღმერთებია. მკვდარი და მკვდრეთით აღდგარი ქალღმერთიც არსებობს, ეს ანტიკური პერსეფონე ანუ კორეა. მას წელიწადის განმავლობაში სიკვდილის სეზონიც აქვს და სიცოცხლის სეზონიც (ესაა კომპრომისი კორეს დედას, დემეტერსა და მეუღლეს, ჰადესს შორის). სწორედ ამას მიგვანიშნებს გალაკტიონიც: „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა", როგორმე გაზაფხულს თუ მივაღწიე, სიყვარული ხელახლა დაიბადება. ესეც ნიცშეს „მარადიული დაბრუნება".

გალაკტიონმა ამ დაბრუნებას უდიდესი პოეტური ოსტატობით მიაღწია. გამოიყენა საკუთარ პოეტურ ლაბორატორიაში შექმნილი ხერხი, რომელსაც შეგვიძლია პირობითად დავარქვათ „პარალელური სტრიქონებიდან გამოტანილი აზრის ხერხი". ეს აზრი შეგვიძლია გამოვიტანოთ ჩვენდა უნებურად, რადგან გალაკტიონმა ამ ლექსში გამოიყენა ასეთი ტექნიკური ილეთი: ორი სტროფი გვაქვს, ერთმანეთს რომ იმეორებს, მაგრამ ეს არ არის ორი სრულიად იდენტური სტროფი, მათ შორის არის განსხვავება და მთელი აზრი ჩადებულია სწორედ ამ განსხვავებაში. ცნობილია, რომ არსებობს ვარიანტები; მაგალითად, „თბილისში" არის ვარიანტები: „და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა", „და არ მშორდება ტფილისის ცქერა" და ა.შ. „თოვლში" არის მსგავსი სტროფები განსხვავებული ვარიანტებით. ჩანაფიქრი ასეთია: ის, რაც საერთოა, ნათელია, რომ ერთი და იგივეა, ხოლო ის, რაც განსხვავდება, არის რთული ფორმით გამოხატული შედარება და მეტაფორა.

თოვს! **ასეთი** დღის ხარებამ ლურჯი
და დალალული **სიზმრით** დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

თოვს! **ამნაირ** დღის ხარებამ ლურჯი
და დალალული **ფიფქით** დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა**!**

ასეთი=ამნაირ, სიზმრით=ფიფქით.

ხერხი ათვისებულია. ახლა ვნახოთ მისი მოქმედება ლექსში. პირველივე სტროფს აქვს პარალელი

**მე** ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
**ქალწულებივით** ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა **ცივი სისოვლის**
და **სიყვარულის ასე მოთმენა.**

**ამიტომ** მიყვარს იისფერ თოვლის
**ჩვენი მდინარის** ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა **ქროლვის, მიმოვლის**
და **ზამბახების წყებად დაწვენა.**

ცივი სისოვლის=ქროლვის, მიმოვლის და სიყვარულის ასე მოთმენა=ზამბახების წყებად დაწვენა. სიყვარული ზამბახი ყოფილა. სიყვარულის მოთმენა და ზამბახების დაწვენა არის ერთი და იგივე. ზამბახი კი არის ყვავილი, რომელიც აპრილსა და მაისში ხარობს. როგორ არ გავიხსენოთ სხვა გენიოსი, ტომას სტერნზ ელიოტი, რომელიც ამბობს: "April is the cruelest month, breeding lilacs out of the dead land..." („უსასტიკესი თვეა — აპრილი, აღმოაცენებს იასამანს მკვდარი მიწიდან..."). უსასტიკესი იმიტომაა, რომ აღმოაცენებს იასამანს, გააჩენს იმედს და სხვა დრო, სხვა თვე მას მოკლავს. იასამანიც, ზამბახიც არის სიყვარული, რომელიც იბადება და კვდება, უსასტიკესი განმეორებადობით. სიყვარული დაიბადება აპრილში, დაიბადება გაზაფხულზე, დასნეულდება ზაფხულში, მოკვდება შემოდგომაზე და ამ სიკვდილს იგლოვებს ზამთარი. და „ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება". მარადიული დაბრუნება. ეს ციკლური ლექსია. ქალი წავიდა, სიყვარული წავიდა, მაგრამ სიყვარული დაბრუნდება. ქალიც **შეიძლება** დაბრუნდეს, მაგრამ სიყვარული **აუცილებლად** დაბრუნდება. და ცხოვრება კვლავ გაგორდება კამათელივით და ოთხი აფთარიც კარს მოგვადგება: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. გალაკტიონი რომ არ გვყოლოდა, ვინ მიხვდებოდა, რომ წლის დროების ეს უბრალო ჩამონათვალი თოთხმეტმარცვლიანი ლექსი იქნებოდა შუაში პატიოსანი ცეზურით – 4/3//4/3?

ერთი ვალი დაგვრჩა. ჩვენ ვთქვით, რომ ამ ლექსში არის ტრიადა: ხიდი, მდინარე და სიყვარული და რომ ეს სხვა ლექსებშიც გვხვდება. ეს იდეები, ხიდი, მდინარე, სიყვარული, სიყვარულის წასვლა და პირდაპირი ციტატა ლექსიდან – ესაა გიიომ აპოლინერი და მისი შედევრი „მირაბოს ხიდი". „მირაბოს ხიდი" 1912 წელს დაიწერა და 1913 წელს გამოქვეყნდა და გალაკტიონს ის შეიძლება სცოდნოდა და არის ერთი მომენტი, რომელიც მიუთითებს, რომ გალაკტიონს უნდა სცოდნოდა ეს ლექსი. საქმე ისაა, რომ „არტისტულ ყვავილებში" არის ლექსი, ასევე 1916 წელს დაწერილი, რომელიც ასე მთავრდება:

შენ ღიმილს მე თან გავატანე ბედნიერება,
სიყვარულიდან გავატანე, რაც კი რამ მქონდა,
მაგრამ ღიმილი გაიტაცეს ჩემი გულიდან,
როგორც ლუვრიდან გაიტაცეს შორს ჯიოკონდა!

ლუვრიდან ჯოკონდას გატაცება არის ამბავი, რომელშიც ბრალი დაედო ორ უდიდეს ხელოვანს, პიკასოსა და აპოლინერს. ეს სკანდალური საქმე იყო, აპოლინერი დააპატიმრეს კიდეც. სწორედ იქ დაიწერია „მირაბოს ხიდის" რეფრენი Les jours s'en vont, je demeure („დღეები რბიან, მე – ვრჩები"). გალაკტიონი ამბობს: „დღეები რბიან და მე ვბერდები". აშკარაა, რომ ჯოკონდას ამბავი იცის, აპოლინერის დაპატიმრება იცის და, ალბათ, აპოლინერის მთავარი შედევრიც იცის და რომც არ სცოდნოდა, რომც არ მიენიშნებინა, ჩვენ ხომ ვიცით, ანუ მინიშნებაა.

გალაკტიონის ამ ლექსიდან ერთ რამეს ვსწავლობთ: სიყვარული უკვდავია. ქალი შეიძლება მოკვდეს, სიყვარული არ მოკვდება (გავიხსენოთ გალაკტიონის საყვარელი დანტე ალიგიერი და ბეატრიჩე). ის ფერები, რომლებიც აქ არის წარმოდგენილი, ის ელვარება, ის მანდილი, რაც აქ არის, გალაკტიონმა აღნიშნა სპეციალური ფერით. იისფერი ვიცით, რას გამოხატავს. ჯერ კიდევ რუსთველთან ვიცით, რომ ვარდისფერი არის სიცოცხლის ფერი, ზაფრანისფერი არის გარდამავალი ყვითელი და იისფერი გახლავთ სიკვდილის ფერი. გალაკტიონისთვის, „ლურჯა ცხენების" ავტორისთვის, ცისფერი სიკვდილისა და უკვდავების ფერია. ბარათაშვილის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს" საბედისწერო ლექსი აღმოჩნდა ქართულ პოეზიაში. ამ ერთმა ლექსმა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, გალაკტიონი დაბადა. „თოვლის" ცისფერი, რომელიც არის მწუხარება, რომელიც არის მარადიული ლურჯი უდაბნო, სადაც ხარებაც კი ლურჯად არის შეფერილი, რა შანსს გვიტოვებს? გალაკტიონს აქვს ფანტასტიკური ნახაზი ამ ლექსში: თოვლი შეიძლება შეწყდეს, თოვლი შეიძლება დაილალოს („დალალული სიზმარი" გალაკტიონს სხვა ლექსშიც აქვს ნახსენები). თუ თოვლი დაილლება, თოვა შეწყდება, თუ თოვა შეწყდება, გაზაფხული მოვა, თუ გაზაფხული მოვა, ზამბახი დაიბადება, თუ ზამბახი დაიბადება, სიყვარული დაბრუნდება, შემდეგ ზამბახი დაწვება... ლექსს აღმოაჩნდა „სიუჟეტი": სიყვარული არ არის, სიყვარული მოკვდა, სამყარო დაფარა თოვლმა და იგი გაუდაბურდა. ისევ სინესთეზია: „მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა." თოვლი არის ფარული დარდი, რომელსაც გაუჩნდა ხმა. ფარული დარდი ისმოდა შენს ხმაში. თოვლს აქვს ფერი, თოვლს აქვს ხმა. როდესაც ქალი მიწაზე იყო, მას ხმაში უკვე დარდი ჰქონდა, რადგან მან იცოდა თავისი წარმავალობის ამბავი. ეს საბედისწერო ქალია, ეს პერსეფონეა.

ბევრ რამესთან ერთად, გალაკტიონს ბარათაშვილთან აახლოებს პესიმიზმისა და ოპტიმიზმის უცნაური ნაზავი. „თოვლშიც" სული, რომელიც „სტირის ცისფერ ლეინოებს", მაინც სავსეა იმედით. იმიტომ, რომ ზამთარი შეიძლება დაილალოს, ფიფქი დაილალოს, სიკვდილი დაილალოს და კიდევ ერთი შანსი მისცეს სიცოცხლეს.

# ესქილე
# მიჯაჭვული პრომეთევსი

ძვ.წ. 444-443 წწ.*

## მოქმედნი პირნი

ძალაუფლება და ძალა, ზევსის მსახურები

ჰეფესტოსი
პრომეთევსი
ოკეანისების გუნდი
იო, ინაქოსის ასული
ჰერმესი

## პროლოგოსი

*შემოდიან ძალაუფლება და ძალა და შემოჰყავთ დატყვევებული პრომეთევსი; იქვეა ჰეფესტოსი*

**ძალაუფლება**

დედამიწის შორეულ მიჯნაზე მოვედით, სკვითიის მხარეში[1], ფეხდაუდგმელ უდაბნოში. ჰეფესტოს, შენ გმართებს ალასრულო, რაც მამამ დაგაკისრა, მიაჯაჭვო ეს თავხედი მაღალ კლდეებს ფოლადის ჯაჭვის ბორკილით, რომელსაც ვერ გატეხს. რადგან შენი ყვავილი, ყველა ხელოვნების ცეცხლის ალი მოიტაცა[2] და მოკვდავებს მისცა. ამ დანაშაულისთვის მან სამართალი უნდა ზღოს ღმერთებთან, რომ ისწავლოს ზევსის ტირანიის[3] სიყვარული, ხოლო კაცთმოყვარეობის გზიდან გადავიდეს.

**ჰეფესტოსი**

ძალაუფლება და ძალა[4], ზევსის ბრძანება, რაც თქვენ მოგეცათ, შეასრულეთ და ვერაფერი ვერ შეგაჩერებთ. მე კი ვერ ვბედავ, ნათესავი ღმერთი[5] ძალით მივაჯაჭვო ცივზამთრიან ნაპრალს, დამაინც, ვალდებული ვარ, ეს გავბედო, რადგან მამის სიტყვების უგულებელყოფა მძიმეა. ბრძენი თემისის მაღალფიქრიანო ძეო, ჩემი ნების წინააღმდეგ და შენი ნების წინაამდეგ ბრინჯაოს ურღვევი ჯაჭვით უნდა მიგაჭედო ამ უკაცრიელ კლდეს[6], რომ ვერც ხმა გაიგონო და ვერც იერი დაინახო მოკვდავის, მზის ნათელი სხივები დაგწვავს და შეგიცვლის კანის ფერის ყვავილს. გაგახარებს ვარსკვლავების ჭრელსამოსიანი ღამე, სინათლეს რომ დაფარავს და დილის ჭირხლს ისევ მიმოფანტავს მზე; ყოველ წამს უბედურების სიმძიმე გაგაწამარებს, რადგან შენი მხსნელი ჯერ არ დაბადებულა. ეს ჯილდო გერგო კაცთმოყვარეობის სანაცვლოდ. ღმერთი ხარ და ღმერთების რისხვის წინაშე ქედს არ იხრიდი, ხოლო მოკვდავებს ისეთ

---

[1] სტრ. 2. სკვითიის მხარეში – სკვითები, მაშინდელი წარმოდგენით, იკავებდნენ უზარმაზარ სივრცეს საბერძნეთისა და შავი ზღვის ჩრდილოეთიდან „დედამიწის მიჯნამდე", ანუ ოკეანემდე.

[2] სტრ. 7 ცეცხლის ალი მოიტაცა – კლასიკურ საბერძნეთში ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი იყო ჰეფესტოსი, რომლის სამჭედლო მოთავსებული იყო კუნძულ ლემნოსზე, ვულკან მოსიქლოსის ქვეშ. ითვლებოდა, რომ როდესაც გრდემლზე ცეცხლის შემზერავი კიკლოპები მეტისმეტად ირჯებოდნენ, მთიდან ცეცხლის ალი ამოდიოდა. შესაძლოა, პრომეთევსი ბალკანეთის ნახევარკუნძულის წინაბერძნული მოსახლეობის ღმერთი იყო; მაშინ გასაგები ხდება მისი ჩამოგდების აუცილებლობა – პრომეთევსის უფლებები ჰეფესტოსისთვის, ოლიმპიური პანთეონის წარმომადგენლისთვის, უნდა გადაეცათ.

[3] სტრ. 10 ზევსის ტირანია – აქ და შემდგომში ტრაგედიაში ცნება „ტირანიას" ენიჭება ის უარყოფითი შინაარსი, რომელიც მას გაუჩნდა ესქილეს თანამედროვეებში: ერთმმართველობა, მეგობრებისადმი უნდობლობა, საკუთარ სურვილებს აყოლა.

[4] სტრ. 12 ძალაუფლება და ძალა – (ბერძნულში პირველი მათგანი Κράτος – მამრობით სქესისაა, მეორე βίη კი – მდედრობითის) – ეს პერსონაჟები ცნობილი არიან ჰესიოდეს „თეოგონიიდან" (სტრ. 385-401), როგორც სტიქსის შვილები და ზევსის მსახურები. ძალაუფლება ესქილესთან უსიტყვო პერსონაჟია.

[5] სტრ. 14 ნათესავი ღმერთი – მითოლოგიური გენეალოგიით, ჰეფესტოსი ზევსისა და ჰერას ძეა, ანუ დედამიწისა (გეასა) და ურანოსის შვილთაშვილი. პრომეთევსი, რომელიც ჩვეულებრივ ტიტან იაპეტოსისა და ოკეანისი კლიმენეს ძედ ითვლება, ესქილესთან წარმოდგენილია ტიტანად, ძედ თემისისა, რომელიც აქ იდენტიფიცირებულია გეასთსან (იხ. ქვემოთ, სტრ. 209 და შმდგ).

[6] სტრ. 15 უკაცრიელ კლდეს – ტრადიციული ვერსიით, პრომეთევსი მიჯაჭვული იყო კავკასიონის კლდეს; თუმცა ვერაფერი დაუშლიდა ესქილეს, თავად კავკასიონი შავი ზღვის ჩრდილოეთით, სკვითიაში წარმოედგინა.

* „მიჯაჭვული პრომეთევსის" დათარიღება, სტილისტური თავისებურებანი, სხვა ტრაგედიებს შორის მისი ადგილი და ესქილეს ავტორობაც კი ჩვენს დროში ხანგრძლივი პოლემიკისა და არსებითი უთანხმოების საგანია. დოკუმენტური მონაცემები „პრომეთევსის" დადგმის შესახებ ჩვენამდე არ შემორჩენილა. ტრაგედიის ენა არსებითად უფრო მარტივია, ვიდრე ესქილეს სხვა ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებებში, ამასთანავე, გუნდის როლიც მეტად შემცირებულია. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს ტრაგედია დიდი დრამატურგის შემოქმედების ბოლო პერიოდს განეკუთვნება, როდესაც იგი სიცილიაში მოღვაწეობდა, სადაც ადგილობრივ თეატრს არ ჰქონდა ის ტრადიციები, რაც ათენს ახასიათებდა. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ „პრომეთევსი" ესქილეს სიცოცხლეში საერთოდ არ დადგმულა და რომ იგი მისი სიკვდილის შემდეგ ათენში ორმოციან წლებში დადგა მისმა ვაჟმა ევფორიონმა, რომელმაც ტრაგედიაში საკუთარი ცვლილებები შეიტანა და ენა არსებითად შეამსუბუქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივს მიაგებდი, რომ არ იმსახურებდნენ. ამის გამო ამ უსიხარულო კლდეზე გუშაგად იდგები გამართული, უძილო, მუხლმოუხრელი, ბევრა იგოდებ და უსარგებლო ოხვრას გამოსცემ, რადგან ზევსის გული შეუვალია, ყოველთვის სასტიკია ახალი ძალაუფლება[7].

**ძალაუფლება**

კარგი, რას აყოვნებ და წუხდები ამაოდ? რატომ არ გძულს ღმერთებისთვის საძულველი ღმერთი, რომელმაც შენი ტალანტიც აჩუქა მოკვდავებს?

**ჰეფესტოსი**

ნათესაობა და მეგობრობაც ძალაა.

**ძალაუფლება**

გეთანხმები, მაგრამ მამის სიტყვებისადმი დაუმორჩილებლობა როგორია? ყველაზე უფრო მაგის არ გეშინია?

**ჰეფესტოსი**

მუდამ დაუნდობელი და ქედმაღალი ხარ.

**ძალაუფლება**

რადგან არ შველის, აზრი არ აქვს წუხილს, შენ კი რაკი ვერ ეხმარები, ტყუილად ნუ იტანჯები.

**ჰეფესტოსი**

როგორ მძულს ჩემი ხელობა!

**ძალაუფლება**

რა უნდა გძულდეს? კაცმა რომ თქვას, ახლანდელ სირთულეებთან არანაირ კავშირში არაა ხელობა.

**ჰეფესტოსი**

დამაინც, მერჩივნა, სხვას რგებოდა წილისყრით.

**ძალაუფლება**

ყველაფერი მომაბეზრებელია, ღმერთებზე მბრძანებლობის გარდა, რადგან თავისუფალი არავინაა, ზევსის გარდა.

**ჰეფესტოსი**

ეს ვიცი და ამის საწინააღმდეგოდ არაფერი არ მაქვს სათქმელი.

**ძალაუფლება**

მაშ, იჩქარე და ბორკილები დაადე, მამამ რომ არ დაინახოს შენი ყოყმანი.

**ჰეფესტოსი**

აი, ჯაჭვი მზადაა, როგორც ხედავ.

**ძალაუფლება**

ხელებზე ჩამოაცვი და კლდეზე მიაჭედე მძლავრად შენი უროთი[8].

**ჰეფესტოსი**

მთავრდება საქმე, თანაც არა უვარგისად.

**ძალაუფლება**

მაგრად მიუჭირე, რომ არსად მოეშვას. მაგარი გამომგონებელია და გაქცევის გზა ისევ არ იპოვოს.

**ჰეფესტოსი**

ეს ხელი სამუდამოდაა დამაგრებული.

**ძალაუფლება**

ესეც მიამაგრე ახლა საიმედოდ, რათა ისწავლოს, რომ რაც უნდა გონიერი იყოს, იგი ბრიყვია ზევსთან შედარებით.

**ჰეფესტოსი**

ვერავინ გაკიცხავს ჩემს შრომას, პრომეთევსის გარდა.

**ძალაუფლება**

ფოლადის სოლის ჯიუტი წვეტი მთელი ძალით მკერდში ჩაასვე[9].

**ჰეფესტოსი**

ვაი, პრომეთევს, შენი ტანჯვა მაგოდებს.

---

[7] სტრ. 35 ახალი ძალაუფლება – ზევსი და მისი ოლიმპოსური სანათესაო, რომელმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო კრონოსის ჩამოგდების შემდეგ. ახალი ხელისუფლების ძველ წესრიგთან კონფლიქტი „პრომეთევსისთვისაც" ისე აქტუალურია, როგორც „ევმენისებისთვის", რომელშიც ძველ ქალღმერთ ერინისებს უპირისპირდებიან ახალი ღმერთები: აპოლონი და ათენა.

[8] სტრ. 56 კლდეზე მიაჭედე მძლავრად შენი უროთი – „პრომეთევსის" სცენის განლაგება საკმაოდ რთული დასადგენია. სავარაუდოა, რომ სცენის ფასადი ისე იყო დეკორირებული, რომ კლდოვანი ქედი წარმოედგინა. ერთ-ერთ კლდეზე, რომლის უკან იყო სცენის შენობის ცენტრალური კარი, მიაჯაჭვავდნენ პრომეთევსს. დრამის ფინალში საკმარისი იყო, გაეღოთ ეს კარი, რომ პრომეთევსი კლდესთან ერთად უკან გადავარდნილიყო, რაც მაყურებლისთვის ნიშნავდა, რომ იგი ტარტაროსში დაინთქა.

[9] სტრ. 65 მთელი ძალით მკერდში ჩაასვე – ამ სტრიქონზე დაყრდნობით, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ პრომეთევსს წარმოადგენდა თოჯინა, რომლის უკანაც იდგა მსახიობი და მის სიტყვებს წარმოთქვამდა; მაგრამ უსიცოცხლო თოჯინა, რომელსაც თავით მცირე ჟესტის გაკეთებაც არ შეეძლო, ვერ აღძრავდა მაყურებლის თანაგრძნობას. რა თქმა უნდა, არავინ არ ფიქრობდა, ფოლადის სოლი ცოცხალი შემსრულებლისთვის ჩაერჭო; ჰეფესტოსის როლის შემსრულებელ მსახიობს შეეძლო, რამდენიმეჯერ მოექნია ურო, რომელსაც დაერთვოდა ლითონის ღრჭიალი (შდრ. სტრ. 133 და შმდგ).

**ძალაუფლება**

ისევ თავს იძვრენ, ზევსის მტერს ინდობ და დასტირი? ფრთხილად იყავი, საკუთარი თავი არ გაგიხდეს დასატირებელი.

**ჰეფესტოსი**

თვალებისთვის სამწუხარო სანახაობას ქვრეტ.

**ძალაუფლება**

ეხედავ, რომ ვიღაცას მიუზღო დამსახურების მიხედვით. ახლა გვერდებზე შეუკარი ჯაჭვი.

**ჰეფესტოსი**

ისედაც ვაკეთებ, შენი თქმა არ მინდა.

**ძალაუფლება**

კიდევ მოგიხმობ და გიყვირებ კიდევ. ახლა ჩამოდი და მუხლები ძლიერად შეუკარი.

**ჰეფესტოსი**

ესეც გაკეთდა, დიდი შრომა არ დასჭირვებია.

**ძალაუფლება**

ახლა მთელი ძალით მიაჭედე ბორკილები, რადგან საქმის შემფასებელი მკაცრი გეყოლება.

**ჰეფესტოსი**

შენი იერი შენივე ენას შეესატყვისება.

**ძალაუფლება**

შენ იყავი რბილი, ჩემს სიმტკიცესა და სასტიკ ხასიათს ნუ გაკიცხავ.

**ჰეფესტოსი**

შეგვიძლია, წავიდეთ, რადგან ჯაჭვით შეკრულია მთლიანად.

*გადის.*

**ძალაუფლება**

*(პრომეთევსს)* აქ ახლა ითავხედე და ღმერთებს უფლებები მოსტაცე და ერთდღიან არსებებს მიეცი. რომელ მოკვდავს შეუძლია შეგიმსუბუქოს ტანჯვა? სულ ტყუილად დაგარქვეს ღმერთებმა პრომეთევსის სახელი[10], ახლა თავად გჭირდება წინასწარ განჭვრეტა, თუ როგორ დაიხსნა თავი ამ საიმედო ბორკილებისგან.

*ძალაუფლება და ძალა გადიან.*

**პრომეთევსი**

ო, ღვთაებრივო ეთერო და სწრაფფრთიანო ქარებო, მდინარეთა ნაკადებო, ზღვის ტალღების უთვალავო ღიმილო, ყოვლის დედა მიწავ და შენ, ყოვლისმხილველო მზის დისკო, მოგმართავ! ნახეთ: მე, ღმერთი, რას ვითმენ ღმერთებისგან. შეხედეთ, რა სამარცხვინო წამება უნდა გადავიტანო უსასრულო წლების განმავლობაში! ესაა დამამცირებელი მონობა, რომელიც მომიგონა ნეტართა ახალმა მეთაურმა. ვაი, ვაი, ამჟამინდელ და მომავალ უბედურებას ვგლოვობ, როდის დასრულდება ჩემი განსაცდელი? თუმცა, რას ვამბობ? რაც უნდა მოხდეს, წინასწარ ვიცი, მოულოდნელი ტკივილი არ იქნება. ჩემი ხვედრი, რაც შეიძლება, უფრო მსუბუქად უნდა გადავიტანო, ხომ ვიცი, რომ ბედისწერაზე ძლიერი ძალა არ არსებობს. მაგრამ ჩემს ბედზე არც დადუმება და არც არდადუმება არ შემიძლია. მოკვდავებს საჩუქრები მივართვი და ამ უბედურების უღელში აღმოვჩნდი საბრალო. დიდი კამის ღეროთი ცეცხლის ნაპერწკალი მოვიტაცე, რომელიც არის ყველა ხელოვნების მასწავლებელი მოკვდავებისთვის და ყველა სიკეთის იარაღი. ამ დანაშაულისთვის ვზღავ ბორკილდადებული ღია ცის ქვეშ. ა, ა, ეა, ეა! შეხედე! რა ხმაურია, რა სურნელი[11] მოვიდა ჩემამდე? ღვთაებრივია, მოკვდავი თუ ნახევრადღმერთი? მოვიდა სამყაროს განაპირა ბორცვზე ჩემი ტანჯვის სანახავად, თუ რისი სურვილით? შემხედეთ ბორკილდადებულ, უიღბლო ღმერთს, ზევსის მტერსა და ყველა ღმერთისთვის, ვინც კი ზევსის ეზოში შედის, საძულველს მოკვდავთა მეტისმეტი სიყვარულისთვის. ვაი, ვაი, რა ფრაშფრაში მესმის სულ ახლოს ფრინველების გუნდის? ეთერი თრთის მათი ფრთების მსუბუქი ქნევით. ყველაფერი მაშფოთებს, რაც მიახლოვდება.

## პაროდოსი

*ოკეანოსის ასულები შემოდიან*
*ფრთოსანი ეტლით*

**გუნდი**

*სტროფი I*

ნუ გეშინია, რადგან ეს მეგობრული გუნდი მოფრინდა ფრთების რხევით ამ ბორცვზე, მამის გულის ძლივს დათანხმებით. მსუბუქად მქროლმა ნიავმა მომიყვანა აქ, რკინის გრუხ-

[10] სტრ. 85. პრომეთევსის სახელი – ასეთი ეტიმოლოგიური თამაში (პრომეთევსი – „წინასწარ განმჭვრეტი") ბერძნებისთვის სერიოზული საქმე იყო და სახელი მართლაც განსაზღვრავდა ადამიანის ხასიათსა თუ ბედს. შექსპირისგან განსხვავებით, ესქილე ნახევრად სახუმაროდაც არ მიიჩნევდა ეტიმოლოგიურ ანალიზს, მისთვის აპოლონის, კლიტემნესტრასა თუ პოლინიკესის სახელებში ნომენ ესტ ომენ („სახელი ნიშანია", ანუ სახელი თავად ამბობს ყველაფერს).

[11] სტრ. 115 სურნელი – ზებუნებრივი სურნელი ღმერთის მოახლოების ნიშანია (შდრ. ევრიპიდე, ჰიპოლიტოსი სტრ. 1391; ვერგილიუსი, ენეიდა, I, 403).

უნის ექომ შემოაღწია ჩვენს გამოქვაბულებში, დავამარცხე მეტისმეტად მორცხვი მორიდება და ფეხშიშველი ნამოვედი ფრთოსანი ეტლით.

**პრომეთევსი**

ვაი, ვაი! მრავალშვილიანი ტეთისის ნაშიერნო და იმის, ვინც უძილოდ მიედინება და ერტყმის გარს მთელ მიწას, მამათქვენი ოკეანოსის, შეხედეთ, როგორი ჯაჭვით მიმამაგრეს ამ მაღალ კლდეს და აქ ვასრულებ გუშაგის მოვალეობას.

**გუნდი**

*ანტისტროფი I*

ვხედავ, პრომეთევს, ცრემლებით სავსე საშინელი ნისლი მომადგა თვალებზე, როდესაც დავინახე, შენი სხეული რომ ხმება კლდეზე მიჯაჭვული ფოლადის სამარცხვინო ბორკილებით. რადგან ახალი მესაჭეები მბრძანებლობენ ოლიმპოსზე, ახალი კანონებით უმართებულოდ მეფობს ზევსი. მანამდელი გოლიათები კი ახლა გაქრნენ.

**პრომეთევსი**

ნეტავ ქვემოთ, მიწისქვეშ, მკვდართა მიმღები ჰადესის გადაულახავ ტარტაროსში მაინც ჩავეგდე, ურღვევი ბორკილებით სასტიკად მივეჯაჭვე, რომ ვერც ღმერთსა და ვერც სხვა ვინმეს ვერ გაეხარა ჩემს განსაცდელზე! ახლა კი მაღლა ვკიდივარ, გასართობად უბედური და მტრებისთვის სასიხარულოდ ტანჯული.

**გუნდი**

*სტროფი II*

ვინ არის ისე უგულო ღმერთთაგან, რომ ეს ახარებდეს? ვინ არ თანაუგრძნობს შენს უბედურებას, ზევსის გარდა? იგი მრისხანედ მუდამ ქედუხრელი გონებით ანადგურებს ურანოსის მოდგმას, არ გაჩერდება, სანამ არ დაიცხრობს გულს ან რამე ცბიერებით არ მოსტაცებს ძნელად მოსახელთებელ ძალაუფლებას.

**პრომეთევსი**

თუმცა ახლა მძლავრი ბორკილებით ვიტანჯები, მოვა დრო, როცა დავჭირდები ნეტართა მბრძანებელს, რომ გამოვამჟღავნო ახალი გეგმა[12], რომლითაც კვერთხისა და პატივის წართმევას დაუპირებენ. მაშინ ვერ მომხიბლავს დარწმუნების დათაფლული სიმღერებით, ამაო იქნება სასტიკი მუქარა, არ გავუმჟღავნებ არაფერს, სანამ არ დამიხსნის ამ სასტიკ ბორკილებისგან და არ ამინაზღაურებს ამ შეურაცხყოფას.

**გუნდი**

*ანტისტროფი II*

შენ უშიშარი ხარ და მწარე გასაჭირს არ ეპუები, მეტისმეტად თავისუფლად ლაპარაკობ. მე კი არ მისვენებს სულს გამგმირავი შიში: შენი ბედი მაშფოთებს. სად ხედავ ამ ტანჯვათა დამასრულებელ ნავსაყუდელს? რადგან შეუვალი აქვს ხასიათი და ულმობელი გული კრონოსის ძეს.

**პრომეთევსი**

ვიცი, რომ სასტიკია და სამართალი ხელში უჭირავს ზევსს. მაგრამ მაინც მგონია, დარბილდება ერთხელაც[13], როდესაც გატყდება, როგორც მე ვიცი. მაშინ დაიცხრობს სასტიკ მრისხანებას და ჩემს მეგობრობასა და სიყვარულს ისურვებს ისევე, როგორც მე ვისურვებ მის მიღებას.

## პირველი ეპისოდიონი

**კორიფაიოსი**

ყველაფერი გაგვიმჟღავნე და მოგვიყევი, რა მოხდა. როგორი ბრალდებით შეგიპყრო ზევსმა, ასე ულირსებოდ და მწარედ რომ გსჯის. გვამცნე ჩვენ, თუ თქმით არ დაგიმავდება.

**პრომეთევსი**

მტკივნეულია ჩემთვის ამაზე ლაპარაკი, დუმილიც ტკივილია, ყველგან უბედურებაა. როდესაც პირველად აღიძრა მრისხანება ღმერთებში და ერთმანეთის ბრძოლა დაუწყეს, ზოგებს სურდათ, ტახტიდან ჩამოეგდოთ კრონოსი, რომ ზევსი მართლაც გაბატონებულიყო, ზოგი, პირიქით, ცდილობდა, რომ ზევსს არასოდეს ემართა ღმერთები, მაშინ მე, საუკეთესო სურვილით, რჩევა მივეცი ტიტანებს, ზეცისა და მიწის შვილებს, ვერ დავარწმუნე. მათ ეზიზღებოდათ ცბიერი რჩევები, ეგონათ, რომ უხეში ძალით იოლად მოიპოვებდნენ ძალაუფლებას. არაერთხელ მიწინასწარმეტყველა დედაჩემმა თემისმა, ანუ გაიამ (ერთი სახე აქვს მას, მაგრამ მრავალი სახელი), როგორი მომავლის დადგომა იყო განსაზღვრული. რომ არა ძალითა და არა ძალადობით, არამედ ცბიერებით მოიპოვებდა უპირატესობას გამარჯვებული. და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მათ ავუხსენი, მათ ყურადღება არ მიაქციეს ჩემს ნათქვამს. ყველაფერ ამასთან ერთად, საუკეთესოდ ჩავთვალე, დედას შევკავშირებოდი და ნებაყოფლობით დამეკავებინა ზევსის მხარე. ჩემი რჩევების წყალობით შავსიღრმიანი ტარტაროსის ნიაღმა დაფარა ძველი კრონოსი და მისი თანამებრძოლები. აი, ეს გავუკეთე ღმერთების მეუფეს და მან ამ ბოროტი საზღაურით გადამიხადა. რადგან სწორედ ეს არის ტირანის სენი – არ ენდო მეგობრებს. თქვენ კი მკითხეთ, რა

---

[12] სტრ. 170 ახალი გეგმა – საუბარია არა რაღაც შეგნებულად ორგანიზებულ შეთქმულებაზე, არამედ წინასწარგანსაზღვრულ ბედისწერაზე, რომლის მიხედვითაც ვაჟი, რომელსაც ზღვის ნიმფა თეტისი შობს, მამამისზე მძლავრი იქნება. ვინაიდან პრომეთევსმა იცის, რომ თავის დროზე ზევსი მოინდომებს თეტისის დაუფლებას, იგი შობს თავის დამმარცხებელ მოწინააღმდეგეს, თუ წინასწარ არ იქნება გაფრთხილებული ამ საფრთხის შესახებ (იხ. ქვემოთ, სტრ. 761-770, 908-910, 920-927).

[13] სტრ. 191 დარბილდება ერთხელაც... – მინიშნება კონფლიქტის მოგვარებაზე „განთავისუფ-ლე-ბულ პრომეთევსში".

მიზეზით მანამებს და ამას ცხადვყოფ ახლა. როგორც კი მამისეულ ტახტზე დაბრძანდა, იმავე წამს ღმერთებს დაურიგა პატივი და თითოეულს თავისი ძალაუფლება განუსაზღვრა, ხოლო უბედურ მოკვდავებს არანაირი ყურადღება არ მიაქცია, არამედ გადაწყვიტა, მათი მოდგმა მოესპო მთლიანად და ახალი გაეჩინა. ამას არავინ დაუპირისპირდა, ჩემ გარდა. მე კი გავბედე; მე გადავარჩინე მოკვდავნი, რომ არ ჩაეყლაპა ჰადესის წიაღს. ამის გამო ამ უბედურებით ვარ წელში მოხრილი, მტკივნეულია გადასატანად და საბრალოა საცქერლად. მოკვდავებს თანავუგრძნე და წინ დავაყენე ისინი, მე კი მან არ შემიბრალა, არამედ უმოწყალოდ მომექცა. ეს სანახაობა ზევსს არცხვენს.

**კორიფაიოსი**
რკინის გული აქვს და ქვისგან გაკეთებული, ვინც არ თანაუგრძნობს შენს უბედურებას, პრომეთევს; მე არ მინდოდა, ეს დამენახა, მაგრამ ვხედავ და გული მიკვდება.

**პრომეთევსი**
დიახ, მეგობრებისთვის საცოდავი სანახავი ვარ.

**კორიფაიოსი**
ხომ არ დაგირღვევია ამის მიღმაც რამე?

**პრომეთევსი**
დიახ, მოკვდავებს ვაიძულე, შეეწყვიტათ თავიანთი დაღუპვის წინასწარჭვრეტა[14].

**კორიფაიოსი**
რა წამალი იპოვე ამ სენისათვის?

**პრომეთევსი**
მათში ბრმა იმედები ჩავასახლე[15].

**კორიფაიოსი**
დიდი სიკეთე მიგიცია მოკვდავებისთვის.

**პრომეთევსი**
დამატებით მათ ცეცხლიც მივეცი.

**კორიფაიოსი**
და ახლა ელვარე ცეცხლი აქვთ ერთდღიანებს?

**პრომეთევსი**
და მისგან მრავალ ხელოვნებას დაეუფლებიან.

**კორიფაიოსი**
სწორედ ამ დანაშაულისთვის ზევსი...

**პრომეთევსი**
...მსჯის და არასდროს არ შემიწყალებს.

**კორიფაიოსი**
და ამ განსაცდელს დასასრული არ ექნება?

**პრომეთევსი**
სხვა არაფერი, სანამ იგი არ მიიჩნევს ამას საჭიროდ.

**კორიფაიოსი**
როგორ მიიჩნევს? ვერ ხედავ, რომ შეგეშალა? არ მსიამოვნებს, რომ შეგეშალა და ტკივილი მოგადგა; მაშ, ეს მივატოვოთ, ეძებე, განსაცდელისგან თავი როგორ დაიხსნა.

**პრომეთევსი**
იოლია იმისთვის, ვისაც ტკივილში არ უდგას ფეხი, რჩევა მისცეს და ჭკუა ასწავლოს იმას, ვინც განსაცდელშია. მე ხომ ეს ყველაფერი უკვე ვიცოდი. ჩემი ნებით, ჩემი ნებით შევცდი, არ უარვყოფ. მოკვდავებისთვის დახმარების აღმოჩენით საკუთარ თავს მოვუტანე ტანჯვა. მართალია, არ მეგონა, თუ ასეთი სასჯელი დამედებოდა, უკაცრიელი კლდეების უდაბნოში აღმოვჩნდებოდი და დავძაბუნდებოდი. ახლა კი ნუ გალელავებთ ჩემი ამჟამინდელი გასაჭირი, ჩამოდით მიწაზე და უსმინეთ ჩემს მომავალ ამბებს, რომ ყველაფერი იცოდეთ ბოლომდე. დამეთანხმეთ, დამეთანხმეთ მე, თანაუგრძნეთ ახლა განსაცდელში ჩავარდნილს. სინამდვილეში მოხეტიალე უბედურება ერთიდან მეორეს ეკვრება.

**გუნდი**
შენს კეთილმოსურნეებს მიმართავ, პრომეთევს. ახლა მსუბუქი ფეხით დავტოვებ ჩემს სწრაფ სავარძელსა[16] და სუფთა ჰაერს,

---

[14] **სტრ. 250 ...შეეწყვიტათ თავიანთი დაღუპვის წინასწარჭვრეტა – პრომეთევსის ამ დამსახურების აზრი ისაა, რომ მან ადამიანებს წაართვა სიკვდილის დროის ცოდნა და ამით მათ ჩაუსახა მომავლის იმედი. პლატონთან „გორგიასი" 523დ, ისტორია ასეა გადმოცემული: ადრე ადამიანთაგან ერთნი ასამართლებდნენ მეორეებს სიკვდილის თარილის დადგომამდე და ზოგს უსჯიდნენ ნეტართა კუნძულებზე დასახლებას და ზოგსაც – ტარტაროსში ჩასვლას. გაცხადებული განაჩენის შემდეგ ადამიანებს რჩებოდათ დრო, მოეტყუებინათ მსაჯულები. მაშინ ზევსმა უბრძანა პრომეთევსს, აღეკვეთა ეს სისტემა და ადამიანებს გაუფრთხილებელი სიკვდილი და მკვდრებს სხვა მკვდრების სასამართლო დაუდგინა. ვინაიდან ესქილესა და პლატონის გარდა, ეს მოტივი სხვაგან არ გვხვდება, შეიძლება დავასკვნათ, რომ პლატონმა თავისი წინამორბედის მოსაზრება გადაიაზრა ზევსის სასარგებლოდ.**

[15] **სტრ. 252. ბრმა იმედები ჩავასახლე – ამ შემთხვევაში ესქილე გადაიაზრებს ჰესიოდეს ნათქვამს. „სამუშაონი და დღენი" (სტრ. 90-105) გვიყვება, რომ პრომეთევსის მიერ მოკვდავთათვის ცეცხლის მოტაცების გამო ადამიანებს მიუგზავნეს პანდორა ყუთით, რომელშიც ყველა უბედურება და დაავადება იყო მოთავსებული; მხოლოდ მის სიღრმეში იყო იმედი. პანდორამ რომ ყუთს თავსახური ახადა, გარეთ გამოვიდა ყველა უბედურება; ხოლო, როდესაც ზევსის ნებით პანდორამ ყუთი კვლავ დახურა, მოკვდავთათვის მიუწვდომელი იმედი ყუთში დარჩა.**

[16] **სტრ. 282 სწრაფ სავარძელს – იგულისხმება ოკეანისების ფრთოსანი ეტლი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტების ბილიკს და მყარ ნიადაგს მივუახლოვდები, რადგან მსურს, გავიგონო შენი გასაჭირის მთელი ამბავი.

*ჩნდება ოკეანოსი.*

**ოკეანოსი**

გრძელი გზა გამოვიარე შენამდე, პრომეთევს, და მოვედი ფრთამალი ფრინველის მეშვეობით, რომელსაც უალვიროდ მართავს ჩემი სურვილი. იცოდე, შენს ბედს თანავუგრძნობ. ამისკენ მომიხმობს ნათესაობა[17]; თუმცა, ასე მგონია, ნათესაობის გარეშეც არავინაა, ვისაც შენზე უფრო უფრო დიდ პატივს ვცემდე. იცოდე, ეს სიმართლეა, მე არ მიყვარს ამაო და ქლესა ლაპარაკი; მაშ, მიმანიშნე, რა შემიძლია, გაგიკეთო. ვერასოდეს ვერ იტყვი, რომ ოკეანოსზე უფრო ერთგული მეგობარი გყავს.

**პრომეთევსი**

ვაჰ, ამას რას ვხედავ?! შენც მოხვედი ჩემი ტანჯვის სანახავად? როგორ გაბედე და დატოვე შენივე სახელის დინება და ქვისკამაროვანი ბუნებრივი გამოქვაბულები, მოხვედი რკინის დედამიწაზე? აქ მოხვედი ჩემი ხვედრის სანახავად და გასაჭირში სანუგეშებლად? უცქირე ამ სანახაობას, ზევსის მეგობარი, რომელიც ტირანიის დამყარებაში დაეხმარა, რა დღეში ვარ ჩავარდნილი.

**ოკეანოსი**

ვხედავ, პრომეთევს, და მინდა მოგცე საუკეთესო რჩევა, თუმცა თავადაც მოხერხებული ხარ. საკუთარ თავს დააკვირდი და ახალი გზები აითვისე, რადგან ახალი ტირანი გვყავს ღმერთებს. თუ ასე მწვავე და მკვეთრ სიტყვებს წამოისვრი, მაღლა კი ზის, მაგრამ მაინც გაიგონებს ზევსი და ახლანდელი უბედურება საბავშვო გასართობად მოგეჩვენება. საბრალო ტანჯულო, მოიცილე მრისხანება და ეძებე ამ განსაცდელისგან თავის დახსნის გზა. შეიძლება ჩემი ნათქვამი ბებრულად და სულელურად მოგეჩვენოს, მაგრამ შენი სავალალო მდგომარეობა, პრომეთევს, მხოლოდ პასუხია მეტისმეტად მოურიდებელ ენაზე. შენ კი ჯერაც ვერ ისწავლე თავმდაბლობა, ქედს არ იხრი უბედურების წინაშე, გინდა, რომ ახლანდელს მეტი ვაება დაუმატო. დამაინც, ჩამთვალე შენს მასწავლებლად, ცეცხლს ნუ ეთამაშები, ხომ ხედავ, რომ ახლა მბრძანებლობს სასტიკი მონარქი, რომელიც არავის არ ეპუება. ახლა კი მივდივარ და ვცდი, თუ შევძლებ ამ განსაცდელისგან დაგიხსნა. შენ კი დაწყნარდი და მეტისმეტად ბობოქარ სიტყვებს ერიდე. ნუთუ არ იცი ზუსტად, როდესაც ასეთი ბრძენი ხარ, რომ ქარიან ენას სასჯელი მოჰყვება?

**პრომეთევსი**

მშურს, რადგან სასჯელს გადაურჩი, თუმცა მონაწილეობდი ჩემს წამოწყებაში[18]. ასე რომ, ახლა მარტო დამტოვე და შენ ნუ შეგეხება ნურაფერი. რაც უნდა ქნა, მას ვერანაირად ვერ დაარწმუნებ. ფრთხილად იყავი, ეს მოგზაურობა ძვირად აარ დაგიჯდეს.

**ოკეანოსი**

ბევრად უკეთეს რჩევას აძლევ სხვებს, ვიდრე საკუთარ თავს. საქმითა და არა სიტყვით ვასკვნი. ასე რომ, ჩემს მოწადინებას ნურასოდეს დააბრკოლებ. დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული, რომ ამ პატივს მომანიჭებს ზევსი და ამ ტანჯვისაგან დაგიხსნი.

**პრომეთევსი**

მადლიერი ვარ და მუდამ შენი მადლიერი ვიქნები, რადგან მუდმივად მზად ხარ დახმარებისთვის; მაგრამ ნუღარ წვალობ, რადგან ამაო იქნება წვალება და ვერაფერს მომიტანს, რამდენიც უნდა იწვალო. სჯობს, დაწყნარდე და საფრთხეს მოერიდო. მე კი ვიტანჯები, მაგრამ ამის გამო არ მსურს, კიდევ ვინმე დაიტანჯოს. არა-მეთქი! გარდა ამისა, ჩემი ძმის, ატლასის, ბედიც მაღელვებს, იგი ხომ დასავლეთ მხარეში დგას და მხრებით უჭირავს ზეცისა და მიწის სვეტი, არამსუბუქი ტვირთი. მიწის შობილი, კილიკიის ქვაბულების მკვიდრის ხილვაც მადარდებს, ასთავიანი ურჩხულისა, ძალით დამორჩილებული დაუცხრომელი ტიფონისა. ყველა ღმერთს აღუდგა, საშინელი ყბებიდან სისინებდა სიკვდილს; თვალებით აკვესებდა მრისხანე სინათლეს, თითქოსდა ზევსის ტირანიას ამხობდა. მაგრამ მივიდა მასთან ზევსის უძინარი ისარი, ჭექაქუხილიანი ცეცხლით მსუნთქავი ელვა, რომელმაც მაღალფარდოვანი ტრაბახი შეაწყვეტინა. შიგ გულში მოხვდა ელვა და ძალა დაუფერფლა და ახლა უსარგებლო და მწოლიარე სხეული გაჭიმულია ზღვის პირას, გაჭყლეტილი ეტნას ფესვებით; ხოლო მაღალ მწვერვალზე ჰეფესტოსი ზის და გავარვარებულ რკინას ჭედავს. იქიდან ოდესმე ამოხეთქს ცეცხლის მდინარეები[19] და ველური ყბებით შესანსლავენ მშვენიერნაყოფიანი სიცილიის ვრცელ ყანებს. ასე ადუღდება ტიფონის მრისხანება, საშინელ ცეცხლის მსუნთქველ გრიგალად ამოხ-

[17] სტრ. 290 ამისკენ მომიხმობს ნათესაობა – ყველაზე უფრო გავრცელებული გენეალოგიის მიხევი, ოკეანოსი ურანოსისა და გეას ძეა, ანუ ტიტანია პრომეთევსივით. მეორე მხრივ, ესქილეს მიხედვით, პრომეთევსს ცოლად ჰყავდა ოკეანისი ჰესიონე (იხ. ქვემოთ, სტრ. 559 და შმდგ) – შესაბამისად, ამ ხაზით იგი ოკეანოსს ენათესავება.

[18] სტრ. 333. მონაწილეობდი ჩემს წამოწყებაში – ამ ადგილის მიხედვით ჩანს, რომ ოკეანოსი მონაწილეობდა პრომეთევსის შეთქმულებაში, თუმცა მანამდე, სტრ. 236-ეს მიხედვით, პრომეთევსს თანამონაწილეები არ ჰყოლია ზევსთან დაპირისპირებაში.

[19] ეტნის ამოფრქვევა ძვ.წ. 479/8 წ. ასევე აღწერილი აქვს ცნობილ პასაჟში პინდაროსს (პინდაროსი, პითიური ოდები, 1.21, დაწერილია ძვ.წ. 470 წ.), რომელსაც გულისხმობს ესქილე. ლირიკოსი პოეტი ყურადღებას ამახვილებს ამოფრქვევის ფიზიკურ ასპექტზე დღისითა და ღამით; დრამატურგი კი ყურადღებას ამახვილებს იმ ზიანზე, რომელიც მიწათმოქმედის ნამუშევარს მიადგა.

ეთქავს, თუმცა ზევსის მიერ ნაცრად არის ქცეული. შენ არ ხარ გამოუცდელი და ჩემი მასწავლებლობა არ გჭირდება. თავი დაიხსენი, ეს კარგად გეხერხება; მე კი ამჟამინდელ ხვედრს გავუძლებ, სანამ ზევსის მრისხანება არ დაცხრება.

**ოკეანოსი**

ნუთუ არ იცი, პრომეთევს, ეს, რომ მრისხანების დაავადებას სიტყვები ექიმობენ?

**პრომეთევსი**

დიახ, თუ დროულად არბილებ გულს და ძალით არ აცხრობ აღელვებულ სულს.

**ოკეანოსი**

რა დანაშაულს ხედავ, თუ გამბედაობას ემატება გულმოდგინება? მასწავლე მე.

**პრომეთევსი**

უაზრო გარჯა, სულელური გულუბრყვილობა.

**იკეანოსი**

ნება დამრთე, ამ სენით ვიყო სნეული, რაკი სასარგებლოა, სულელი ჩანდე, როცა ბრძენი ხარ.

**პრომეთევსი**

ეს ნაკლი ჩემსას უფრო ჰგავს.

**ოკეანოსი**

შენი სიტყვა ცხადად ისევ სახლში მაგზავნის.

**პრომეთევსი**

რომ ჩემზე გლოვამ მტრობაში არ გადაგისროლოს.

**ოკეანოსი**

იმის, ვინც ახლა დაბრძანდა ყოვლისშემძლე ტახტზე?

**პრომეთევსი**

მაგას უფრთხილდი, ოდესმე გული არ მოუვიდეს.

**ოკეანოსი**

შენი სავალალო მდგომარეობა, პრომეთევს, ჩემი მასწავლებელია.

**პრომეთევსი**

წადი, გაეშურე, შეინარჩუნე ამჟამინდელი განზრახვა.

**ოკეანოსი**

ისედაც ვაპირებდი წასვლას, როცა მომიწოდე სიტყვით. მზადაა გასრიალდეს ეთერის გლუვ გზაზე ფრთებით ოთხფეხა ფრინველი; ბედნიერი იქნება, სახლში, თავლაში რომ მუხლს მოასვენებს.

*ოკეანოსი გადის.*

## პირველი სტასიმონი

**გუნდი**

*სტროფი I*

დავტირი შენს უბედურ ხვედრს, პრომეთევს. ცრემლები ნელვრება თვალებიდან, ნაზი ყვრიმალები მისველდება მათი ნოტიო ნაკადით. რადგან ზევსს ეს საზიზღარი ძალაუფლება უპყრია, საკუთარი კანონებით მბრძანებლობს და ძველი დროის ღმერთების მიმართ ქედმაღლურ სულს აჩენს.

*ანტისტროფი I*

ახლა უკვე მთელი მიწა ხმამაღლა კვნესის, დასტირის შენს კეთილშობილ და ძველ პატივს, დასტირის შენი ძმების დიდებას, ყველა, ვინც ცხოვრობს აზიის წმინდა მიწაზე, დასტირის შენს ბვედრს და თანაგიგრძნობს.

*სტროფი II*

კოლხეთის მიწის მცხოვრები ქალწულები, ბრძოლაში უშიშარნი; სკვითების ტომი, რომელიც დედამიწის ყველაზე შორეულ მხარეში ცხოვრობს მეოტისის ტბასთან[29];

*ანტისტროფი II*

არაბეთის მამაცი ყვავილი, რომელიც ცხოვრობს მაღალ კლდეებში განლაგებულ ქალაქში კავკასიონის მახლობლად, მტრული ლაშქარი, რომელიც წვერწამახულ შუბებს აჟღარუნებს.

*სტროფი III*

ადრე მხოლოდ ერთი სხვა მინახავს ტანჯვაში დამონებული ფოლადის ბორკილებით შეურაცხყოფილი ტიტანი, ღმერთი, მარადი ატლასი, გამორჩეული უდიდესი ძალით, რომელსაც ზეცის ღერძი მხრებით უჭირავს და კვნესის.

*ანტისტროფი III*

ზღვის ტალღა ეცემა და ბღავის, სიღრმე გლოვობს, ჰადესის შავი უფსკრული საპასუხოდ გრუხუნებს და წმინდა მდინარეების ნაკადები დასტირიან შენს საბრალო ტკივილს.

## მეორე ეპისოდიონი

**პრომეთევსი**

არ ჩათვალოთ, რომ სიამაყის ან თვითდაჯერებულობისგანაა, რომ ვდუმვარ; იმაზე

[29] სტრ. 418-419. მეოტისის ტბა – აზოვის ზღვა.

ფიქრით მიკვდება გული, რომ ვხედავ, როგორ დამამცირეს. არადა, ამ ახალ ღმერთებს პატივი სხვა ვინმემ ხომ არა, ხომ მე გავუნაწილე ცხადად?! მაგრამ ამაზე ვდუმვარ; ისედაც იცით, რაც უნდა მეთქვა თქვენთვის. სჯობს, მოუსმინოთ, როგორი იყო მოკვდავთა ტანჯვა, ბრიყვები რომ იყვნენ, სანამ მათ აზრი ვაჩუქე და გონიერი გავხადე. იმიტომ კი არ ვიტყვი ამას, რომ გავკიცხო ადამიანები, არამედ, რომ გაგაგებინოთ, რა სიკეთე ვუყავი მათ. ადრე ისინი ხედავდნენ და ამაოდ ჭვრეტდნენ, ესმოდათ და ვერ იგებდნენ, არამედ სიზმრის ჩვენებებს მიმსგავსებულნი მთელი ცხოვრება ყველაფერს ურევდნენ, არც აგურით მზიანი სახლების შენება იცოდნენ, არც დურგლობა. მიწისქვეშ ცხოვრობდნენ, როგორც ჰაერივით მსუბუქი ჭიანჭველები უმზეო გამოქვაბულთა სიღრმეში. არ ჰქონდათ არც ზამთრის ცხადი ნიშანი, არც აყვავებული გაზაფხულის, არც ნაყოფიერი შემოდგომისა, უაზროდ აკეთებდნენ ყველაფერს, სანამ მე არ ვასწავლე ვარსკვლავების ამოსვლა და ძნელად გასარჩევი ჩასვლა. და რიცხვები, მეცნიერებათაგან უმთავრესი, გამოვუგონე მათ, და ასოთა შეერთება, ყველაფრის მეხსიერება, მუზების შემოქმედი დედა. უღელში პირველმა მე შევაბი ველური ცხოველები, ცალუღებითა და უნაგირით დავიმორჩილე, რომ მოკვდავებს ყველაზე უფრო მძიმე შრომაში ჩანაცვლებოდნენ, ეტლში შევაბი სადავეს მინდობილი ცხენები, სიმდიდრისა და კეთილდღეობის სიამაყე. ვინმე სხვამ კი არა, მე გამოვიგონე ზღვაზე მცურავი მეზღვაურების აფრებით ფრთოსანი ხომალდები. უბედური ვარ, ასეთი მანქანები გამოვუგონე კაცობრიობას, საკუთარი თავისთვის კი ვერაფერი მომიფიქრებია, უბედურებისგან თავი რომ დავიხსნა.

**კორიფაიოსი**

სამარცხვინო ტანჯვას განიცდი. გონებამ გიმტყუნა და დაიბენი და ცუდი ექიმივით, თვითონ რომ დასნეულდება, საკუთარი თავისთვის ვერ გიპოვნია წამალი, რომელიც განგკურნავდა.

**პრომეთევსი**

დანარჩენს რომ მოისმენ, კიდევ უფრო გაოცდები, თუ რა ხელოვნებანი და საშუალებანი გამოვიგონე. ერთი ყველაზე დიდია – ვინმე თუ ავად გახდებოდა, არ იყო არანაირი დაცვა, არც საკვები, არც მალამო, არც სითხე, არამედ წამლის უქონლობის გამო იღუპებოდნენ, სანამ მე მათ არ ვაჩვენე ტკივილგამაყუჩებელი წამლების ნარევი, რომლითაც ყველა დაავადებისგან იცავენ თავს. წინასწარმეტყველების ყველა გზა მოვაწესრიგე, სიზმრებიდან პირველმა განვსაზღვრე, რომელი ახდება, განვმარტე გაუგებარი ნიშნები და გზად შემხვედრი სიმბოლოები; მოხრილბრჭყალიანი ფრინველების ფრენა ზუსტად განვმარტე, რომელია ბუნებით სიკეთის მაუწყებელი და რომელი სიავის, ცხოვრების როგორი წესი აქვს თითოეულს, როგორ მტრობენ ერთმანეთს, როგორ უყვართ და როგორ წყვილდებიან. შიგნეულის სიგლუვე და რომელი ფერი რომელ ღმერთს მოსწონს, ღვიძლის წილის სხვადასხვაგვარი სიმეტრია. ქონში შეხვეული ნაწილები და გრძელი სუკი დავწვი და მისნობის ხელოვნებას ვაზიარე მოკვდავნი და ავუხსენი ცეცხლის ნიშნები, რომლებიც მიუწვდომელი იყო მანამდე. საკმარისია ამ ხელოვნებებზე. მიწის ქვეშ კი დამალული სიკეთე ადამიანებისთვის – სპილენძი, რკინა, ვერცხლი და ოქრო – ვინ იტყვის, რომ ჩემამდე აღმოაჩინა? ვერავინ, კარგად იცოდე, თუ ამაოდ არ სურს ილაყბოს. ისწავლე მოკლე სიტყვით თავმოყრილი ყველაფერი – ყველა ხელოვნება მოკვდავებს პრომეთევსისგან აქვთ.

**კორიფაიოსი**

ახლა მოკვდავებზე ნულარ იზრუნებ, საკუთარ უბედურებაზე იფიქრე. მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვარ, ამ ბორკილებისგან თავს დაიხსნი და ზევსზე ნაკლები ძალა არ გექნება.

**პრომეთევსი**

ამგვარად არ აპირებს ყველაფრის დამასრულებელი მოირა ამ საქმის დასრულებას. მრავალი ტანჯვით და ათასი ცდის შემდეგ მოვიშორებ ამ ბორკილებს – უნარი ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ბედისწერა.

**კორიფაიოსი**

და ვინ არის ბედისწერის მესაჭე?

**პრომეთევსი**

სამსახიანი მოირები და ყველაფრის მხსოვნელი ერინიები.

**კორიფაიოსი**

ნუთუ ზევსს მათზე ნაკლები ძალა აქვს?

**პრომეთევსი**

დიახ, ვერც ის გაექცევა იმას, რაც დადგენილია.

**კორიფაიოსი**

და სხვა რაა დადგენილი ზევსისთვის, მარადიული მეფობის გარდა?

**პრომეთევსი**

ამას ვერ გაიგებ, ნუ შეეცდები!

**კორიფაიოსი**

ეს რაღაც წმინდა საიდუმლოა, რაკი გვიმალავ.

**პრომეთევსი**
სხვა საგანზე იფიქრე, ამის გასაგებად კი ჯერ დრო არ მოსულა, არამედ, რაც შეიძლება, დაფარული უნდა იყოს. რადგან ასე ვიხსნი თავს სამარცხვინო ბორკილებისა და ტანჯვისაგან.

## მეორე სტასიმონი

**გუნდი**
*სტროფი I*
დაე, არასდროს არ დაუპირისპიროს ჩემს აზრს თავისი ძალა ყველაფრის მბრძანებელმა ზევსმა, [530] არასოდეს არ დავიზარებ, მივართვა ღმერთებს ხარების შესაწირავი მამა ოკეანოსის დაუცხრომელი დინების გვერდით, არასოდეს დავაშავებ სიტყვით, დაე, სამუდამოდ დამრჩეს გონებაში და არასოდეს ჩაცხრეს ეს წესი.

*ანტისტროფი I*
ტკბილია, მყარი იმედებით რომ გაივლი მთელ ცხოვრებას, მხიარული განწყობილებით სავსე გულით. [540] მაცახცახებს, როცა გხედავ მირიადი ტანჯვით განადგურებულს. ზევსის არ გეშინოდა, საკუთარი მოსაზრებით მეტისმეტ პატივს სცემდი მოკვდავებს, პრომეთევს.

*სტროფი II*
ნახე, რომ უმადლო დარჩა შენი მადლი, მეგობარო! ახლა სადაა ხსნა? რა შეუძლიათ ერთდღიანებს? ვერ ხედავ ცხადად უიმედო სისუსტეს, სიზმარეულ, ბრმა მოდგმას ფეხებშებორკილს? ვერასოდეს ზევსის წესრიგს ვერ დაარღვევს მოკვდავთა სურვილები.

*ანტისტროფი II*
ეს ვისწავლე, როცა ვნახე შენი დამღუპველი ბედი, პრომეთევს. სრულიად სხვაგვარი სიმღერა მომიფრინდა, ის სიმღერა, რომელიც მივუძღვენი საქორწინო განბანვასა და სარეცელს შენი ქორწინებისას, როდესაც ჩემი და, მამით ერთი ჰესიონე დაარწმუნე საქორწინო საჩუქრებით, რომ შენი თანამეცხედრე მეუღლე გამხდარიყო.

## მესამე ეპისოდიონი

*შემოდის იო*[21].

**იო**
რა მიწაა? რა ხალხი? რა სახელით მოვუხმო იმას, ვისაც ვხედავ კლდეზე შებორკილს ამ ქარიშხალში? რა დანაშაულის გამო იღუპები ტანჯვაში? მანიშნე, რა მიწაზე აღმოვჩნდი ხეტიალისას უბედური. ოჰ, ოჰ, აჰ, აჰ! ისევ დამნესტრა ბუზანკალმა მე უბედური, მიწისშობილი არგოსის აჩრდილმა, მომაშორე იგი, დედამიწავ! ვკანკალებ, როდესაც ათასთვალიანი მწყემსი ვხედავ, უკან მომყვება ცბიერი მზერით, [570] მკვდარიც კი მიწამ ვერ შეინახა. ჩემზე, უბედურზე, ნადირობს წიაღიდან ამოსული, მომსდევს მშიერს ზღვის ნაპირის ქვიშაზე.

**სტროფი**
ცვილისგან ნაკეთები სალამური ხმამაღლა აჟღერებს მუსიკის ძილისმომგვრელ ჰანგს. ვაი, ვაიმე! სად მომიყვანა შორსმიმავალმა ხეტიალმა? კრონოსის ძეო, რა დანაშაული მიპოვე, რისთვის ჩამაგდე ამ [580] განსაცდელში? აჰ, აჰ! ბუზანკალისგან აღძრული შიშით აგიჟებ და ასე აწამებ საბრალო ქალიშვილს? ცეცხლში დამწვი ან მიწაში დამმარხე, ან ზღვის ურჩხულებს მიმეცი საჭმელად, მაგრამ უარი არ უთხრა ჩემს ლოცვას, მეუფევ! ბევრი ვიხეტიალე და ხეტიალმა მასწავლა საკმარისი, მაგრამ ვერ ვისწავლე, როგორ დავიხსნა თავი ტანჯვისგან. გესმის რქოსანი ქალიშვილის ხმა?

**პრომეთევსი**
როგორ არ გავუგონებ ბუზანკალის დევნილ ქალიშვილს, [590] ინაქოსის ასულს? რომელმაც ზევსს აუნთო გული სიყვარულით და ახლა ამოდენა გზაზე დარბის ჰერას სიძულვილის ძალით გადაღლილი.

**იო**
*ანტისტროფი*
საიდან მიხმობ მამაჩემის სახელით? მითხარი საბრალო ქალიშვილს, ვინ ხარ? უბედურო, ვინ ხარ, მე უბედურს რომ სწორად მომმართავ? ღვთივმოგზავნილი ჩემი სენი დაასახელე, რომელიც მაწამებს და ნესტრით მნესტრავს და დამარბენინებს, ვაი, აჰ, აჰ! ნახტომებით, შიმშილით [600] განამებული გამალებული მოვედი, ჰერას შურისმაძიებელი გეგმების მსხვერპლი. უბედურთაგან ვის გადაუტანია, აჰ, აჰ, რაც მე გადავიტანე?! მიმანიშნე ცხადად, რას უნდა ველოდე, რა საშუალებაა, სენის რა წამალია, მითხარი, თუკი იცი. ხმა გამეცი, მითხარი მოხეტიალე ქალიშვილს.

**პრომეთევსი**
ცხადად გეტყვი ყველაფერს, რაც გინდა იცოდე, [610] არა ჩახლართული ქარაგმებით, არამედ უბრალო სიტყვით, როგორც სწორია, მეგობრებში ღიად უნდა ილაპარაკო. მოკვდავეთათვის ცეცხლის მიმცემ პრომეთევსს ხედავ.

[21] ვაზის მხატვრობაში ესქილეს შემდგომ ხანაში, შესაძლოა სწორედ მისი გავლენით, იო ხშირად წარმოდგენილი იყო რქებით, რომლებიც მის დეკეულად ქცევის სიმბოლოს წარმოადგენდა. უფრო ადრინდელ ვაზებზე იგი მთლიანად ძროხის სახით იყო წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იო**

შენ თავი გამოავლინე, როგორც მოკვდავთა საერთო მოკეთემ, საბრალო პრომეთევს, რისთვია იტანჯები ასე?

**პრომეთევსი**

ახლახან დავასრულე ჩემს განსაცდელზე გლოვა.

**იო**

მაშ, მე არ აღმომიჩენ ამ სიკეთეს?

**პრომეთევსი**

მითხარი, რა გსურს; რადგან ყველაფერს შეიტყობ ჩემგან.

**იო**

მითხარი, ამ კლდეზე ვინ მიგაჯაჭვა?

**პრომეთევსი**

ზევსის გადაწყვეტილებამ და ჰეფესტოსის ხელმა.

**იო**

და რა დანაშაულისთვის იხდი ამ სასჯელს?

**პრომეთევსი**

საკმარისად ვთქვი, რომ შენთვის გასაგები ყოფილიყო.

**იო**

ამას ერთი სიტყვაც დაუმატე ჩემი ხეტიალის დასასრულზე – მითხარი, რა დროა გამოყოფილი მე უბედურისთვის.

**პრომეთევსი**

შენთვის სჯობია არ იცოდე, ვიდრე იცოდე ეს.

**იო**

გევედრები, არ დამიმალო, კიდევ რა უნდა გადავიტანო.

**პრომეთევსი**

უარს არ გეტყვი ამ საჩუქარზე.

**იო**

მაშ, რას აყოვნებ და ყველაფერს რად არ მეუბნები?

**პრომეთევსი**

უარს არ ვამბობ, მაგრამ მეშინია, გული არ დაგწყვიტო.

**იო**

იმაზე მეტად ნუ დამინდობ, რაც მე არ მინდა.

**პრომეთევსი**

რაკი მაიძულებ, უნდა ვთქვა, მაშ, მომისმინე.

**კორიფაიოსი**

არა, ჯერ არა, ჩემი სურვილიც აასრულე. ჯერ მისი სენის ამბავი გავიგოთ, თვითონ თქვას, რა საშინელი ამბები შეემთხვა, ხოლო დანარჩენი, რაც უნდა მოხდეს, შენ უთხარი.

**პრომეთევსი**

შენი საქმეა, იო, უნდა აუსრულო ეს სურვილი, მით უმეტეს, რომ მამაშენის დები არიან[22]. ხმამაღლა გოდება და მწარედ მოთქმა ბედზე, როცა ცნობილია, რომ მონაყოლი ცრემლებს გამოიწვევს მსმენელში, ღირებული გასაკეთებელია.

**იო**

არ ვიცი, როგორ შეიძლება უარი გითხრათ. მართალი სიტყვით გაიგებთ, რისი ცოდნაც გინდათ. თუმცა კი მრცხვენია თქმა ღვთისმოვლენილ გრიგალსა და განსაცდელზე, რომელიც უეცრად დამატყდა თავს. რადგან მუდამ ღამით ჩვენებები მეწვეოდნენ ქალწულთა ოთახში ნაზი სიტყვებით: „უდიდესი ბედნიერების ასულო, რატომ ხარ ქალწული ამდენ ხანს, ზევსი შენდამი ვნების ისარს აუნთია და კიპრისთან[23] შერთვა სურს; შენ, შვილო, უარი არ თქვა ზევსის სარეცელზე, არამედ გადი ლერნეს[24] ნაყოფიერ ველზე, სადაც ძოვს მამაშენის ფარა და ჯოგი, რომ ზევსის თვალებში სურვილი დააცხრო." ასეთი სიზმრებით მთელი ღამეები ვიყავი ალყაშემორტყმული, სანამ არ გავბედე და მამას არ ვუთხარი ღამისეულ ჩვენებებზე. და მან შიკრიკები დააგზავნა პითოსა და დოდონეში[25], რომ გაეგო, რა უნდა გაეკეთებინა ან ეთქვა, რომ ღმერთებისთვის ესიამოვნებინა. ჩამოვიდნენ ორაზროვანი, ბნელი და ძნელად გასაგებად გამოთქმული წინასწარმეტყველებებით. ბოლოს შეუმცდარი წინასწარმეტყველება მოუვიდა ინაქოსს, რომელიც ცხადად უბრძანებდა და ავალებდა, სახლიდან და სამშობლოდან გავეძევებინე, რომ მეხეტიალა დედამიწის უკიდურეს მხარეებში; თუ არ ისურვებდა, ზევსის ცეცხლისთვალება ელვა მოვიდოდა, რომელიც ამოწყვეტდა მთელ მის მოდგმას. მიენდო რა ლოქსიასის[26] ამ წინასწარმეტყველებას, გამაგდო და დამიკეტა სახლის კარი, ჩემი და მისი ნების საწინააღმდეგოდ. დაემორჩილა ზევსის ლაგამს და იძულებული გახდა, ეს გაეკეთებინა. იმავე წამს იერი და სული დამიმახინჯდა, რქიანი, როგორც ხედავთ, მწარენესტრიანი ბუზანკლისგან დანესტრილი გაშმაგებული

[22] სტრ. 636 მამაშენის დები არიან – ინაქოსი, იოს მამა, როგორც ყველა მდინარის ღმერთი, ოკეანოსის შვილად ითვლებოდა.

[23] სტრ. 650 კიპრისი – აფროდიტე. კიპრისთან შერთვა სურს – სიყვარულით შენთან შერთვა სურს.

[24] სტრ. 652 ლერნე – ჭაობიანი ადგილი არგოსის მახლობლად.

[25] სტრ. 658 დოდონე – ზევსის სამისნო ეპიროსში. აქ ქურუმები წმინდა მუხის ფოთლების შრიალით მისნობდნენ. იხ. ქვემოთ, სტრ. 880-833.

[26] სტრ. 669 ლოქსიასი – აპოლონი.

ნახტომით გავვარდი კერხნეიის[27] კეთილსასმელი დინებისა და ლერნეს წყაროსაკენ; მიწის შობილი მწყემსი, რისხვით დაუოკებელი არგოსი კი მომსდევდა, ურიცხვი თვალებით უყურებდა ჩემს ნაკვალევს. მოულოდნელად იგი უცაბედმა სიკვდილმა სიცოცხლეს გამოსტაცა, მე კი ბუზანკალი ღვთაებრივი მათრახით ქვეყნიდან ქვეყანაში დამარბენინებს. გესმა, რაც მოხდა. თუ რამე გაქვს სათქმელი, რა ძირი დარჩა, გამოააშკარავე. სიბრალულისგან ნუ მანუგეშებ ცრუ სიტყვებით, რადგან ყველაზე უფრო სამარცხვინოდ მიმაჩნია ყალბი სიტყვები.

**გუნდი**

ოჰ, აჰ, მოიცა, ვაი! არასოდეს, არასოდეს არ ველოდი, რომ ასე უცნაური სიტყვებს გაიგონებდა ჩემი ყურები, ეს შემზარავი სანახაობა და აუტანელი ტანჯვა, სიბინძურე, შიში ორლესული მახვილივით ლახვრავს ჩემს სულს. ვაი, ვაი, ბედი, ბედი! მაცახცახებს, იოს ხვედრს რომ ვხედავ.

**პრომეთევსი**

ნაადრევად კვნესი და შიშით სავსე ხარ. ჯერ დანარჩენი უნდა გაიგო.

**კორიფაიოსი**

თქვი, გვასწავლე. სნეულისთვის ტკბილია, წინასწარ ცხადად გაიგოს, რა ტკივილია დარჩენილი.

**პრომეთევსი**

თქვენი პირველი თხოვნა იოლად შეგისრულეთ, გსურდათ, თავად მისგან გაგეგოთ მისი ამბავი. დანარჩენი ახლა მოისმინეთ, რა უნდა გადაიტანოს ამ საბრალო ყმაწვილმა ქალმა ჰერასაგან. შენ კი, ინაქოსის თესლო, ჩემს სიტყვებს გული დაუდე, რათა გაიგო, სადაა შენი გზის დასასრული. უპირველესად აქედან მიემართე მზის აღმოსავლისკენ და გაემართე მოუხნავი ველებისკენ; მიადგები სკვით მომთაბარეებს, რომლებიც დაწნულ სახლებში ცხოვრობენ, რომლებიც შედგმული აქვთ მძლავრბორბლიან ეტლებზე და შეიარაღებული არიან შორსმიმწვდომი მშვილდებით. მათ არ მიუახლოვდე, ზღვის მკვნესარე ხმიან კლდოვან ნაპირებს ახლოს გაუყევი და გაეცალე მათს მიწას. ხელმარცხნივ ცხოვრობენ რკინის მუშაკი ხალიბები[28], გმართებს, მათ მოერიდო, რადგან არიან მოუთვინიერებელი და უცხოებისთვის მიუკარებელი. მიადგები მდინარე ჰიბრისტესს, რომელიც თავის სახელს არ ღალატობს[29]. ის არ გადალახო, რადგან ძნელი გადასავლელია, სანამ არ მიხვალ თვით კავკასიონთან, მთათაგან უმაღლესთან. აქ მდინარე მძვინვარედ მოქუხს მისი მწვერვალიდან. უნდა გადაიარო ვარსკვლავებია მეზობელი მწვერვალები და სამხრეთისკენ აიღო გეზი, სადაც მიადგები კაცთმოძულე ამაზონების ლაშქარს. ისინი შემდგომში დამკვიდრდებიან თემისკირაში[30] თარმოდონის ნაპირას, სადაც სალმიდესოსის კლდოვანი საზღვაო სრუტეა, არასტუმართმოყვარე მეზღვაურებისთვის, ხომალდების დედინაცვალი. ამაზონები სიამოვნებით გაგიძღვებიან გზაზე. ამის შემდეგ ზღვის ვიწრო კარიბჭესთან, კიმერიელების ყელთან მიხვალ, რომელიც უშიშრად უნდა დატოვო და გადახვიდე მეოტისის სრუტე; დარჩება მოკვდავებში სამუდამოდ დიდი სიტყვა შენი მოგზაურობის შესახებ, და ეწინრობს ეწოდება ბოსპოროსი[31] სახელად. დატოვებ ევროპის მიწას და მიადგები აზიის მატერიკს. არ გეჩვენებათ, რომ ღმერთების მბრძანებელი ყველაფერში ერთნაირად მოძალადეა? ამ მოკვდავთან შეერთების მსურველმა ასეთ გზაზე გადმოისროლა. შენი ხელის სასტიკ მთხოვნელს ნააწყდი, ქალწულო. რაც ახლა სიტყვები გაიგონე, შენთვის, იცოდე, დასაწყისიც არ არის ჯერ.

**იო**

ვაიმე, აჰ, აჰ!

**პრომეთევსი**

შენ ისევ ყვირი და კვნესი? მაშინ რას იზამ, როდესაც დანარჩენი უბედურების ამბავს გაიგებ?

**კორიფაიოსი**

როგორ, კიდევ დაგრჩა რამე ტანჯვა, მისთვის სათქმელი?

**პრომეთევსი**

დიახ, მშფოთვარე ზღვა დაუღუპველ უბედურებათა.

**იო**

რა სარგებლობა აქვს ჩემს სიცოცხლეს? რატომ არ გადავეხტები პირდაპირ ამ ციცაბო კლდიდან, რომ დავენარცხო მიწას და ყველა

---

[27] სტრ. 676 კერხნეია – ქალაქი არგოსის მახლობლად.

[28] სტრ. 715 ხალიბები – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომთა ერთი ჯგუფის სახელწოდება ანტიკური ხანის მწერლების ცნობებში. ხალიბები იხსენიებიან ძირითადად დასავლეთქართული ტომების გარემოცვაში. ქსენოფონსა და სტრაბონთან ხალიბების სინონიმებად არის მიჩნეული „ხალდები“, რომლებსაც VIII საუკუნის სომხური „გეოგრაფია“ ჭანებთან აიგივებს. ამიტომ ხალიბებსაც დასავლურქართულ ტომებად მიიჩნევენ.

[29] სტრ. 717. ჰიბრისტესი – სიტყვასიტყვით, „მოძალადე“ (სიტყვიდან ჰყბრის ძალადობა).

[30] სტრ. 724 და შმსგ თემისკირა – ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე; თარმოდონი – მდინარე, რომელიც თემისკირის მახლობლად უერთდება ზღვას.

[31] სტრ. 733. ბოსპოროსი – ამ ტერმინის ხალხური ეტიმოლოგია მომდინარეობს βοῦς და πόρος სიტყვებიდან „ძროხის გადასასვლელი“, სინამდვილეში, ვეკლაინის მიხედვით, არის ჰეკატეს ეპითეტის, Φωσφόρος „სინათლის მატარებელი“ სიტყვის თრაკიული ფორმა. ერთხელ შეცდომით გადააზრებული ეს დიალექტური ფორმა თრაკიულიდან (იხ. ესქილე, „სპარსელები“, სტრ. 746) ყირიმის სრუტეზე გადავიდა. სხვათა შორის, „მავედრებლებში“ ესქილემ იოს თრაკიული ბოსფორი გადაალახვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯვისაგან [750] გავთავისუფლდე? უმჯობესია ერთხელ სიკვდილი, ვიდრე ყოველდღე ტანჯვაში ცხოვრება.

**პრომეთევსი**

აჰ, ჩემს ტანჯვას ხომ კიდევ უფრო მძიმედ განიცდიდი, რადგან მე სიკვდილიც არ მიწერია. ის ხომ ტანჯვათაგან დამიხსნიდა. ახლა კი ბოლო არ აქვს ჩემს უბედურებას დანიშნული, ვიდრე ზევსის ტირანია არ დაემხობა.

**იო**

როგორ, ნუთუ ერთხელაც ზევსი დაემხობა?

**პრომეთევსი**

გაგიხარდებოდა, მგონია, ეს რომ გენახა.

**იო**

რატომაც არა, თუკი მისგან ვარ ამ დღეში ჩავარდნილი?

**პრომეთევსი**

[760] მაშ, კარგად იცოდე, რომ ეს ახდება.

**იო**

ვინ წაართმევს ყოვლისშემძლე კვერთხს?

**პრომეთევსი**

თვითონ წაირთმევს უგუნური ჩანაფიქრებით.

**იო**

რა გზით? მითხარი, თუ თქმით არ დაშავდება.

**პრომეთევსი**

დაქორწინდება და ეს ერთხელაც დაამხობს.

**იო**

ქალღმერთთან თუ მოკვდავთან? თქვი, თუ ითქმება.

**პრომეთევსი**

რას კითხულობ? არ შემიძლია, რომ ვთქვა.

**იო**

იქნებ მეუღლემ ჩამოაგდოს ტახტიდან?

**პრომეთევსი**

რომელიც უშობს მამაზე უფრო ძლიერ შვილს.

**იო**

არ შეუძლია ეს ხვედრი აიცილოს?

**პრომეთევსი**

[770] არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მე ბორკილებისგან გავთავისუფლდები.

**იო**

მერედა ვინ გაგათავისუფლებს ზევსის ნების საწინააღმდეგოდ?

**პრომეთევსი**

ის უნდა იყოს შენს შთამომავალთაგან[32].

**იო**

რას ამბობ? ჩემი შვილი დაგიხსნის განსაცდელისგან?

**პრომეთევსი**

დიახ, მესამე თაობა, ათი სხვა თაობის შემდეგ[33].

**იო**

შენი წინასწარმეტყველება იოლი გასაგები არ არის.

**პრომეთევსი**

და საკუთარი გასაჭირის სრული სიგრძის გაგებას ნუ ეცდები.

**იო**

დაპირებულს ნუ წამართმევ!

**პრომეთევსი**

ორი ამბისგან ერთ-ერთს გეტყვი.

**იო**

რომელი ორისგან, მითხარი, რომ ამოვირჩიო.

**პრომეთევსი**

[780] გაძლევ: ამოირჩიე, ან შენს დარჩენილ ტანჯვაზე ვიტყვი ცხადად, ან ჩემს განმათავისუფლებელზე.

**კორიფაიოსი**

ამათგან პირველი ამას უთხარი, მეორე კი მე, არ მითხრა უარი. მას უთხარი მის მომავალ ხეტიალზე, მე კი შენს მხსნელზე, ერთი სული მაქვს, გავიგო.

**პრომეთევსი**

რაკი თქვენი სურვილია, წინააღმდეგობას არ გაგიწევთ და რისი ცოდნაც გწყურიათ, გაგაგებინებთ. უპირველესად შენ,

[32] სტრ. 772 ის უნდა იყოს შენს შთამომავალთაგან – იგულისხმება ჰერაკლესი, რომელიც იოს შთამომავალია წინაპარ პერსევსის ხაზით.

[33] სტრ. 774 მესამე თაობა, ათი სხვა თაობის შემდეგ – თუკი თითოეულ თაობაში საშუალოდ 40 წელს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ პრომეთევსის ტანჯვა გაგრძელდება დაახლოებით 500 წელს და არა „უსასრულო წლების განმავლობაში", როგორც მის პირველ მონოლოგში იყო ნათქვამი.

იო, ხეტიალზე გეტყვი, რაც ჩაიწერე შენი გულის მეხსიერების დაფებზე. [790] როდესაც გადალახავ დინებას მატერიკებს შორის, ცეცხლოვანი აღმოსავლეთით, მზით გასხივოსნებულით [...] ზღვის ხმაურს რომ გადალახავ, აღმოაჩენ გორგონების კისთენეს ველს, სადაც ფორკისის ძველი ასულები ცხოვრობენ, სამნი, გედისებურნი, საერთო თვალი აქვთ და თითო კბილი, არც მზეა შეუხედავს მათთვის სხივებით, არც ღამისეულ მთვარეს ოდესმე. მათ ახლოსაა სამი ფრთოსანი და, გველისთმიანი გორგონები, ხალხის საძულველი, [800] მათ რომ შეხედავს მოკვდავი, სული ამოხდება. ესაა საფრთხე, რომელზედაც გაგაფრთხილე. ახლა კი ისმინე სხვა მძიმე სანახაობაზე. უფრთხილდი ზევსის კბილბასრ ძაღლებს, რომლებიც არ ყეფენ, გრიფონებს, ცალთვალა მოდგმას – ცხენზე ამხედრებულ არიმასპოსების, რომლებიც ცხოვრობენ პლუტონის მდინარის ოქროთი მედინ ნაკადთან. მათ არ მიუახლოვდე. შორეულ მიწაზე მიხვალ, შავი მოდგმა ცხოვრობს მზის წყაროებთან, იქაა მდინარე ეთიოფსი. [810] მის მაღალ ნაპირებს გაჰყევი, სანამ არ მიადგები ჩანჩქერს, სადაც ბიბლოსის მთებიდან მოედინება წმინდა ნილოსის ნაკადი. იგი მიგიყვანს ნილოტისის იმ სამკუთხა მიწასთან, სადაც, საბოლოოდ, მოგიხდებათ დიდი ახალშენის დაარსება შენ, იო და შენს შვილებს. თუ რამ გაუგებარი იყო შენთვის ან ძნელად გასაგები, წკითხე, რომ უფრო ნათლად გაგაგებინო; მოცლილი ვარ იმაზე მეტად, ვიდრე მინდა.

**კორიფაიოსი**

თუ არ დაგისრულებია და კიდევ დაგრჩა რამე სათქმელი [820] საბრალო ხეტიალზე, თქვი; თუკი ყველაფერი თქვი, ჩვენი თხოვნა შეასრულე, გემახსოვრება.

**პრომეთევსი**

მან უკვე ყველაფერი მოისმინა ხეტიალის დასასრულზე. იმისთვის, რომ იცოდეს, ამაოდ რომ არ მოუსმენია, აქ მოსვლამდე რაც გადახდენია, ვეტყვი, ეს იქნება მყარი მტკიცებულება ჩემი ნათქვამის სიმართლის. ბევრ რამეს გამოვტოვებ, რაც მანამდე იყო და მოვყვები შენი ხეტიალის ბოლოზე. რადგან როდესაც მიაღწიე მოლოსოსის ველს, [830] მაღალ ქედს, რომელიც დოდონეს ირგვლივაა, სადაცაა თესპროტიის ზევსის საშიშრო სავანე, დაუჯერებელი სასწაული, მოლაპარაკე მუხები, რომელთაც შენ ცხადად და გამოცანების გარეშე მოგესალმნენ, როგორც ზევსის მომავალ მეუღლეს. ამათგან რამე მოგეწონა? იქიდან დანესტრილი ზღვისპირა გზით მიაღწიე რეას ვეება ყურეს, იქიდან უკან დაიხიე და გამოვარდი, დრო გავა და ზღვის ამ ყურეს, [840] კარგად იცოდე, იონიურს უწოდებენ მოკვდავები შენი მოგზაურობის სამახსოვროდ. ეს არის ნიშანი შენთვის, რომ ჩემი სული მეტს ხედავს, ვიდრე ჩანს. ახლა კი დანარჩენს გეტყვით ორივეს, თქვენაცა და მასაც, დავუბრუნდები რა ჩემი წინა თხრობის ბილიკს. არის ქალაქი კანობისი უკიდურეს მიწაზე, ნილოსის შესართავთან და მდინარის ნატან შლამთან; იქ ბოლოს ზევსი გონს მოგიყვანს ხელის მხოლოდ ერთი ნაზი შეხებით. [850] ზევსის შეხების მიხედვით დაერქმევა შენს შობილ შავ ძეს ეპაფოსი[34], რომელიც ნაყოფს მოიწევს ფართოდ მედინი ნილოსის მორწყულ მთელ მიწაზე. მის შემდეგ მეხუთე თაობაში ორმოცდაათი ასული ისევ არგოსში უნდა დაბრუნდეს, არა საკუთარი თავისუფალი არჩევნით, არამედ ბიძაშვილებთან ქორწინებისთვის თავის ასარიდებლად გაქცეულები. ბიძაშვილები კი, ვნებით გულანთებულნი, როგორც შევარდნები მტრედებს, მისდევენ და მიესწრაფვიან იმ ქორწინებას, რომელსაც უნდა გაურბოდნენ. ღმერთი არ გაიმეტებს მათთვის გოგონების სხეულებს. [860] პელასგური მიწა მიიღებს არესის მიერ ქალების ხელით მოკლულებს, ღამეს გაათენებენ, რომ განახორციელონ თავხედური განზრახვა. ყოველი ცოლი თავის ქმარს სიცოცხლეს წაართმევს, ორლესულ ხმალს სისხლში ამოთხვრის; დაე, ასეთი კიპრისი ეწვიოს ჩემს მტრებსაც! ერთმა ქალიშვილთაგან, სიყვარულით მოხიბლულმა, არ მოკლა თანამეცხედრე, არამედ დაკარგა სიმტკიცე; ორისგან ერთი ამოირჩია, უკეთესად მიიჩნია, ეწოდოს უძლური, ვიდრე მკვლელი და მან მისცა დასაბამი არგოსის სამეფო მოდგმას. [870] გრძელი სიტყვაა საჭირო ამის გარკვევით ასახსნელად. სწორედ მისი თესლისგან იშვება მამაცი კაცი, სახელოვანი მშვილდოსანი, რომელიც ამ გასაჭირისგან დამიხსნის მე[35]. ეს არის წინასწარმეტყველება, რომელიც დიდი ხნის შობილმა დედაჩემმა, ტიტანისმა თემისმა მიამბო; როგორ და რანაირად, ამას გრძელი სიტყვა დასჭირდება მოსაყოლად, შენ რომც გაიგო, არაფერში გამოგადგება.

**იო**

ოჰ, ოჰ, ვაიმე! ისევ მწვავე ტკივილი და ჭკუიდან შემშლელი სიგიჟე მაცხელებს, ბუზანკალის ნესტარი უცეცხლოდ მწვავს; გული კი შიშით მკერდს ნიხლავს. თვალები ირგვლივ ტრიალებენ, გზიდან მაგდებს სიგიჟის მძვინვარე ქარი, ენა არ მემორჩილება, არეული სიტყვები კი ეხეთქებიან საზარელი უბედურების ტალღებს.

გარბის.

## მესამე სტასიმონი

**გუნდი**

*სტროფი*

[34] სტრ. 852. ეპაფოსი – „შეხებით შობილი", ზევსის ხელის შეხებით იშვა. შდრ. ესქილე, „მავედრებლები", სტრ. 45, 48.

[35] სტრ. 872. იგულისხმება ჰერაკლესი – იოს ამ შთამომავლის მიერ მოწამლული ისრით შემთხვევით დაჭრილი კენტავრი ქირონი იკისრებს პრომეთევსის ჩანაცვლებას, რითიც აღსრულდება წინასწარმეტყველება, რომელზედაც ლაპარაკია ქვემოთ, იხ. სტრ. 1026.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენი, მართლაც ბრძენი იყო, ვინც პირველმა გონებით გაიაზრა და ენით გამოთქვა, რომ თანასწორზე დაქორწინება ზევრად საუკეთესოა, არც სიმდიდრით განაზებული, არც გვარით თავის მომწონებელი არ უნდა ისურვო მეუღლედ, ღარიბი როცა ხარ.

ანტისტროფი
არასოდეს, ო, არასოდეს, დედოფალო მოირებო, არ მიხილოთ ზევსის სარეცლის გამზიარებლად, არც რომელიმე ზეცის მცხოვრებლის მეუღლედ. მაცახცახებს, როცა ვუყურებ იოს უსიყვარულო ქალწულობას, განადგურებულს ჰერას მიერ და გაჭირვებაში უსასრულოდ მოხეტიალეს.

ეპოდოსი
როცა ქორწინება თანასწორია, უსაფრთხოა, არ მეშინია, ოღონდ უძლავრესი ღმერთებიდან სიყვარულის უძლეველი მზერით არ გადმომხედოს ვინმემ! უომარი ომია და გამოუსვლელი გამოსავალი. არ ვიცი, რა მომივა, რადგან არ ვიცი, როგორ უნდა გაექცე ზევსის ჩანაფიქრს.

## ექსოდოსი

**პრომეთევსი**
დიახ, ზევსიც კი, თუმცა სულით ქედმაღალია, გახდება თავმდაბალი. ისეთი ქორწინებისთვის ემზადება, რომელიც მას ტირანიიდან და ტახტიდან დავიწყებაში გადაისვრის; სრულად ახდება მამამისის, კრონოსის წყევლა, რომელიც ხანგრძლივი მმართველობის შემდეგ ტახტიდან ჩამოგდებისას წარმოთქვა. ამ განსაცდელისგან გამოსავალს ვერც ერთი ღმერთი ვერ შეძლებს, ჩემ გარდა, რომ უჩვენოს ცხადად. მე ვიცი, როგორ. დაე, იჯდეს ახლა მამაცურად, მინდობილი ამაღლებულ ჭექა-ქუხილს, მუქარით ცეცხლოვანი ისრების ხელში ტრიალით. რადგან მას ვერაფერი ვერ უშველის უღირსი დაცემისა და აუტანელი ნგრევისაგან. ასეთ მოწინააღმდეგეს უმზადებს ახლა თავის თავს თვითონ, უძლეველ საოცრებას, რომელიც ელვაზე უფრო მძლავრ ცეცხლს აღმოაჩენს, მეხზე უფრო ხმაურიან ქუხილს. მიწისძრყეველ სამკბილას, ზღვის ჭირს, პოსეიდონის შუბს, დაამსხვრევს[36]. ამ განსაცდელში აღმოჩენილი ზევსი გაიგებს, რამოდენა განსხვავებაა ბატონობასა და მონობას შორის.

**კორიფაიოსი**
შენ, ალბათ, ეს გსურს, ასე რომ ლანძღავ ზევსს.

**პრომეთევსი**
ისე დამთავრდება, როგორც მე მინდა-მეთქი!

**კორიფაიოსი**
ვითომ ვნახავთ, რომ ვინმე ზევსზე გაბატონდება?

**პრომეთევსი**
და იმაზე უფრო დიდ ტანჯვაში ჩააგდებს, ვიდრე მე ვარ.

**კორიფაიოსი**
როგორ არ გეშინია, ასეთ სიტყვებს რომ ამბობ?

**პრომეთევსი**
რისი უნდა მეშინოდეს, თუკი სიკვდილი არ მიწერია?

**კორიფაიოსი**
ხომ შეუძლია დაამძიმოს ეს შენი ტანჯვა?

**პრომეთევსი**
ჰოდა, გააკეთოს, ყველაფრისთვის მზად ვარ.

**კორიფაიოსი**
ვინც მოუგერიებელს[37] ემორჩილება, ბრძენია.

**პრომეთევსი**
პატივი ეცი, ილოცე მათზე და ელაქუცე მმართველებს მუდამ. ზევსზე კი მე ყველაზე ნაკლებად ვნაღვლობ. გააკეთოს, იმეფოს ამ მოკლე დროში, როგორც სურს; დიდხანს ვერ იბატონებს ღმერთებზე. მაგრამ აი, ვხედავ ზევსის შიკრიკს, ახალი ტირანის მსახურს; აშკარად ახალი ამბის სათქმელად მოვიდა.

*ჩნდება ჰერმესი.*

**ჰერმესი**
შენ, ცბიერო სწავლულო, მწარეზე უმწარესო, ღმერთების მიმართ დამნაშავევ და ერთდღიანებისთვის პატივის მიმგებო, ცეცხლის ქურდო, გეუბნები: მამა გიბრძანებს, თქვა, რა ქორწინებაზე ლაყბობ, რომლითაც იგი ძალაუფლებას დაკარგავს. და ეს განმარტე არა გამოცანებით, არამედ დაწვრილებით თქვი, რომ მე ორჯერ არ მომიწიოს გზის, პრომეთევს, გავლა; ხედავ, რომ ზევსი არ რბილდება შენნაირებისადმი.

**პრომეთევსი**
ქედმაღალი და სიამაყით სავსე სიტყვაა, როგორიც შეეფე-

[36] სტრ. 925. აქ ესქილე ეყრდნობა ლეგენდას, რომლის მიხედვით პოსეიდონი და ზევსი მეტოქეები იყვნენ თეტისის სიყვარულში, რომლის შვილს თემისმა უწინასწარმეტყველა, რომ მამაზე უფრო ძლიერი იქნებოდა. წინასწარმეტყველება ახდა, როდესაც თეტისმა ვაჟი, აქილევსი უშვა პელევსს.

[37] ადრასტეია, „მოუგერიებელი“ არის ნემესისის ეპითეტი. ეს ქალღმერთი სჯიდა ზედმეტად თამამი სიტყვებისა და ჭარბი ბედნიერებისთვის.

რება ღმერთების მსახურს. ახალგაზრდები ხართ და ახალგაზრდაა თქვენი ხელისუფლება და გგონიათ, რომ უდარდელ ციხესიმაგრეში ცხოვრობთ; რა, არ მინახავს ორი ტირანი რომ ჩამოვარდა?[38] მესამესაც, ახლა რომ ბატონობს, ვნახავ დაცემულს სამარცხვინოდ და სასწრაფოდ. ხომ არ გგონია, [960] რომ მეშინია და მაცახცახებს ახალ ღმერთებზე? სრულიადაც არა, არანაირად არა. შენ კი, რა გზითაც მოხვედი, იმავე გზით უკან გაბრუნდი. იცოდე, რომ არაფერზე არ გიპასუხებ.

**ჰერმესი**
ასეთმა დიდგულობამ ადრე მოგიყვანა ტანჯვის ამ ნავსაყუდელში.

**პრომეთევსი**
შენს მონობაში ჩემს ამ უბედურებას, კარგად იცოდე, არ გავცვლიდი მე.

**ჰერმესი**
მგონი, უკეთესია, ამ კლდის მონობა, ვიდრე მამა ზევსის საიმედო შიკრიკობაა.

**პრომეთევსი**
ვინც ასე შეურაცხყოფს, მასაც შეურაცხყოფა ეკუთვნის.

**ჰერმესი**
ჩანს, გეამაყება შენი მდგომარეობა.

**პრომეთევსი**
მეამაყება? ასეთ სიამაყეს ვუსურვებ მტრებს, შენც მათ რიცხვში.

**ჰერმესი**
მეც რამენაირად მკიცხავ შენი გასაჭირისთვის?

**პრომეთევსი**
მოკლედ რომ ვთქვა, ყველა ღმერთი მძულს, ვინც ჩემგან სიკეთე მიიღო და ბოროტებით გადამიხადა.

**ჰერმესი**
მესმის, რომ სიგიჟის არა მცირე სენი შეგყრია.

**პრომეთევსი**
სნეული ვარ, თუკი სნეულებაა მტრების სიძულვილი.

**ჰერმესი**
აუტანელი იქნებოდი, კარგად რომ ყოფილიყავი.

**პრომეთევსი**
ვაი!

**ჰერმესი**
[980] ვაიო? ეს სიტყვა არ იცის ზევსმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**პრომეთევსი**
ყველას დამაბერებელი დრო ყველაფერს ასწავლის.

**ჰერმესი**
შენ კი ასე სიბრძნე მაინც ვერ ისწავლე.

**პრომეთევსი**
რადგან არ ვისურვე შენთან, მსახურთან, საუბარი.

**ჰერმესი**
ასე მეჩვენება, არ აპირებ, მამას უპასუხო.

**პრომეთევსი**
თუმცა მისი ვალი მაქვს და პატივს უნდა ვცემდე.

**ჰერმესი**
ისე მექცევი, თითქოს ბავშვი ვიყო.

**პრომეთევსი**
ბავშვი არ ხარ და ბავშვზე უფრო უგუნური, თუკი მოელი, რომ რამეს გაიგებ ჩემგან? არ არსებობს არც წამება და არც რამ ცბიერება, რომლითაც [990] ზევსი დამარწმუნებს და რამეს მათქმევინებს, სანამ ეს მავნე ბორკილები არ მომშორდება. ამას გარდა, დაე ტყორცნოს კვამლიანი ალი, თეთრფრთიანი ფიფქითა და ჭექა-ქუხილით დედამიწა შეძრას და დააქციოს, მაინც ვერ მაიძულებს ამით, რომ ვთქვა, ვინ იქნება, ვინც წაართმევს ძალაუფლებას.

**ჰერმესი**
ნახე, რა სარგებლობა უნდა გქონდეს ამ საქციელით.

**პრომეთევსი**
დიდი ხანია, განსაზღვრული და გააზრებული მაქვს ეს.

**ჰერმესი**
მიხვდი, სულელო, მიხვდი უკვე, [1000] ამ არსებულ გასაჭირში მაინც მოუხმე გონებას.

**პრომეთევსი**
ამაოდ ირჯები და ტალღასავით ჩემს დაყოლიებას ცდილობ. არასდროს არ მოხდება,

[33] სტრ. 957 ორი ტირანი რომ ჩამოვარდა... – ურანოსი, რომელიც დაამხო კრონოსმა და კრონოსი, რმელიც ჩამოაგდო ზევსმა.

რომ ზევსის ნებას შევუშინდე, დიაცად ვიქცე და ვთხოვო ყველაზე უფრო საძულველს ქალივ-ით სავედრებლად გაშლილი ხელებით, რომ ამ ბორკილებისგან დამიხსნას. სულაც არა!

**ჰერმესი**

მგონია, ბევრს თუ ვილაპარაკებ, ამაოდ ვილაპარაკებ. ჩემი თხოვნით ვერც გაწყნარებ და ვერც დაგიყოლიებ. როგორც ახალშებმული კვიცი ლაგამს ღრღნის, სადავეს ებრძვის და წიხლებს იქნევს. არაფერია ისე სუსტი, როგორც სიგიჟეში მძვინვარება. მისი სიჯიუტე, ვინც კარგად ველარ აზროვნებს, თავისთავად, სრულიად უძლურია. უყურე, თუ ჩემს სიტყვებს არ დაუჯერებ, რამოდენა გრიგალი და უბედურების მესამე ტალღა დაგატყდება თავს გარდაუვალად; ჯერ ამ ფლატეებიან კლდეს ჭექა-ქუხილითა და ელვის ცეცხლით მამა დაამსხვრევს, დამალავს შენს სხეულს, ქვების წიაღში ჩამარხავს. დროის დიდ მანძილს მოათავებ, სანამ უკან, სინათლეზე, დაბრუნდები. ზევსის ფრთოსანი ძაღლი კი, მოყავისფრო-ყვითელი არწივი, მძვინვარედ მოგლეჯს სხეულის დიდ ნაჭერს, ყოველდღე მოსული დაუპატიჟებელი სტუმარი შავ და გაგლეჯილ ღვიძლს შეგიჭამს. ამ გასაჭირის ბოლოს ნუ ელოდები, სანამ ღმერთთაგან ვინმე, შენი ტანჯვის მემკვიდრე არ გამოჩნდება და არ ისურვებს უმზეო ჰადესისა და ბნელი ტარტაროსის სიღრმეში ჩასვლას. ამის შემდეგ გაიაზრე, რადგან ეს გამოგონილი და ცარიელი მუქარა კი არ არის, არამედ სრული სიმართლე; ზევსის ბაგეებმა არ იციან სიცრუის თქმა, ყველა სიტყვა აღსრულდება; შენ კი გაიაზრე და მოიფიქრე, სიჯიუტეს ნუ ჩათვლი ბრძულ რჩევაზე უკეთესად.

**კორიფაიოსი**

ჩვენ გვეჩვენება, რომ ჰერმესი სწორად ამბობს. რადგან გირჩევს, სიჯიუტე გვერდით გადადო და ეძებო სიბრძნის კეთილი რჩევა. დაუჯერე! სამარცხვინოა ბრძენისთვის შეცდომაში გაჯიუტება.

**პრომეთევსი**

ეს მე ვიცოდი, რაც ახლა უწყება ასე ხმამაღლა ბრძანა. ხოლო მტერმა მტრისგან რომ უბედურება გადაიტანოს, სამარცხვინო არაა. ამის შემდეგ დაე დამეცეს ცეცხლის გაორებული კულული[39], ეთერი შეირხეს ჭექა-ქუხილითა და მძვინვარე ველური ქარებით; მიწა ძირფესვიანად შეარყიოს ქარიშხალმა, ხოლო ზღვის ტალღა სწრაფი მოზღვავებით შეერიოს ზეცაში ვარსკვლავების გზას; შავ ტარტაროსში სიმაღლიდან დაანარცხოს ჩემი სხეული ბედის სასტიკი ტრიალით, მაინც ვერანაირად ვერ მომკლავს.

**ჰერმესი**

მაშ, ასეთი გონებაშეშლილის ფიქრები და სიტყვები მოვისმინეთ. რა აკლია ამ ლოცვას სიგიჟემდე? სად შეასუსტა შეშლილობა? თქვენ კი, რომლებიც თანაუგრძნობდით მას ამ განსაცდელში, სასწრაფოდ მოშორდით ამ ადგილს, რომ გული არ გაგიხეთქოთ მეხის ულმობელმა ქუხილმა.

**გუნდი**

სხვა რა მითხარი და სხვა რჩევები მომეცი, რომ დაგიჯერო; ახლა რაც ბრძანე, სრულიად მიუღებელი და უადგილო სიტყვა იყო. როგორ მიბრძანებ, რომ სულმდაბლობაში ვივარჯიშო? მასთან ერთად მსურს გადავიტანო ყველა ტანჯვა. მოღალატეთა სიძულვილი მაქვს ნასწავლი, არ არის სნეულება, უფრო მეტად რომ მეზიზღებოდეს.

**ჰერმესი**

მაშ თქვენ გახსოვდეთ, რაც გითხარით და უბედურება თავს რომ დაგატყდებათ, ბედს ნუღარ გაკიცხავთ, ველარ იტყვით, რომ ზევსმა მოულოდნელად გადაგისროლათ ტანჯვაში. საკუთარ თავს დააბრალეთ. რადგან იცოდით და არა უცაბედად და არც დაფარულად აღმოჩნდებით თქვენ განსაცდელის ისეთ ბადეში, თავის რომ ვერ დააღწევთ – მასში გაგაბათ უგუნურებამ.

*ჰერმესი ქრება.*

**პრომეთევსი**

ახლა უკვე საქმითა და არა სიტყვით იძრა მიწა, ქუხილის ყრუ ექო ისმის პასუხად, მანათობლის ცეცხლოვანი კლაკნილი ბრწყინავს, გრიგალი მტვერს ატრიალებს; მძვინვარებს ქარების თარეში, ერთმანეთისკენ მიქრიან და ერთმანეთს ეხეთქებიან, ეთერი ზღვას შეერია. ყველაფერი ეს დამატყდა თავს ზევსისგან, რომ შიში დათესოს ცხადად. ო ჩემო წმინდა დედა, ო ყველაფერზე საერთო სინათლის დამღვრელო ეთერო, ხედავ, რა უსამართლოდ ვიტანჯები?!

*ჭექა-ქუხილისა და ელვის თანხლებით*

*პრომეთევსი მიწაში ვარდება*

*და მასთან ერთად ქრებიან*

*ოკეანოსის ქალიშვილებიც.*

*ძველბერძნულიდან თარგმნა*
*ლევან ბერძენიშვილმა*

[39] სტრ. 1044 ცეცხლის გაორებული კულული – ელვა.

# იულია ტიმოფეევა



# ЮЛЯ ЦІМАФЕЕВА

იულია ტიმოფეევა (1982) ბელარუსი პოეტი და მთარგმნელია. ავტორია ორი პოეტური კრებულის: „შეცდომების წიგნი“ (2014) და „ცირკი“ (2016). მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, უკრაინულ, შვედურ, გერმანულ, სლოვენიურ, ჩეხურ და სხვა ენებზე. 2018 წელს ლუბლინში პოლონურ ენაზე გამოიცა მისი პოეტური კრებული "Cyrk i inne wiersze" (მთარგმნელი ბოგდან ზადურა), ხოლო 2019 წელს ბერლინში კრებული "Zirkus" (მთარგმნელები თომას ვაილერი და ტინა ვიუნშმანი).

თარგმნის ინგლისური და სხვა ენებიდან. ჩარლზ ბუკოვსკის ლექსების კრებულისათვის 2017 წელს თარგმანის ნომინაციაში მიენიჭა პრემია „დებიუტი“. 2018 წელს გამოიცა მის მიერ ნათარგმნი უოლტ უიტმენის ლექსების კრებული.

2020 წლის მაისში მიწვეულია თბილისის მე-6 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იულია ტიმოფეევა: ბელარუსული ჩემთვის მეტადაა გახსნილი ექსპერიმენტებისთვის

*(ინტერნეტ-დიალოგი შოთა იათაშვილთან. 10 დეკემბერი, 2019)*

**შოთა იათაშვილი: ძვირფასო იულია, დასაწყისისთვის არ ვიქნები ორიგინალური და გთხოვ, მოგვითხრო, როგორ ჩნდებოდა შენს ცხოვრებაში პოეზია და იკავებდა თავის გამორჩეულ ადგილს.**

**იულია ტიმოფეევა:** მე არ მახსოვს პოეზიასთან პირველი შეხების მომენტი. მაგრამ გონებაში ჩამებეჭდა მოგონება, თუ როგორ მივუყვები სოფლის გზას სკოლიდან გამოსული და მივაქანავებ ჩანთას, ხოლო თავში რითმიანი სტრიქონები მილაგდება. მაშინ 7-8 წლის ვიყავი და ეს უცაბედად გაჩენილი სტრიქონები იყო ბუნებაზე, პუშკინის ყაიდაზე და მამაკაცის პირით დაწერილი. მაშინ მე ვფიქრობდი, რომ ყველა ლექსი უნდა იწერებოდეს მამაკაცის პირით, და რომ პუშკინი საუკეთესო პოეტია სამყაროში. მაგრამ ალბათ პოეზიის პირველი ყველაზე ნამდვილი და ძლიერი განცდა 13 წლის ასაკში მქონდა, როცა საავადმყოფოში ვიწექი, ხოლო დედაჩემმა, სოფლის ფერშალმა, რატომღაც გადაწყვიტა, ჩემთვის თავშესაქცევად ორი პოეტური კრებული ეყიდა: ესენინის და მანდელშტამის. აი, მაშინ, საავადმყოფოს გახამებულ ზეწარზე მწოლიარე, მე შემძრა სიტყვის სილამაზემ, და ამის მერე ის ხელიდან არ გამიშვია.

**შ. ი. ანუ პუშკინი, ესენინი, მანდელშტამი და არა რომელიმე ბელარუსი პოეტი? რატომ? ისინი მოგვიანებით შემოვიდნენ?**

**ი. ტ.** ახლა ვაპირებდი სწორედ მაგის ახსნას. ბელარუსულ პოეზიასთან უფრო რთულად იყო საქმე. ჩემი სოფლის სკოლაში გვასწავლიდნენ იმას, რაც ახალგაზრდის გულს ვერ მოხვდებოდა. ვერცხლის საუკუნის პოეტების კითხვით გართულს, არანაირად არ მესმოდა, თუ რატომ ითვლებოდა შედევრებად ეს მარტივად გარითმული ლექსები ველ-მინდვრებსა და ტყეებზე (მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოჯახიც მიწით ცხოვრობდა). მე მეჩვენებოდა, რომ ბელარუსული ლიტერატურა საერთოდ არაა საინტერესო. მაგრამ მაინც, ჩემი ლიცეუმის მასწავლებლის წყალობით (მანვე მოგვითხრო პირველად სტალინურ რეპრესიებზე), მე-11 კლასში, მე აღმოვაჩინე მაქსიმ ტანკის ბელარუსული ვერლიბრი და ალეს რიაზანოვის ლექსები, და ისინი ჩემთვის წინამძღოლები გახდნენ ბელარუსულ ლიტერატურაში შესასვლელად. და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში წერა რუსულ ენაზე დავიწყე, საკუთარი პოეზიის წყაროდ და ინსტრუმენტად მაინც ბელარუსული ენა ავირჩიე. თუმცა კი ეს მოხდა სკოლისა და ლიცეუმის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ჩემთვის იყო ამერიკული პოეზია. მე დავამთავრე მინსკის უცხო ენების ინსტიტუტი და მინდოდა, რაღაც მეთარგმნა ბელარუსულად. ამიტომ დავიწყე ამერიკული პოეზიის ორიგინალში კითხვა. მისი ლაკონიურობის, რიტმის, თემების გადმოცემას ვცდილობდი ბელარუსული ენის საშუალებებით, და თანდათან იმ თარგმანების გავლენით დავიწყე წერა, რომელთაც თავად ვასრულებდი.

**შ. ი. ამ მონაყოლიდან, როგორც ჩანს, იყო გაორების მომენტი, და ალბათ რაღაც პერიოდის განმავლობაში ლექსები იწერებოდა ორ ენაზე. როგორი იყო ეს განცდა და რთული იყო არჩევანის გაკეთება? თუ თავისთავად, ბუნებრივად მოხდა ეს?**

**ი. ტ.** მართალია, რაღაც ხნის განმავლობაში ორივე ენაზე იწერებოდა ლექსები. მაგრამ ჩემს რუსულენოვან ცდებს მე პოეზიას ვერ ვუწოდებ. როცა 27 წლის ასაკში, ასე თუ ისე, სერიოზულად დავიწყე წერა, ის ლექსები მხოლოდ ბელარუსული იყო. რუსულად წერა მაინც არანაირად არ მინდოდა, ვერ ვგრძნობდი ამ ენას ჩემეულად. ბელარუსული ჩემთვის ბევრად საინტერესოა, უფრო მეტია მასში საიდუმლოებები, ის მეტადაა გახსნილი ექსპერიმენტებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ლიტერატურული ისტორია გაცილებით ხანმოკლეა და ამ ენაზე გაცილებით ნაკლები ნაწარმოებია დაწერილი. ის ჩემია, თუნდაც იმიტომ, რომ ენა – MOBA – ბელარუსულად მდედრობითი სქესისაა.

**შ. ი. უკრაინელი პოეტებისგანაც გამიგონია რაღაც ამის მსგავსი. ისინიც ფიქრობენ, რომ უკრაინულად წერა გაცილებით საინტერესოა, ვიდრე რუსულად. რა არის ეს, წმინდა წყლის სუბიექტივიზმი თუ ლინგვისტურ დონეზე შეიძლება ამ მიდგომის რამენაირად ახსნა?**

**ი. ტ.** ერთის მხრივ, ეს, ცხადია, ძალიან სუბიექტურია. უკრაინაშიც და ბელარუსშიც საკმაოდ ბევრი ადამიანია, რომელიც რუსულს ირჩევს, როგორც საკუთარ ენას, მასზე წერს და რაღაც ახალს პოულობს მასში – ალბათ ეს ჯერაც შესაძლებელია, არ ვიცი... მაგრამ მე მეჩვენება, რომ ეს მაინც მეტროპოლიის ენაა, და ყოფილი კოლონიების წარმომადგენლებს არ გამოუვათ, გავლენა მოახდინონ მის განვითარებაზე. ჩვენ, ლიტერატორები, როცა ენას ვიყენებთ, ამავე დროს ხომ ვცვლით კიდეც მას. სწორედ ამ მხრივ მგონია, რომ რუსულში არაფერი გამოვა. ბელარუსულს კი, მიდი და რაც გინდა უქენი – ის შენია!

არის კიდევ ერთი მომენტი: არც ჩემი მშობლები, არც ბებია-ბაბუა, არც მეზობლები, არც თანაკლასელები არასდროს არ ლაპარაკობდნენ სუფთა რუსულით. ეს მუდამ იყო ბელარუსული დიალექტების, რუსული ლექსიკის, ბელარუსული ფონეტიკის რაღაც ნაზავი. ახლაც, მშობლიურ სახლში, მე არ ვლაპარაკობ არც რუსულად და არც ბელარუსულად. როცა ქალაქში წავედი სასწავლებლად, ძალიან მრცხვენოდა ამ ენობრივი ნაზავის, ამ უსუფთაობის, მაგრამ ახლა ვამჯობინებ ვეკონტაქტო მშობლებს ისე, როგორც ჩვენთან, სახლშია მიღებული, როგორც მივეჩვიე. ახლაც კი, როცა რუსულად ვპასუხობ ამ შეკითხვებს, მე ვგრძნობ ერთგვარ ხელოვნურობას, თითქოსდა, გვერდიდან ვუყურებ საკუთარ თავს, თითქოს ეს ვიღაც სხვა ქალია, და არა ის, რომელიც წერს ჩემს ლექსებს.



20 წლის ასაკში

**შ. ი. როგორი იყო ლიტერატურული პროცესი ბელარუსულ ენაზე ადრე და ახლა როგორია? ის, რაც ახლა ხდება, დამაკმაყოფილებელია? და თუ მაინც არა, სადაა მინუსები? და როგორ მოქმედებდა ლიტერატურულ პროცესზე პოლიტიკური მოტივები ადრე და როგორ მოქმედებს ახლა?**

**ი. ტ.** შესაძლოა, ახლა უკეთესი მდგომარეობა, ვიდრე ადრე, თუმცა, გააჩნია, რა კრიტერიუმებით შევადარებთ. მაგალითად, თუ ტირაჟებზე ვისაუბრებთ, საბჭოთა პერიოდში, მოგეხსენებათ, დღევანდელთან შედარებით, გიგანტური ტირაჟები იყო.

არსებობდა ბევრი ლიტერატურული ჟურნალი, ბელარუს პროზაიკოსებს კითხულობდნენ მთელ საბჭოთა კავშირში... მაგრამ თუ ავიღებთ თავისუფლებას, სითამამეს, შემოქმედებით ძიებებს, ამ მხრივ ვერ იყო კარგად საქმე. ახლაც კი, ჩვენს არც-თუ ისე თავისუფალ ქვეყანაში, ჩვენ ვწერთ გაცილებით უფრო თავისუფლად, ვიდრე ადრე წერდნენ.

ჩვენთან ამჟამად არსებობს დაყოფა სახელმწიფოს მიერ მოწონებულ და ეგრეთ წოდებულ „ოპოზიციურ", დამოუკიდებელ ლიტერატურად. სახელმწიფო დახმარებას იღებენ მხოლოდ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მწერალთა კავშირის წევრები, რომლის თავმჯდომარეც უკვე 15 წელია, მილიციის პენსიონერი გენერალია. მაგრამ ეს დახმარებაც კი არც თუ ისე მაღალია. თუმცა ამ კავშირს აქვს თავისი ჟურნალ-გაზეთები, აქვს ტელევიზიით და სკოლებსა და უნივერსიტეტებში გამოსვლის, ბიბლიოთეკებში მოხვედრის საშუალება. აგრეთვე წიგნების სახელმწიფო გამავრცელებლის, „ბელკნიგას" მეშვეობით, რომელსაც ფაქტობრივად მონოპოლია აქვს დამყარებული წიგნის მაღაზიებში, საკუთარი წიგნების გავრცელების საშუალება.

რაც შეეხება მეორე ლიტერატურულ გაერთიანებას (ბელარუს მწერალთა კავშირი) და იმ ლიტერატორებს, რომლებიც არსად არ არიან გაწევრიანებული – ამ შემთხვევაში სიტუაცია სხვანაირია. არავითარი სახელმწიფო დახმარება არ არსებობს, თუმცა ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემები და დამოუკიდებელი გამომცემლობები. ასევე ძალიან აქტიურად ვიყენებთ ინტერნეტს. უკვე ათი წელია, გვაქვს ლიტერატურული ინტერნეტ-ჟურნალი «ПрайдзиСвет» (http://prajdzisvet.org/), სადაც ვბეჭდავთ როგორც თარგმანებს, ასევე ორიგინალურ ტექსტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დამოუკიდებელი ავტორები გაცილებით უკეთ ჩანან საერთაშორისო არენაზე, ვიდრე სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მყოფნი.

**შ. ი. და არის თუ არა ცენზურის შემთხვევები? შეუძლია სახელმწიფოს, ხელი შეუშალოს იმ ტექსტების პუბლიკაციას, რომლის ავტორებიც „თავისიანები" არ არიან?**

**ი. ტ.** სხვადასხვა გამოცემებს სხვადასხვა პოლიტიკა აქვთ. სახელმწიფო გამოცემებში დიდი ხანი არ ბეჭდავდნენ „უცხო ავტორებს". ახლაც ზოგიერთის სახელი აკრძალულია. ძირითადად საუბარია იმ ავტორებზე, რომლებიც პოლიტიკურად იყვნენ აქტიურები. მაგალითად, ვლადიმირ ნეკლიაევი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. მე ვფიქრობ, რომ ამ გამოცემებში არის ცენზურა, და რაც ყველაზე საშინელია, თვითცენზურა. ესთეტიკურად ეს გამოცემები ბელარუსული



მეუღლესთან, ალგერდ ბახარევიჩთან

საბჭოთა ლიტერატურის პრინციპებს მისდევენ. თვითცენზურა ასევე მძყობრშია ბიბლიოთეკებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში. თავის დაზღვევა არასდროსაა ცუდი: სჯობს არ მოიწვიო, ვიდრე მოიწვიო. ამიტომ ირჩევენ „უხიფათო ავტორებს", რომლებიც პუბლიკასთან პოლიტიკაზე არ ილაპარაკებენ. რაც შეეხება დამოუკიდებელ გამოცემებს, იქ ფაქტობრივად არ არსებობს პოლიტიკური ცენზურა, განსაკუთრებით ინტერნეტ-ჟურნალებში, თუმცა მე ვფიქრობ, რომ შეიძლება არსებობდეს ესთეტიკური ცენზურა.

ამას წინათ საინტერესო რამ მოხდა: სახელმწიფო გამოცემებს ზოგიერთი დამოუკიდებელი ავტორის დაბეჭდვის ნება დართეს, და ჩემთან და ჩემს მეუღლესთან, ცნობილ პროზაიკოს ალგერდ ბახარევიჩთან ახალგაზრდა რედაქტორები ტექსტების სათხოვნელად მოვიდნენ. ალგერდმა მათ უარი სტკიცა, მე კი დავთანხმდი, მაგრამ ყველაზე პროვოკაციული ტექსტები შევთავაზე.

**შ. ი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტესტირებაა.**

**ი. ტ.** რა თქმა უნდა. მე მაინტერესებს, რა მოხდება. ერთი ლექსი, რომელიც მათ მივეცი, ხელისუფლებისადმი ძალიან კრიტიკულია. ისე კი, თუ ბოლომდე ობიექტური ვიქნებით, მეორე, ალტერნატიული მწერალთა კავშირის გამოცემებიც, რომლის წევრიც მე ვარ, ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს გაიჭედა 80-90-იან წლებში და ესთეტიკური მოსაზრებების გამო მე იქაც არ ვიბეჭდები.

**შ. ი. რაკი თავისთავად მივედით აქამდე, იქნებ ორიოდე სიტყვა გვითხრა მეუღლეზე და თქვენს ოჯახურ შემოქმედებით კავშირზეც.**

**ი. ტ.** ალგერდ ბახარევიჩი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბელარუსი მწერალია – რომანისტი და ესეისტი. მის წიგნებს მიღებული აქვს უამრავი პრემია, გამოცემულია ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, ახლა ველოდებით მისი რომანის, „ალინდარკის შვილები", გამოცემას შოტლანდიაში, ხოლო ლონდონის სცენაზე მისი რომანის, „ევროპის შვილები", მიხედვით სპექტაკლის დადგმას. ეს სწორედ მან დამაჯერა, გამომეცა ჩემი პირველი პოეტური კრებული 2014 წელს. ფაქტობრივად, დამაძალა, თავად შეადგინა, გაარედაქტირა და გამომცემლობას შესთავაზა. მე ამისთვის მისი ძალიან მადლობელი ვარ, რადგან მაშინ ჩემი პოეტური რწმენა მაინცდამაინც დიდი არ იყო. ახლა ჩვენ თითქმის ყველგან ერთად დავდივართ, თუ არის შესაძლებლობა, ერთად გამოვდივართ, პუბლიკის წინ პატარა ოჯახურ შოუს ვათამაშებთ, თუმცა კი არანაირი საერთო შემოქმედებითი პროექტი არ გაგვაჩნია.

მე ძალიან მიყვარს მოგზაურობა, შესაძლოა, ეს იმ წლების კომპენსაციაა, როცა მე ცხვირგამოუყოფლად ვიჯექი ჩემს სოფელში, მშობლებთან ერთად. განსაკუთრებით მიყვარს ალგერდთან ერთად ახალი ქვეყნების აღმოჩენა. მარტო ალბათ გამიჭირდებოდა, ვინაიდან დიდი ქალაქების ქუჩებში, მისგან განსხვავებით, ხშირად მეუფლება დაკარგულობის განცდა. სამაგიეროდ, მშვენიერი ორიენტაცია მაქვს დახურულ სივრცეებში – ერთგვარი თაგვური ინსტინქტი. ამიტომ ჩვენ ერთმანეთს მშვენივრად ვავსებთ.

**შ. ი. შენ ფოტოგრაფიის ინტერესიც გაქვს.**

**ი. ტ.** სხვათა შორის, ფოტოგრაფიის ინტერესი სწორედ ერთ-ერთი მოგზაურობის დროს გამიჩნდა. სამი წლის წინ ალგერდმა მიიღო სტიპენდია პარიზში და გასაგებია, რომ ერთად გავემგზავრეთ. მე შემიყვარდა ეს ქალაქი, თუმცა კი თავდაპირველად მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მისი ხიბლის ქვეშ არ მოვქცეულიყავი. პარიზი თავისუფალი, ფერადი, ხმაურიანი ქალაქია, თუმცა ამავე დროს საკმაოდ აგრესიული, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ღია (ან თუნდაც ფარული) აგრესია ჩვენ მისგან მაშინ არ გვიგრძვნია. მაგრამ ეს განცდა ამედევნებოდა ხოლმე მაშინ, როცა ჩვენს ზურგს უკან იმ სასახლის ალაყაფის კარი იხურებოდა, სადაც განთავსებული იყო რეზიდენცია, და ჩვენ პარიზის სიჭრელის წინაშე აღმოვჩნდებოდით ხოლმე. ამიტომ მე დავიწყე ქუჩაში ფოტოაპარატით გამოსვლა, რომელსაც ვიკიდებდი კისერზე, როგორც ავტომატს, და ვესროდი ყველაფერ უცხოს, და ამით მას ვბედიდი ჩემსას. "თო სპოოტ" ხომ ინგლისურად ნიშნავს როგორც გადაღებას, ისე სროლას... როცა მინსკში დავბრუნდით, ვცადე, ფოტოაპარატით მესროლა საკუთარი ქალაქისთვისაც, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მე მხოლოდ ხაიებს ვაკეთებდი. ის პარიზთან შედარებით მეტისმეტად სუფთა, გალოკილი და მელანქოლიური ქალაქია. და მაშინ თავისთავად მოვიდა გაგება, რომ მინსკს სულ სხვა მიდგომა სჭირდება, და მე დავიწყე ფოტოებით ლექსების წერა ნისლიან, თოვლიან, ნახევრადმძინარე ქალაქზე, ლამაზზე, მაგრამ ძალიან ნაღვლიანზე. ასე ვხედავ მე მას, და ვცდილობ, ასეთი გაჩვენოთ...

## ბაღში

კბილებიანი ჯვავილები
იზრდებიან ამ თესლისაგან.
ფეხში სნვდებიან
ყველას, გვერდით ვინც ჩაუვლის და
ცრემლის ფრქვევით ეხვეწებიან,
რომ ბაღიდან გაიყოლიონ.

მათი კბილები
არც ბასრია და არც ბოროტი.
გულამოსკვნით ტირილისგან კი
მზეზე ბრწყინავს მათი ფურცლები.
ხოლო ყუნწებზე ბუტკოები
ქანაობენ გაუთავებლად.

და ჩვენც მოგვწონს
კბილუბიანი ეს ყვავილები –
არ გვკბენენ
და არც გვასახიჩრებენ,
მხოლოდ გულს თუ აგვიჩუყებენ,
თუმცა გახვალ ბაღიდან და – გულს მოგეშვება.

თანაც, როცა ტირიან, მაშინ
თესლს იძლევიან.
შეაგროვე და დათესე
ამავე ბაღში.
დამიჯერე, რომ აქაა მათი ადგილი,
კბილებიანი ყვავილები კი რას გეტყვიან,
არ მოუსმინო.



## ცირკი



რომ დავიბადე
მოხეტიალე ცირკი მეჯდა
სხეულში, შიგნით.
ნარმოიდგინე, პოლესიეს
მიყრუებული სოფლიდან ცირკი.
ჟონგლიორები,
აკრობატები,
ქალები წვერ-ულვაშიანი...
სირცხვილი და თავის მოჭრაა!

ჩემთან ერთად იზრდებოდა
ეს ცირკი და
როგორც მგლის ლეკვს სურს ხორცის ნაჭერი,
ისე სურდათ მათაც მუდამ ფოიერვერკები
და ფართო გზები,
და არა ჭარხლის კვლებში დგომა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა





კოლორადოს ხოჭოები
და ცრურწმენები.

მე ვმალავდი
ისე, როგორც ჰერბარიუმს,
ცირკს ფურცლებს შორის,
ჟონგლიორებს, აკრობატებს და
წვერიან ქალებს
ვაბრტყელებდი იმის იმედით,
რომ შევძლებდი გამოშრობას
მათი ხარბი სხეულებისა.

მაგრამ ცირკის მსახიობები
უარს ამბობდნენ სიკვდილზე და
იზრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ
ასო-ნიშნების კალორიებით –
წიგნის ფურცლების საბნების ქვეშ,
ჩემი სხეულის კარავში მსხდომნი.

ისინი სწავლობდნენ
საცირკო ნომრებს,
გოჭებივით,
ჭუკებივით,
ნიშილებივით.

ხოლო როცა მოღონიერდნენ –
ოთხთვალები მოიგნეს და
დაჩხაპნეს რუკა –
გააკეთეს ყველაფერი,
რაც უნდოდათ,
და რისკენაც ასე ილტვოდნენ.

და ცირკის ამ მსახიობებმა
მომიპარეს, შემახრამუნეს.

და როგორც იქნა
თავიანთი მოხეტიალე ცირკი გახსნეს
მათ ჩემში, შიგნით.

**ჯურკა**

*ჩემო მკვდრებო, რას მიკაკუნებთ*
*გაუთავებლად გოგოურ თავში!*

*(ვალყინა მორტი)*

წყლით ვარდისფერით
ხორბლით ზაფხულის
ვარწყულებთ და ვანაყრებთ
ჩვენს მიცვალებულებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათა ჩვენს ფანჯრებს
ნისკარტებს არ უკაკუნებდნენ
მშვიდად სუნთქავდნენ
და არ ამხელდნენ

რომ ჩემი თმით
საიქიოში
აკვნებს
არწევენ

თეიურის სისხლით კი
იმქვეყნიურ ჭირ-ვარამში
მთვარის ველს
რწყავენ



რომ ჩემი შავი ფიქრებისაგან
მილმიერში
ვილაც ხავერდის ფუტლიარებს
ქსოვს
პირბასრი ჭექა-ქუხილისათვის

თეთრ ფიქრებზე კი
ისე როგორც ტილოებზე
პანაწკინტელა
ჯვრებს უქარგავს
მომავლის სულებს
(ამოუქარგველ ტილოებს კი
ფეხქვეშ უფენს
წარსულის სულებს)



რომ ჩემი ნერწყვით
იმ სამყაროში მოგრუხუნე მატარებლების
ბორბლებს პოხავენ
ვაგონები კი გავსებულა იმათი ვინც
ამქვეყნიური სურვილების დათრგუნვას
ცდილობს
სურვილები გზაში ცვივა და
მათ არავინ უკვე არ იჭერს
მატარებელი კი მიგრუხუნებს
თეთრ ხავსებსა და მრეშ ნისლებს შორის

ჩვენი მკვდრები
ვარდისფერ წყალს
ნისკარტით სვამენ
ჩვენი მკვდრები
სველ პურს ღეჭავენ
უკბილებო ღრძილებით და
ტკბილი წვეთები
ნიკაპისკენ მიედინება
ჩვენი მკვდრები

უხმოდ გვიქნევენ თავს და
მადლობას გვეუბნებიან

მეც ვპასუხობ მათ „მადლობა“-თი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გულის
წითელ თიხაში
ამოვთხარე ორმო და მასში
ცისფერი კურკა ჩავფალი და
ის ამოვიდა
მიწის სხვა მხარეს
დაკრიფეთ ჭამეთ
და შეირგეთ
ჩემს ტკივილთა
ნაყოფები
თქვენ ჩემო მკვდრებო

და იცოცხლეთ
კურკა ვარ თქვენი



* * *

ცხოველებმა, მე რომ მიყვარდა,
წასვლის შემდეგ დამიტოვეს
მეხსიერების ძალზედ თხელ კანზე
ნაკვალევები –
არა კბილების,
არამედ მყავე დორბლისა და
წესების გარეშე მეგობრობისა.

ცხოველები,
პირისახეს რომ მიკოცნიდნენ.
ცხოველები,
რომ მბურჯგნიდნენ,
ლოყაზე რომ ბრჭყალებს მისვამდნენ,
თვალებში რომ ჩამცქეროდნენ
და ცდილობდნენ,
რომ გუგების თავიანთი
შავი ხვრელებით
შეეწოვათ ბავშვურ სახეზე
მიმოღვრილი
მთელი სინაზე,
და ცდილობდნენ,
რომ ენებით აელოკათ
მარილი ბავშვური სათნოებისა.

ცხოველები, მე რომ მიყვარდა,
არასოდეს იქნებიან ოცდაათისა.
მე ჩავფალი ჩემს გონებაში
მათი ძვლები და მათი ყეფა,
მწარე სუნი მათი ბეწვის და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლა აშვერილ მათ თათებს შორის
ორი რიგი ძუძუსთავების.

და თავად მე
ცოცხალ გოგონად
დამარხული ვარ
ვიღაცის მიერ ჩამარხულ მათ
თავებში, ანდა
ვიღაცის მიერ შეჭმულ თავებში,
და თავად მეც
იქ შეჭმული ვარ.

ცხოველებო, მე რომ მიყვარდით,
მე კვლავაც ვყნოსავ
თქვენი დორბლის სურნელებას
ახლა, ამ ჩემს ბებრულ ხელებზე.



**1986**[1]

ჩვენ ვერ შევძელით თქვენი წაყვანა,
უფეხებო ჩვენო სახლებო.
ვერ შევძელით თქვენი ზურგზე წამოკიდება
და გზა-გზა თრევა
ბალ-ბოსტნებო, ახალმოხნულნო.
საფლავებო, ჩვენ ვერ შევძელით
თქვენი ჯვრები ფესვებიანად ამოგვეთხარა
და გადაგვერგო სუფთა მიწაში.

ვაშლის ხეებო,
თქვენ მინაბეთ შეფაკლული ქუთუთოები
და დადუმდით ჩვენს მოლოდინში.
და როდესაც ალაყლაყდნენ
ცეზიუმით ჩასახული თქვენი ნასკვები,
მხოლოდ კატები, ველურები და მშივრები,
დაბრუნდნენ უკან ცის მნათობებს გამოყოლილნი,
მაგრამ ვაშლები არ ჭამეს მაინც.

ვაშლები ცვიოდა და ლპებოდა,
ზეზეულად ხმებოდნენ ჯვრები,
ჩვენს ცხელ ცრემლებს მოკლებულები,
ბალ-ბოსტნები კი შამბნარში იბლანდებოდნენ,
და ჩამიჩუმიც არ იყო მათი.

ბერდებოდნენ ჩვენი სახლები
და კარგავდნენ დარდისაგან ჭკუასა და მეხსიერებას.
ვიღაცები შემოვიდნენ და ფიცრები ააგლიჯეს მის იატაკს ლურსმნებიანად,
ფარშევანგებით მოხატული დამტვერილი ხალიჩები კი კედლიდან მოხსნეს,
წაიღეს და მოიპარეს ავადმყოფი ჩვენი ნივთები.

[1] ლექსი ეძღვნება ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე 1986 წელს მომხდარ ავარიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნივთები, რომელთა განკურნება აღარავის შეეძლო ანი,
ნივთები, რომლებიც კრინტს არ ძრავდნენ საკუთარ სენზე.
ნივთები, რომელთა გარეშეც ჩვენი სახლები უკვე
აღარ იყვნენ ჩვენი სახლები.

...და როდესაც, დიდი ხნის შემდეგ,
მიტოვებულ ამ ადგილებს ვესტუმრეთ, მხოლოდ
საფლავის ჯვრებმა დაგვიქნიეს
ძველი, ნაქარგი ტილოებით მოწყენით ხელი.

არც ვაშლის ხეებმა, არც ბალ-ბოსტნებმა და არც სახლებმა
ჩვენ აღარა გვცნეს.
მათ დიდი ხანი ევედრებოდნენ
ჩვენი კეთილი წინაპრები
თავიანთი სულ ცოტა ხნის წინ მონმენდილი საფლავებიდან,
თუმც არც სახლებმა, არც ბალ-ბოსტნებმა და არც ხეებმა
არაფერი არ გვაპატიეს.

* * *

ამბობენ, რომ ის ციხე-კოშკებს ანგრევს.
სადაც არ უნდა მივიდეს,
საკმარისია, თვალი გაუსწოროს და ასე, მზერით
აფეთქებს
მუასაუკუნოვან ლოდებს.
ლოდები იმლება მტვრად
და ჩნდება ტრიალი მინდორ-ველი,
და მაშინ, ერთნი
დასტირიან ამ ალაგს,
მეორენი კი
ამენებენ იმას, რაზეც ოცნებობდნენ ადრე.



ამბობენ, რომ მან ამით
იშოვა ბევრი ფული,
რადგან იქ,
საზღვარგარეთ,
ციხე-სიმაგრეთა გამო არავინ ცრემლს არ ღვრის,
და თანაც, იქ, ადგილის კარგად გაწმენდისთვის
ჯამაგირი არის დიდი.



თუმცა ჩვენ არ შემოვუშვებთ მას აქ, ჩვენ მას
ვიზას არასოდეს მივცემთ,
ჩვენ დავიცავთ მისი თვითმფრინავებისგან
საკუთარ ცას მუდამ,
ჩვენ ავაფეთქებთ რელსებს,
მისი ლოკომოტივების ქვეშ
მუდამ დასანოლად მზადმყოფნი.
ჩვენს გზებს
ჰორიზონტის ხაზამდე დავაჭედებთ
ლითონის წვეტიან კბილებს.
ჩვენ არასდროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ვაჩვენებთ წას
ჩვენს
შუასაუკუნოვან
ციხე-სიმაგრეებს
და ხუთასწლოვან
კედლებს.

და, ჩვენი ციხე-კოშკები
საკუთარი სიკვდილით მოკვდნენ.
და, იქ თავისუფლად
დარბოდნენ თაგუნები,
და, სოფლელი ბიჭები
აფეთქებდნენ მეწამულ თაღებს,
ხოლო მათი მამები აგროვებდნენ
დაუტეხავ აგურებს
და მიჰქონდეთ ფუნდუკებში.

არავის უთხრათ,
რომ ჩვენ გვაქვს ციხე-კოშკები,
რათა არ გამოგვეცხადოს ის და
არ გაანადგუროს
ყველაფერი,
რაც გვაქვს.

*თარგმნა შოთა იათაშვილმა*





პუბლიკაცია გაფორმებულია იულია ტიმოფეევას ფოტოსერიით „მინსკი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## რაულ ჩილაჩავა

### ასი ტერცინა

1
შუაღამისას ჩემს სოფელში შვილის საფლავზე
დაეცა მთვარე უცაბედად და მე მარტოკა
ვაკოწიწებდი მის ნამსხვრევებს მზის ამოსვლამდე.

2
ზუსტად იქ, სადაც ბავშვი იდგა ერთი წუთის წინ,
ამოიზარდა იასამნის ლამაზი ბუჩქი
და განშორების სურნელება მიმოაფრქვია.

3
იახდნენ ბიჭები ქოხში თაფლის სანთლების შუქზე
და სანთლის არაყს რიგრიგობით თაფლივით სვამდნენ,
თან წყაროს ცივ წყალს აყოლებდნენ ზოგჯერ სათლიდან.

4
ჩემი ბავშვობის უჩვეულოდ თოვლიან ზამთარს
ვიხსენებ ახლა ქალამნების კვალით, რომელიც
მოჩანდა, როგორც ცისკიდურზე წეროთა მწკრივი.

5
სამშობლოს ცაში ბავშვობიდან ყველა ვარსკვლავი
დანომრილი მაქვს და ამიტომ გულდაწყვეტილი
ვაყოლებ მზერას მათ გარდუვალ გამეჩხერებას.

6
ცხენის ფრუტუნზე გამეღვიძა და გამახსენდა:
წისქვილში უნდა ჩავიტანო საფქვავი დილით,
რომ შუადღისას უსადილოდ არ დარჩეს ნადი.

7
მთელი ცხოვრება ანგარიშში ალარ აგდებდნენ
და ამიტომაც გაუკვირდა, ბოლო მიჯნასთან
როცა შენიშნა, რომ ვალებში ჩაეარდნილიყო.

8
ცხოვრების წიგნში რა წერია, არავინ იცის,
არც ის, სადაა შენახული იგი და მაინც
თითქოს სულ მისი ციტატებით ვსაუბრობთ ყველა.

9
ერთპიროვნული დიქტატურა ორპირი ქარის,
დერეფნის თავში უთავბოლო ჭრიალი კარის,
მტერია ძილის და მით უფრო – მბჟუტავი კვარის.

10
უხმობს ღამეთა ოაზისი დღეთა ქარავანს
სულმოსათქმელად... ეს ის დროა, როცა ძაღლები
თვლემენ და ბინდში ნაკადული რაკრაკებს მხოლოდ.

11
ბაბილონიდან წამოსული შერეულ ხმების
შორეულ ექოს ვაყურადებ, როცა შემთხვევით
ხელი რადიოს ჩამრთველისკენ გამეპარება.

12
პოლიტიკური ტერმინია ჩემთვის „მანძილი".
ადრე ზუგდიდი-სოხუმის გზა საათნახევარს
თუკი ითხოვდა, ათწლეული არ ჰყოფნის ახლა.

13
მე საკუთარი მისამართი არც მახსოვს, რადგან
არავის არ ვწერ, აღარც მე მწერს ვინმე და ისე
აფთიაქიდან გზას სახლამდე გუმანით ვიგნებ.

14
როცა მინდოდა, როცა მსურდა რაღაც მქონოდა –
არ მქონდა.. ახლა მაქვს და მაინც (სასწაულია!)
ის დრო მწყურია, ის დრო მინდა, როცა მინდოდა!

15
დაუკრიფავის მკრეფავები რაც მოგვიმრავლდა,
უმრავლესობა ლაპარაკობს პლეზსის ენაზე,

უმცირესობა ფეხაკრეფით დაიარება.

16
ბატებმა დილის მზე ჩაყლაპეს კუმისის ტბაზე
და ახლა მწყობრი ნაბიჯებით თბილისისაკენ
მიდიან, როგორც ძველი რომის შთამომავლები.

17
ბედნიერია ეს ხეები... სადაც ამოვლენ,
მთელი ცხოვრება იქ დგანან და იქვე კვდებიან,
ჩვენ კი არ გვგვანან – უგზო-უკვლოდ მოხეტიალეთ.

18
რატომ ხმაურობთ, ბატონებო, რატომ ციშვიშებთ?
ნუთუ არ იცით, რომ თქვენი ხმა ხუთ წელიწადში
ერთხელ სჭირდება მას, ვინც ახლა არც გამოგზნედათ!

19
მთელი მსოფლიოს ისტორიამ ცხენების ზურგზე
გადაიარა და მე როცა მათ თვალებს ვხედავ,
მინდა მუხლებზე დავეცე და შენდობა ვთხოვო.

20
გამოიცანით? – გამოცანა გერგებათ, მაგრამ
სხვა არაფერი, სამწუხაროდ, თქვენ არ გერგებათ,
და ეს, ცხადია, უჩემოდაც მშვენივრად იცით.

21
„თავისუფალი დრო" რას ნიშნავს?.. თავისუფალი
შენ უნდა იყო, თორემ დროზე უფრო ფრთალაღი
გალაქტიკაში მე სხვა რამე არ მეგულება.

22
მე აღარა ვარ ბევრი ვინმეს თანამედროვე,
ვინც გვერდით ცხოვრობს, დადის, სუნთქავს,
წერს და კითხულობს,
რადგან ერთმანეთს აგვაცილა ჟამთა მეისრემ.

23
კვანძის გახსნამდე სანამ მივალ, მინდა ვიცოდე,
ვინ შეკრა იგი, ვინ განასკვა, რომ მის ხელწერას
მივუსადაგო ჩემი ხერხი და... ორლესული.

24
იპოდრომსა ჰგავს ზოგჯერ ჩემი სამშობლო, სადაც
თითქოს დააჭრეს დოლის ცხენებს მოსართავები
ჭინკებმა ჩუმად და მხედრები გზა-გზა ცვივიან.

25
ყველაზე დიდი ცინიკოსი ბედია მაინც.
ისე დაგცინებს, ვერ მიხვდები მიზეზს ერთბაშად
ან საერთოდაც: რატომ, რისთვის, რის გამო, ნეტავ?

26
„რაც არ გერგება, შეგერგება!.." – ალბათ ოდესღაც
ამგვარად ჟღერდა ეს ანდაზა, რასაც [illegible]
ჩვენ გვიდასტურებს არაერთი თანამედროვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27
კარგა ხანია, არ ვყოფილვარ მე უცხოეთი!
საზღვარგარეთის პასპორტს ჩემსას მოედო ხავსი
და მხოლოდ ჟამი არ მაშორებს მებაჟის მზერას.

28
აგვისტოს ცაზე სავსე მთვარე ისე მიგორავს,
როგორც სამყაროს უხილავი ეტლის ბორბალი,
რომლის დანახვაც ამ საღამოს მე მერგო მარტო.

29
რა უსიამო შეგრძნებაა, როცა მოხვდები
ხალხში, შენ სადაც ყველას იცნობ, შენ კი არავინ
გიცნობს და ფიქრობ: აღარა ხარ, დაგმარხეს უკვე.

30
საათს ვასწორებ... რა ხანია არ დამიქოქავს
ეს ჩემი ძველი ქრონომეტრი... ჩვევას ავყევი,
თორემ მასავით დროც დაბერდა, გაუფასურდა.

31
ამ გლობალური დათბობის ჟამს, საოცარია,
რომ ჩვენ, პირიქით, ვგრძნობთ ყოველდღე, წამისწამისად,
გულები როგორ გვიცივდება ერთურთის მიმართ.

32
შენ უკვე არ ხარ და როდესაც მეც არ ვიქნები,
დარჩება ჩვენი სიყვარულის პატარა წიგნი,
შიგ ჩარჩენილი ყვავილების მჭკნარი ფოთლებით.

33
ჩემს ძველ ეზოში არაფერი გადარჩენილა
და როცა ვცდილობ აღვადგინო გონებით იგი,
ვხედავ ნასახლარს და კონტურებს მოშლილი ღობის.

34
წაგებულ ომში მოგებული მთავარსარდლობა
ახალ მოგებას აანონსებს და ბევრ წაგებულს
სჯერა: ოდესმე მოგებულთა შორის იქნება.

35
სხვა გზა არ იყო, ხოლო ის გზა, რომელიც იყო,
არ გვჭირდებოდა, მაგრამ მაინც გავყევით... როცა
შევედით ჩიხში, გზა საერთოდ არ იყო უკვე.

36
ბავშვობის ჩვევა ახლაც ზოგჯერ თავს შემახსენებს;
მე მინდა ამ დროს უნებურად კარი გავაღო

და დაველოდო საქონელის შინ დაბრუნებას!

37
მოწყენით სხედან დედაბრები სადარბაზოსთან...
ერთი ადგილი მათ სკამძელზე გუშინდელს აქეთ
ვაკანტურია და შევსებას არ ელოდება.

38
მდიდარი ისევ დაუბრუნდა თავის კალაპოტს,
ხოლო ტალღები, ნაპირები რომ გადმოლახეს,
არავინ იცის, სად გაქრნენ და რა ბედს ეწიენ.

39
ბაღი სუსხისთვის ემზადება... დაცვენილ ფოთლებს
კონტეინერში ჰყრის მებაღე... შიშველ ტოტებზე
სხედან ჩიტები და ჟივჟივის თავიც არა აქეთ.

40
ცოტა თუ ხვდება, რომ ცხოვრება იძულებითი
საწუთაოა და ბევრ რამეს სიამოვნებით
ზურგს შეაქცევდა, მარტო მისი ნება რომ იყოს.

41
როცა ურემი გადაბრუნდა, ხარების შველა
იყო მთავარი ამოცანა და ამიტომაც
ორომტრიალში ვერ შევნიშნე, გზა რომ გამოჩნდა.

42
არც „უპურობა", არც „უწყლობა," არც „უშუქობა,"
არაა ისე საშინელი და ამაზრზენი
სიტყვა, როგორიც გახლავთ სიტყვა: "უიმედობა"!

43
„თევზი თავიდან..." ეს ანდაზა გვსმენია ყველას,
მაგრამ რატომღაც გვეჩვენება, რომ ჩვენს აუზში
არა, რადგანაც მასში სუფთა წყალი გვიასხია.

44
დამსგავსებია საქართველო სნეულს, რომელსაც
ყველა თავისი, საკუთარი რეცეპტით კურნავს,
მაგრამ შედეგზე აღარავინ არ აგებს პასუხს.

45
თავის კაცობას, თავის სინდის-პატიოსნებას
ძალიან ძვირად აფასებდა და ამიტომაც
არ დასცდენია არასოდეს ვინმეზე ძვირი.

46
თანდათანობით მე დავკარგე რაიმე ნივთის
ფლობის სურვილი და ისეთმა განცდამ შემიპყრო,
თითქოს ჩემია ყველა კარგი ნივთი ამქვეყნად.

47
თვალშესავლები გაცილებით მეტია, ვიდრე
ხელშესავლები... ამიტომაც ხელები უფრო
გრძნობენ დანაკლისს, ვიდრე ამას გრძნობენ თვალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

48
მე არავისთან არ დავდივარ და აღარც ჩემთან
დადის არავინ... ყველაფერი ისეა, თითქოს
გაკრიფეს ხალხი დანაღმული დედამიწიდან.

49
ხელებს გავშლი და ხენი თითქოს მორბიან ჩემკენ
ჩასახუტებლად, რადგან კაცს დიდი ხანია
ფეხაწყობილად მიმოდიან მუსიკის ხმაზე.

50
დრო ოთახშიაც ისე გადის, როგორც ქუჩაში,
ოღონდ ხანდახან მეჩვენება, რომ იგი კართან
ყოვნდება, რათა შემხედოს და დამემშვიდობოს.

51
ბაბუაჩემი რაბინდრანათ თაგორის მზერით
მიმოდიოდა თავის ბაღში და ზუსტად გრძნობდა,
რომელი ხილი რამდენ ნაყოფს გამოიღებდ

52
მე როცა ვინმე ცუდი თვალით დამიწყებს მზერას,
მინდა გავერკვე: იგი განგებ აკეთებს ასე
თუ კარგი თვალი არც როდისმე ჰქონია საწყალს.

53
ხმალი – ქარქაშში, ღვინო – ჯამში, მაწვი – სუროში,
ვაჟკაცი – ცხენზე, მზე – ცაზე და სითბო – მინაზე...
სადაა, თორემ მე ასეთი სამშობლო მინდა!

54
ჰგავს წვრილმანების მაღაზიას მრავალთა სული,
სავსე ათასი ხარახურით... იგი ღიაა,
მაგრამ კლიენტებს ყველაფერი ნისიად უნდათ.

55
იგი საკუთარ თავს მოუკვდა... (მან ეს განჭვრიტა):
იწვა საწოლზე შესუდრული თავით ფეხამდე
და ამ ქვეყნიდან გამგზავრებას მარტო გლოვობდა.

56
ეთერი უკვე ველარ უძლებს ხმათა სიჭარბეს
და მეჩვენება, რომ გასკდება ერთხელ იგი და
უხეშ ბგერათა ნანგრევებში ჩაგვმარხავს ყველას.

57
რაც შემოდგომის სიახლოვე იგრძნო, ჭრიჭინამ
უმატა ხმას და ახლა უკვე გათენებამდე
მუხლჩაუხრელად დირიჟორობს მომმღერთა ქოროს.

58
მოწმის სტატუსით ფეისბუკზე წერდა სტატუსებს
და ყველაფერი, რაზეც წუხდა, რაზეც ფიქრობდა,
პარალელურად აღბეჭდილი ჰქონდა ტატუზე.

59
რა შეგრძნებაა: ჟიშკართან რომ უცნობი მგზავრი
მასპინძელოო, დაიძახებს და უპასუხებ:
"მობრძანდით!"რადგან მასპინძელი სწორედ შენა ხარ!

60
სძინავთ დიუნებს იურმალის ცისფერ ბურუსში,
ჩვენ კი ცარიელ სანაპიროს მივუყვებით მარტო
და ვერ ვუძებნით ამ ნეტარ ნამს ჭეშმარიტ სახელს.

61
როცა მფარველი ანგელოზი ჩვენი მფარველი
არაა უკვე... როცა ბედის ანაბარა ვართ,
მოდის სიკვდილი და თავისთან გვეპატიჟება.

62
ტრიალებს, როგორც გრამაფონის ძველი ფირფიტა,
დოლაბის ქვა და სარეკელა მემბრანასავით
ისრუტავს ბორბალს შელეწილი ტალღების შხუილს.

63
ადამიანის ბუნებაში ცვლილება მოხდა,
ძირფესვიანად შეიცვალა მისი ლანდშაფტი:
იქ, სადაც ადრე ბაღი იყო, მგლები დაძრწიან.

64
ადამიანი სულს ვერ ხედავს და ეჩვენება,
რომ იგი მარტო სხეულია... ხოლო სული კი
მიიჩნევს, რომ ის დღეწიადაგ მარტო სულია.

65
სიცარიელე, ნასვლის მერე რომ დამიტოვე,
იქცა სიჩუმედ, მდუმარებად და მათ დარღვევას
მე ვერასოდეს მოვახერხებ, რაც უნდა ვცადო!

66
მუსიკას წერდა, ლექსებს თხზავდა, ღვინოს წურავდა,
კლდეზე ცოცავდა, ველზე რბოდა, ზღვაში ცურავდა,
წუხელ მესიზმრა: თავისსავე კუბოს ხურავდა.

67
მე ნახევარი საუკუნე ვიცხოვრე სხვაგან,
მეტი რა გითხრათ, რა მოგიყვეთ, რით გაგაოცოთ:
ორმოცდაათი წელიწადი სხვაგან ვიცხოვრე!

68
ამ ოთახებში, როგორც შავი არქეოლოგი
ტუტანჰამონის პირამიდის ბნელ ტალანებში,
ჩვენი უკვდავი სიყვარულის არტეფაქტს ვეძებ.

69
გაგეღვიძება და იფიქრებ, რომ სხვაგან მოხვედი
რადგან გარშემო არაფერი ჰგავს ღამეს, სადაც
სამოთხის ჩიტებს მარტო შენთვის სურდათ გალობა.

70
თუ მოესწარი საანაულს და სიცოცხლეშივე
ძეგლი დაგიდგეს, უსათუოდ იკითხე: ადრე
ამ კვარცხლბეკს ხომ არ ამშვენებდა სხვა ვინმეს ძეგლი?

71
ბედნიერება თვითმფრინავის კვალივით გაქრა.
ცათა სიღრმეში გაიელვა და ანგელოზთა
ფრთებს დაათოვა ვერცხლისფერი ფერფლის ფიფქებად.

72
ეს სავიზიტო ბარათები ამჟამად უკვე
ისტორიაა და ყოველი მათგანი ახლა
ხელის პირველად ჩამორთმევის წამებს მახსენებს.

73
კუპრის მდინარის ნისლდაფენილ სანაპიროზე
კუდით ქვის სროლას ასწავლიან ნორჩ კუდიანებს
გამობრძმედილი ამ საქმეში კუდიანები.

74
„აზიაცკებით", ქამარ-ხანჯლით, დამბაჩით, ჩოხა-
ახალუხით და კავშა ცხენით ვინმე რაინდი
შემთხვევით ნატოს ორდობეში არ შეგხვედრიათ?

75
სხვა გზა რომ ჰქონდეს, ეს მდინარე ღლე და მოსწრება
ერთ კალაპოტში არ იდენდა... თუმცა ხანდახან
ისიც კი ცდილობს აჯანყდეს და გეზი იცვალოს.

76
რძიანი ყავა... შოკოლადი... ზღვის წელი სიო
და აივანზე „რემინგტონის" მონოტონური
კაკუნი... ახალ ლექსებს ბეჭდავს ახმადულინა.

77
ზაფხულს ჯერ კიდევ სამი კვირა აქვს დარჩენილი,
მაგრამ ობობა ქსელებს უკვე იმგვარად ხლართავს,
რომ შემოდგომის ქარებს, ვატყობ, არ დანებდება.

78
როცა ვერავის ეუბნები: „ძილი ნებისა!"
როცა ვერავის ეუბნები: „დილა მშვიდობის!"
ან ის საღამო რაღა არის ანდა ის დილა!

79
მე გადავედივარ უკაცრიელ ხიდზე, რომელიც
თურმე ოდესღაც სიყვარულის ტყვეებმა გადეს
ღალატისა და ერთგულების ნაპირთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80
ასისტენტები, ექსპერტები, მენეჯერები,
მიგვაქროლებენ უფსკრულისკენ ჭენებ-ჭენებით
და ამ მარულას გაჰყურებენ სევდით... ცხენები.

81
უკან ნოხედვას რა აზრი აქვს!.. უკან ფერფლია
და ბუხრის სვეტი, ხანძრის შემდეგ შუა ეზოში
შიშმოუსვლელის ობელისკად რომ დარჩენილა.

82
ჩემი სიცილი ნიღაბია ჩემი ტირილის...
როცა ხარხარი ამიტყდება, თქვენ ნუ ამყვებით,
რადგან (გაგიმხელთ) ჩემს ენაზე ეს ღრიალს ნიშნავს.

83
მე ვარ თვითმცლელი... ნიუანსი მხოლოდ ის არის,
რომ – თვითმტვირთველიც... საკუთარ თავს
ხან ვტვირთავ, ხან ვცლი
და როცა მტკივა, სარემონტოდ მივემართები.

84
ამ სამყაროში, მე რომ ვცხოვრობ, ნისლის ეკრანი
შენ შეგიძლია ააჭრელო დარდებით, მაგრამ
არ გააჩნია მას ფუნქცია გაზიარების.

85
ჭუჭრუტანები არ დაგმანოთ!.. ღმერთმა ნუ ჰქნას და,
მარტო რომ დარჩეთ, იმედის და ნუგეშის სხივებს
მხოლოდ იქიდან ელირსებით თქვენს სამყოფლოში.

86
სიცარიელის ამოქოლვა სიტყვის ლოდებით
და უჰაერო სივრცეებში ჟანგბადის ძებნა
მექცა ხელობად... ახლა ვფიქრობ: თუ ღირდა, ნეტავ!

87
სასაფლაოზე იზრდებიან ქვის ბალახები,
ეკლესიასთან ხელგაწვდილი სხედან გლახები...
წამულო ასე, უფალს როგორ დაენახვები!

88
როცა გარშემო სიბნელეა და შუქს აანთებ,
სულ ერთი წამით, მაგრამ მაინც მოგეჩვენება,
რომ ამ კუნძულზე შეიძლება ცოტა ხანს გაძლო.

89
არ დაგედევნე, რადგან უკვე აზრი არ ჰქონდა
გამოდევნებას... შენ იყავი ჰორიზონტს მიღმა
და შენი წილი ციცქნა მინა ხახას აღებდა.

90
თურმე ძაღლივით შეიძლება იყოს ერთგული
კაციც... მთელი დღე დამხრჩვალ ვაჟკაცს მივტირი, ძაღლის
გადასარჩენად სიცოცხლე რომ არ დაიშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91
დუმილისა და გლოვის დღეა... გმირთა საფლავებს
ადგას აგვისტოს მზით მოწნული შარავანდედი,
რომელშიც მკვეთრად იკითხება: „შურისძიება!"

92
ჩემი ცხოვრების აღმართებზე ბევრჯერ მინახავს
შემხვედრ ტრასაზე მომქროლავი „ცნობადი სახე",
რომელსაც უკვე ტრასის ძირში ვერავინ ცნობდა.

93
ზღვის სანაპირო ჯერ სავსეა ათასი ჯურის
დამსვენებლებით... მე კი იმ დროს ვუცდი, როდესაც
ჩემს ნაფეხურებს ამ სველ ქვიშას დავამახსოვრებ.

94
დაუღალავად იმეორებ: „ცხოვრება კერძო,
კერძო ბიზნესი, კერძო სახლი, კერძო ქონება!.."
როდის დაცხრები, ადამის ძევ, სიკვდილის კერძო!

95
ვფიქრობ სცენარზე: „ბედნიერი ჩემი ცხოვრება".
რა შემიძლია გაგიმხილოთ კიდევ წინასწარ?
ფილმი იქნება სუპერმოკლემეტრაჟიანი.

96
მე სულ ვკარგავდი, პოვნით არა მიპოვია რა,
ვთქვათ და მეპოვა, ნაპოვნისთვის რა უნდა მექნა,
როცა არ ვფლობდი ცრემლის გარდა არცერთ იარაღს!

97
ქორი დაფრინავს ეზოს თავზე... რა იცის ქორმა,
რომ მალე უკვე თითქმის მთელი ნელინადია,
რაც აქ სიცოცხლემ უხილავ ზღურბლს გადააბიჯა.

98
დასაბამიდან კაცთა მოდგმა იყოფს და იყოფს
ამ დედამიწას, ის კი მაინც იმხელა რჩება,
რამხელაც მაშინ, უფლის მიერ შექმნისას იყო.

99
იქნებ ცუდია: დაპირების უკვე არ მჯერა!
ძვირფას საჩუქარს სასთუმალქვეშ არ ველოდები
და საერთოდაც ზეცის დუმილს ვუსმენ ამჯერად!

100
ყველაზე უფრო საქმოვოდ და საეგებიოდ
ჟღერს ორი სიტყვა: „ნახვამდის!" და „მე დავბრუნდები!"
დამშვიდობების ჟამს ერთმანეთს რომ ვეუბნებით.

*1-8 აგვისტო, 2019*

*დიმიტრი ნიკლაური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანანწალა

*

როცა მანანწალამ დიდხანს იწანწალა,
იგრძნო, გააბეზრა თავი მიწა-წყალმა.
უბრად და უბარგოდ, მხლებლების გარეშე,
ვაგზალს მიაშურა, შეშფოთდნენ მგზავრები,
- სალამი, მგზავრებო! ყველას გესალმებით!
ტრანსპორტი მჭირდება გადაღლილს თარეშით,
თქვენ ჩემი წყლულები გაშფოთებთ ფეხებზე?
მე ხომ აქ მოსვლამდე მრავალგან ვეხეტე.
განვვლე ჯოჯოხეთი ჯუჯა ოჩოფეხით,
ვნახე სასუფევლის საბერო ჩოხები.
ვიხილე სახლები, შეღებულ სარკმლებით,
სურნელს რომ აფრქვევდნენ გარშემო საკმევლის.
ვიხილე მდინარის მბრუნავი მორევი
მღვრიე სარჩულებში ჩაფენილ ხავერდით
და მრუმე სიშავით მოსილი ყორნები,
ყორეებს ყაშყაშით რომ ახმოვანებდნენ.
მე ვჭვრეტდი ბილიკებს, გზებსა თუ განძელებს,
სად ყოველ ნაგლეჯზე სურვილი აგზნებდათ,
სივრცე ტყვია-წამლის სურნელით გაჯერდეს
და ყოველ მტკაველზე ბრძოლები გაგრძელდეს!
ქვეყნად კი ყოველ ნივთს — ხეს, ფოთოლს, იარაღს...
თავის ზღუდეები და ისტორია აქვს.

*

მაწანწალობა არ მეწადა,
თუმც არაფერი არ მებადა,
მე ქვებს ვამტვრევდი, ვთლიდი ზოდებს,
ვლესავდი კედლებს, ტვირთიც ვზიდე,
ვერ შევეთვისე მაინც მდიდრებს,
მაგრამ ვერც სხვაგან დავემკვიდრე,
არ მქონდა იმის შნო და ძალა,
რომ შევლეოდი რიდს და კრძალვას.
იქნებ ამიტომ გადავწყვიტე,
გარდავქმნილიყავ მაწანწალად.
ცხოვრება ისე მოწყობილა,
შაშხსაც გიჟობდეს ორცხობილა.
მაწანწალობა სხვა კასტაა
მუდმივად არსად სახლდებიან.
გზასაც იქითკენ გაჰყვებიან,
საითაც ნაგავსაყრელია.
ზეცა ქორების ქონებაა,
ვაჭრები მიწას გაკვალავენ.
გზას დავადექი საქარავნეს,
რომ გავერუჯე თაკარა მზეს.
შორ ვარსკვლავების შუქს მივენდე,
ქვიშა მიჰგავდა სანთლის ნაღვენთს.
სიბერემდეა კაცის სევდა,
საიქიოშიც გაჰყვა რამდენს?!

*

მოგესალმები მოწიწებით
ცხოვრებავ ჭირვარამიანო!
შენც მომესალმე შენებურად,
ტკივილები რომ დამიამო,
ამაოებას გამოსახავ
თავის იმიან-ამიანად,
მაგრამ რა ფასი გექნებოდა
ნეტავი უადამიანოდ?

*

ჩვენ, მაწანწალებს, ბევრი დრო გვაქვს,
საჭმელზე ვფიქრობთ, ვმსჯელობთ, ვშფოთავთ,
როგორც მინისტრი ბიუჯეტზე,
ან სცენარისტი სიუჟეტზე.
მწერალს წააგავს ეს მცენარეც,
ნიავქარიან-ფოთლებიან,
თითქოს ტოტებით წერს სცენარებს,
მუზა მგზნებარედ მოსდებია...

*

ვინც ქვეყნად ვიშვით, მწერლები ვართ შენიღბულები,
ჩვენც წაგვიკითხავს ფოლკნერი და ჰემინგუეი.
გაავებულნი ნუ შეგვყურებთ, როგორც აფთრები
და ნურც ჰეპლებად წარმოგვიდგენთ ფარფატა ფრთებით.
ჩვენც გვიგემია ბობოქარი ზღვების სურნელი
და სველი ფიჩხის, რომ გამოაქვთ ტყიდან ურმებით.
ჩვენც ვანგარიშობთ აქტივ-პასივს და ამ ციფრებმა,
ბევრჯერ მოგვგვარეს აღშფოთება და განცვიფრება.
ჩვენც გვიგემია ვენეცია ტკბილ ესენციად,
სილამაზით რომ გაცილებით უკეთესია,
ჩვენი სამშობლოც ნაბიჯ-ნაბიჯ შემოგვივლია,
სინათლე მოსავს, ყოველივეს თავის ხიბლი აქვს.

*

ერთხელ, ნაკვეთის ღობეს დაყრდნობილს,
ისტორიკოსი გადამეყარა.
აი, ბევრი რომ აქვთ მოსაყოლი,
მოწიწებით რომ ანდობ ქვეყანას,
მსწრაფლ რომ გარდაქმნის მათი გონება
ცვლილებას, როგორც გამოცდილებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ჰამაკების გამოგონება
გამომგონების გამოც იცება,
ვინც იმის გამო წერა წიგნები,
ჯერ რომ თავადვე გადაეკითხა,
ვინც კმაყოფილი გახლავთ მიგნებით,
რომ უპასუხოს ყოველ შეკითხვას.
ახალი გზები იმათ გაკვალეს,
ვინც ძველი გზიდან გადაუხვია,
რომ ჩაუვლიან იმათ საფლავებს,
ქუდს მოიხდიან, ქედს მოუხრიან...
ცოცხლებს კი, თითქოს დაჰქონდეთ დროშა,
გამოსახული ჰყავდეთ სურათზე,
რომ განათლება მარად ზეობდეს...
ვთხოვე, მოეთხრო ძველ, გმირულ დროზე,
მაკედონელზე, კალიგულაზე,
ჰანიბალსა და ნაპოლეონზე,
პომპეუსსა და მითრიდატეზე,
მან კი მომიგო: – მოეშვი როშვას,
წადი, ძმობილო, კიტრი დათესე!
ალბათ, ჩემი თუ ეგონა ბალღა
და დიდებული ფრაზების ნაცვლად
დინჯი ნაბიჯით არჩია გაცლა.
არ გამაბეზრა ტრაბახით, ჩმახვით,
დამტოვა გაკვირვებული სახით.
მახსოვს, შევნიშნე სტაფილოს, ჭარხლის
(ზედ მბრწყინავ ჭირხლით) და კიდევ ხახვის
და კიტრის კვლების ბოლოში კვახი...
და გავაკეთე ამგვარი დასკვნა:
– ყველა ეპოქა თავდება კრახით!

*

ერთი რამე, შემასწავლა
მაჩანჩალურ მოდგმის კასტამ,
უცხოს ისე მოექეცი,
როგორც მოიქცევი ძმასთან.
ქვეყნად რაგინდ დიდხანს იყო,
მაინც ცოტა ხანი გასტანს!

*

მახსოვს ბავშვობა, მთათა ტერასა,
უკიდეგანოდ საინტერესო,
მიწას უყვარდა ზეცის შეხედვა
და მის სახეზე ღიმილს ეძებდა,
ზეცა კი ღიმილს არ იმეტებდა...
უამინდობას იმიზეზებდა.

*

ბავშვობაში ვძრწოდი კენტად,
მხედარს ვამსგავსებდი კენტავრს,
ასე იყო ერთ დროს.
ბოლო დილას, დიდმარხვისას,
აღდგომა დღის დადგომისას,
დავყვებოდი ფერდობს.
იქ იხვები ფრენდნენ გუნდად,
მიწას ვთხრიდი კანტიკუნტად,
ვაგროვებდი ენდროს.
ის დრო როგორ მივიწყო,
მაშინ კვირა წირვის იყო,
ახლა უიკენდობს...

*

ჩვენი ხელობა ჩანჩალია,
ან ოდნავ გვშია, ან ძალიან.
ამგვარმა ყოფამ გვაიძულა,
ლუკმის და სითბოს დაფასება,
ხოლო ვარსკვლავთა დევნამ სულაც
გვაქცია ფილოსოფოსებად.
რაც გინდათ ის თქვით, ერთი კია,
მთავარი შვება სხვათა შორის,
ცაში სხვა არითმეტიკაა,
ცოდვებს ცრემლებით გადაწონი.

*

ერთად იდგნენ, ხუთიოდე,
უვარგის დროს უჩიოდნენ.
მდინარესთან ნაპირის ქვა
საზღვრის ნიშნად აღირიცხა.
შემნიშნეს, რომ უცხო ვიყავ,
გამომიდგნენ, დიდხანს მდიეს,
საეჭვოდ თუ მიმიჩნიეს.
გზები ერთად გამოვლიეთ,
ხმა ისმოდა მარხილების
და ამგვარი ახირებით,
გადაქექეს არქივები,
თუმც ვერ ჰპოვეს სამხილები.
ჰგავდნენ ვიკინგ-ალბინოსებს
ხელს მკრავდნენ და გაჰკიოდნენ:
– რად საუბრობ ამ კილოზე?
– ვის მოჰყევი? სარკინოზებს?
უცებ ზურგი შემაქციეს
ბათქაბუთქმა შემშალა,
ვილაცეებს დაედევნენ
და შეუყენენ თეშშარას.
მე სირბილით მივაშურე
რელსებსა და განძელებს,
აღარაფრად ჩავაგდებდი
გადასაფარ მანძილებს,
მდინარეებს ჩქარწყლიანს,
დასახლებებს ცაცხვიანს,
რკინიგზების გასწვრივ რომ
მძივებივით აწყვია,
სამშობლო რომ იყო და,

ალბათ ალარცა ჰქვია.
განიკითხა დევნილი
ყველა ცრუმ და ავყიამ.
ფასკუნჯი რომ გვეგონა,
აღმოჩნდა რომ ჩხართვია,
ბუდეს ველარ ვაშორებთ,
იმიზეზებს ნატყვიარს,
ჯერ ფრინველი არც არის,
ჯერ ის მხოლოდ ბარტყია,
გაზრდა არ დააცალეს
ცასაც ძლივსლა ატყვია...

*

არაყი მოვიხელთე,
თავსხმა დამატყდა თქეშით.
ძმობა შევფიცე მხეცებს,
თავი რომ ვდურთე ტყეში.
ვხედავ, მთვრალია ყველა,
ძირს ყრიან მსგავსად ლეშის.
ბოთლს დაატარებს მელაც
და შუშის ტუჩებს ლოშნის.
გალოთებულა ლომიც,
ტყეში ბანცალით დადის,
ბრძანებებს ველარ გასცემს,
სასმელში იხშობს ნადილს,
მთვრალი ამოდის მთვარე
და მზეც ბარბაცით ჩადის,
წარსულს იგონებს მწარედ,
ალარ აქვს შნო და ყადრი,
და ისე მოჩანს კადრში,
შემოსილიყოს ჩადრით.
მთა ეფარება მთვარეს,
მთა ეფერება მთვარეს.
მიჩერებულნი მათზე,
ფუჭად აჭყეტენ თვალებს.
ნამგალი ალარ გაკრთის
ოქროსებრ მოელვარე,
ნკვარამი გაწოლილა,
ასე სჩვევია ზამთარს,
და ახშობს წვრილი წვიმა
ზღურბლთან კენჭების ზღართანს.
მთა ეფერება მთვარეს.
ნუთუ ამათაც სცოდეს,
თითქოს მთელ არემარეს
ფარდები დაჰფენოდეს,
ფოთლები დაცვენოდეს,
ნაკადულები რბოდეს,
ხმა, იმათ შემხედვარეთ,
დახშულად ჩაგვესმოდეს.
მთა ეფარება მთვარეს

და წინ გაბედვას გვიშლის,
ჩრდილებმა ჩაიარეს,
რატომ აყოვნებს ნისლი
ფაქიზი, გამჭვირვალე
გადაეფაროს შიშვლებს,
მთა ხომ ამ ვნებებისთვის
ილევს უთვალავ ვალებს.
და ჩვენ, ვინც ვუთვალთვალებთ,
ელვა დაგვიშრობს მზერას,
ან შეგვეყრება ტიფი
და დავისჯებით, მჯერა!
მთას ხიბლავს სინატიფე,
თავად უხეშს და მყიფეს
და ამობურცულ ღრუბლებს
საფენებივით იფენს.
ცას იარები რჩება,
დასერეს კომეტებმა
და ვარსკვლავების წყება
იპნევა მონეტებად.
მათი ნკარუნა ხმები
მთელ სივრცეს მოედება.
იციან დახსომება
ასეთმა მომენტებმა...
სხვა ელვარებას იძენს,
ცა რომ ლღვება და დნება...
მეჯლისზე დამპატიჟეს
ქალაქის მოედნებმა!
მაგრამ ხრჭიალა ძვლებით
და გაბზარულ მენჯით
როგორ ვეწვიო მეჯლისს,
როცა სინდისი მქენჯნის.
უამისოდაც გავძლებ,
როგორც აქამდე ვძლებდი.
ვიპკურებ ზეცის ნამცვრევს
დასველებული ძნებით.
მთასა და მთვარეს უყვართ
ერთურთი განდეგილად
და რომ არ ვექცეთ ჩრდილად,
ზეიმს ასრულებს დილა.

*

წყევლას ვერიდო, ნეტავ!
და სიტყვას უწმაწურს,
მიჯობს, ვიარო კენტად,
ვითხოვდე ლუკმაპურს.
არ მქონდეს ჯიბე ფართე,
ვკვდებოდე მათხოვრად...
ვინც ხელი გამიმართეთ,
ყველანი მახსოვხართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაალ ჯალალონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სენ-დენი

გამოხედვების ძაფში გახვეულს,
მჭირდება ის,
რასაც ვჭირდები.

ჩემი ცხოვრების ახალი ერა
მე აქ დავიწყე.
ხაზთ სიმკვეთრეში
ნამოვიმართე,
თვალის ქუთუთო გამოვალე,
როგორც სარკმელი
და გადავწყვიტე გაგრძელება
მოვლენების,
აგებულების.
ის გუშინდელი მე აღარა ვარ.
უფრო ნათელ სულში ჩავდექი,
წარმოუდგენელ სინამდვილეში.

მე აქ დავიწყე.
ილუზიებთან დამშვიდობება.
„მკვდარი მეფეების
და ცოცხალი ადამიანების ქალაქში".

არ დამყავს დილა,
როგორც ჩვილი,
არ გამაქვს ღამე,
როგორც საზრდო
დამშეულების.
უცებ მოვარდნილ წვიმების მერეც
აღარ ტირიან
ჩემი სიზმრები.

მე ვიცი, რომ აქ
ვამარცხებ წარსულს,
ტკივილის ჯაჭვებს ფეხიდან
ვიხსნი.
და სადგურიდან – სადგურებზე
ჩემს გზას
ვადგავარ.

ყველა კერპი და
ყველა ქალაქი იმსხვრევა მაშინ,
ჩემს სამყაროში,
ჩემს ფიქრებში,
თუ ჩემს უჯრედში
ვარ ერთადერთი.

„წითელ ქალაქში"
პოლ ელუარის აჩრდილს
დავეძებ.
კათოლიკური კათედრალი
თითქოს იხსენებს,
მისტერიები როგორ განდევნეს
ამ ქალაქიდან,
მათ შედეგები ველარ გათვალეს...

გახსნილ სივრცეში
გზა გრძელდება თავისთავიდან.

სკამზე ვზივარ,
ნიშანს ვიძლევი,
თან მტრედებს ვუმზერ გალიმებული.
სად დაიკარგა ელუარი?
მისი წყლიანი ჩრდილის ნასახიც
ვერსად ვიპოვე.
ის შადრევნებმაც ვერ აითვისეს.
მანამდე თეთრი,
უფრო თეთრით ამოხვეთქილი
მსუბუქ ღრუბლების ტანზე
დარჩა ანარეკლებით.
სენ-დენის ქუჩებს
მისი სიტყვის არა რა ახსოვთ...

ცარიელი ვარ,
ახალ ფორმას სანამ
მივიღებ,
ახალ ხსნაში სანამ გადავალ,
სანამ დავანგრევ ახალ ბაბილონს...

დავდივარ ასე ამ ქალაქში
და ნაკვალევით ქვაფენილზე ვტოვებ ჩემს
სახელს...

ალბათ მომავლის სხივებზე ვდგავარ...

მიმართულებებს ადგენს განგება,
ადამიანი შეცვლის ყველაფერს,
ან ეთანხმება...

* * *

მე ჩემი დილა მაქვს,
ჩემი ჩაი მელოდება,
ხსნადი ყავა და ცხელი შოკოლადი.

ამ სამიდან ერთ-ერთი ყოველთვის.
წიგნი, სამუშაო,
შეხვედრები.
ყოფითი,
ბანალური,
მნიშვნელოვანი...
და ჩემი ფილოსოფია, რომელიც
ვილაცებს ალიზიანებს.
დღეს ვცდი უმეტაფორო პოეზიას,
მეტაფორა გისრუტავს,
მერე იქ რჩები, ვერ გამოდიხარ.
მე ჯერ კიდევ ჩემში მინდა ყოფნა.
თურმე მეტაფორაც დამღლელი ყოფილა.
მინდა, ჩვეულებრივი,
არაფრით გამორჩეული
თვალი მოვავლო სამყაროს.
საკუთარი ხელისგულივით დავცქერი
მას.
ორი ხაზი გადის,
ერთი გრძელი, ერთიც მოკლე.
სიკვდილ-სიცოცხლის.
ქირომანტივით არ ვეცდები მათ წაკითხვას,
საიდუმლოდ დარჩეს, რომელი რომელია...
მოსაწყენია ეს ლილინა ლექსები,
ცხოვრებაა დამღლელი და იმიტომ.
აი, ლოგიკური პასუხი
ყველაფერ ამაზე...

* * *

რეინკარნაცია კი არა,
სხვა რამეა.
სიზმრებისგან, ოცნებებისგან,
ცხადშერეული ნატვრებისგან,
გაცრუებული იმედებისგან,
სიკვდილიდან – ბედისწერამდე
დროსა და სივრცეში გაიწელა,
ჩამოიქნა და ჩამოცვივდა.
გაუღერდა და გახმოვანდა, შეწყდა.
წარმოდინდა...
თანამედროვე ენით, გადამუშავდა
ადამიანი.
მოგზაურობს ახლა გონების სადინარებით და
„ეზეიმება გამარჯვება..."
კენჭივით გადასროლილმა
ფსკერი ვერ მოიძია,
და უსულო ღამესავით მუნჯია.
არ ჩასახულა, არ დაბადებულა,
განზომილებების დაკლაკნილ კიბეს აჰყვაო –
ესეც არ არის...
მოძრავი ნახატია და რა დაუდგინეს,
არ იცის...
გასაღებიც ვერ მოარგო თავის თავს
გარეთ იტანჯება...
არ უნდა გაიგოს, რომ მოუახლოვდა...
პირველი, მეორე, მესამე, არ იცის, სად არის და
რას გასწვდა...
დროულია, მაგრამ არანამდვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საკუთარი თავის დაბრუნება სცადა,
დანაწევრებული სულის გამთლიანება
არ უცდია
და ყველა დრომ მასში გაიარა.

ის პირველ საუკუნეში გადაისროლეს,
და ქრისტეს მონაფე გახდა.
და ყველა მისი ნაწილი, რომელიც მიმოიფანტა
ქვეყნის სხვადასხვა მხარეს,
კაცში გადარჩენილ ღმერთს მიეკრო სხეულზე.

და ავარდა ბოლი.
ოსვენციმი გვერდით ოთახში გაუჩნდა
ყველა პოეტს,
და ხიროსიმა თვალში ჩარჩა,
შვილში ჩარჩა,
დედის მოგლეჯილ ტანს ჰგავდნენ
მშობლიური მთებიც.

და ის წერდა ლექსს, რომელშიც არ იყო თვითონ,
რომელშიც არ იყო წესრიგი, რადგან
რაც იყო, ის ყველაფრით, ყველა წერეთ
დაშორებოდა მას.

და ის არ დადიოდა, არამედ ელაგა.
და მისი სიტყვა, მის გამო
გაცინებულ ბრბოს უზუსტესად აღწერდა.

## წყალმა წაიღოს ის დრო...

შუქი მოვიდა.
ბნელ ქვეყანაში
მისი მოსვლაც არ გვიხაროდა.
კარებს ვაღებდით,
მაგრამ მასაც უმალ ვკეტავდით.
არ გვეძინა. არ ვიცინოდით...
ჩვენ ყველაფერი გამოვიარეთ,
გამოვიარეთ ეს ჯოჯოხეთი.
სასონარკვეთამდე მთლიანებმა
და უჩვეულოდ გადარჩენილებმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სივრცეში დარხეულ სროლების ექოს
გავაყოლეთ მზერა,
ბავშვობა,
და სულიც, სულიც გავაყოლეთ.
სწორ გზას დავადექით თითქოს,
მაგრამ ილუზიაში გამოვედით.
იმ მარწუხივით ცივ და კაუჭა ხელს დავეყრდენით,
რომელმაც ჩვენი სამშობლო მოაშთო.
მის ხელში ხშირად თაფლის სანთელიც იღვენთებოდა...
და მოოქროვილი კვერთხიც ელვარებდა.
დავუჩოქეთ და ბოლომდე ვიზეიმეთ
ჩვენი გახრწნა....
ერთმანეთს ბასრი კბილები გამოვდეთ,
პური კი თვალებითაც ვერ შევჭამეთ.
არსად იყო პური.
შიში თოვლივით ცვიოდა ციდან,
და თოვლი შიშივით იდო გულის კარებთან გაუმდნარი და
...გაყინული.
გადაჭრილი თოფების ხანაში ვიცხოვრეთ,
და ნავთქურის კვამლისგან
სახეგაბოლილებმა მივაშურეთ საძინებელს,
სადაც სიზმარს არავინ ნახულობდა,
სადაც არ გვიცდიდა არც სიყვარული,
სადაც დედები იავნანას აღარ მღეროდნენ.
დროებით თუ სამუდამოდ გაიპარა სახლი,
ქუჩა,
მონავალიც უფრო უკან დარჩა, ვიდრე წინ.
მოსახდენი, ჩვენს უგნურად ერთი ხელის აქნევაზე
მეტი არც ყოფილა...
დღეს რომ პატარა აკვნესდება დედის სხეულში,
ის შემზარავი დღეების კვალი
ამჩნევია ვარდისფერ კანზე ამოდაღულად.
ცრუ ძეგლების, ცრუ საფლავების გარემოცვაში
გვითენდება და გვიღამდება.
ირევა მატლი, ახლაც ფუთფუთებს,
ჩვენსავე გულებში, ახლაც ტრიალებს ის,
რაც ყოველთვის სიმწყობრეს გვირღვევს.
აქ მკვლელის მოედანი მოკლულულის ძეგლთან წამოუჭიმავთ...
აქ „მთა წმინდაც“ ვერ დარჩა წმინდა.
თითქოს უმიზნო და განწირულ ძახილს დაეკიდა მთელი ქვეყანა,
მას იმ გადაჭრილი თოფივით ვერ დავმალავდით.
და იყო ასე, ყველას დასანახად გაშიშვლებული და პატივაყრილი...
მე დღეს აქედან ვყვირი
„წყალმა წაიღოს ის დრო“,
„წყალმა წაიღოს ის დრო“,
„წყალმა წაიღოს ის დრო“,
და შენგან ველი შეხმიანებას –
„წყალმა წაიღოს ის დრო –
წყალმა.“

## ამბროსი მელქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 忍びの者

*მიპარვით მოკალ სასიძო*
*ნესტან-დარეჯანი*

თუა ადგილი საიდანაც ყველაფერს მინვდები?
აქედან ვერაფერს ვხედავ
შენს წერილებში ვკითხულობ ჩვენი პლანეტის
უმაღლეს და ულრმეს წერტილებს შორის გაბნეული აცდენილი გზების ამბავს
აქ როგორ მოვხვდი
შენ როგორ შემამჩნიე
რამდენ ხანს ვიწექი მიწაში საგანგებოდ გადანახული იარაღივით
– მოდი და მოკალიო ჩემი ყოფილი შეყვარებული
რომელი მზე მომაგდებს შენს ფეხებთან სამყაროსთვის დაფარულის უჩინარ ჩრდილს
ტყვია რომ გავარდება
ან დანა რომ სისხლით შეიღებება
ან ჩემს ხელში ქვას მისი თავის ქალა
პირველად და უკანასკნელად რომ მიესალმება
საიდუმლოს ვინ შემინახავს მას ვინ იტვირთებს
რომელი გულის ბნელი ქუჩებით მივადგები საიმედო სახლის კარს
ვისი მოქნილი სხეული
ვისი თბილი და მგრძნობიარე თითები გადაეფარება
ჩემზე დამიზნებული ვიდეოთვალების მაბეზღარა ამბრაზურებს
დაუშვი დროშა – შენი წითელი კაბა
რომ ვერ მოგვაგნონ
ერთმანეთისკენ ზურგშექცეულები გავემურეთ სხვადასხვა მხარეს
და ერთმანეთს ვეძახით
სად ხარ
სად ხარ

### გერმანულის გაკვეთილი

გიორგი მთაწმინდელმა ჩაიწერა
ექვთიმე მთაწმინდელზე იოანე მთაწმინდელის ნათქვამი
– მუნ ჟამამდე არ იცოდა გერმანული
მეგონა სასწაული მოხდებოდა და
გერმანულად თავისუფლად დაგელაპარაკებოდი
შენ მითხარი რომ ჩვენი შეხვედრაა სასწაული
როგორც უდაბნოში უნებლიეთ საკუთარი სახლის პოვნა
ლაო ძიმ ჩემ შესახებ გითხრა Meine liebe Sarah
მე სულ ვუქებ მას
ტანის დაცლას და შემსუბუქებას
ის კი სიზმრებში მოტოციკლეტით მიქრის და იმტვრევა
საწყალი ნიკო გომელაური გამოგვეცხადა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიკვნესა – მდინარესთან მივედი
რომ სიყვარული ჩამომერეცხა
ის მთვარეს სვამდა
ვნებას მღეროდა
გამომინოდა სასმელი და
სიყვარულზე სიყვარული მომემატა
მე ვთქვი – აი ჩემი კანი
ხელშეუხებლობით გაცრეცილი პერგამენტი
ენით უთქმელ ამბავს ამოიკითხავ?

## თამარ მეფის ლეოპოლდ მეხუთესთან მიწერილი

ჩემი გულივით გრგებიათ შტაიერმარკი
თქვენს სახელს ვამბობ მაგრამ ვის ესმის ჩემი ძახილი
ერთად არაა თბილისი და ვენა
ნუთუ შეიძლება ვინმემ გინოდოთ Немец
კარგად ვიცი რაა პირუტყვობა
ქმარი რუსი მყავს
ახლა, როცა ამას გწერ, მას მეორე ოთახში სძინავს
ყურში ჩამესმის თქვენი ტკბილი ხმა
და მაგონდება ჩემი ხელი
თქვენს უხეშ და ძლიერ ხელში
იცით – მესიზმრა
ინგლისის მეფის დაჟანგული მახვილი გეპყრათ
იგი ხელებში ოქროდ გექცათ
იმ ოქროთი კი სამეფო ქალაქი ააგეთ
არეულობაა კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე
რომ შევთანხმდებოდით
თქვენ ლაშქარს დაძრავდით აღმოსავლეთისკენ
მე – დასავლეთისკენ
შუაზე გავიყოფდით ამ სულის მლაფავ სახელმწიფოს
ერთი საზღვარი გვექნებოდა მაშინ
ბაგრატიონებს და ბაბენბერგერებს ჩვენი საერთო ნათესავების
კომნენოსების მემკვიდრეობაში გვაქვს თუ არა წილი
თქვენი იქნებოდა კონსტანტინე დიდის ქალაქი
მე ტრაპიზონთან გავჩერდებოდი
Ich lerne Deutsch
Ich möchte wieder mit dir durchs Dunkel gehen
mit meiner Hand in deiner
ერთ ღამეს ორჯერ ვინ გაათენებს
უთქვენოდ სიცოცხლე ადვილი არაა
იქნებ ცოცხლები არც ვართ მკვდრები ვართ
როგორც ერთხელ ჩვენი საერთო მეგობრის მეგობარს
რიტორიკულად დაუკვესავს
იქნებ არ დავიმარხებით ჩვენ – ჩვენს მამულში
რადგან იქნებ ჩვენი საფლავები უკვე ერთადაა და
ბაბილონის გოდოლის ნანგრევებშია მოყოლილი
იქნებ ჩვენი სულები მაშინ დაიხოცნენ
მისი მშენებლობა რომ შეწყდა
და ჩვენს სხეულებს ელოდებიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## MINNESANG

ჩვენ რა გვინდა და ბნელი ღამე...
ჩემი ცოლის პირიდან მზე ამოდის:
– მოსატანია პური და რძე,
ბავშვი სკოლაშია წასაყვანი,
სამსახურში მეც არ უნდა დავიგვიანო.
ვიზეპირებ შენს სიტყვებს, ჩვენს მიმოწერილებს ვშლი.
ის იქნება ჩემი სიმღერა,
ღამენათევს და დაღლილს რომ გამამხნევებს.

## * * *

კალენბერგის ტანმაღალ ტყეს
ქარი რომ მოვუყევი,
ანრიალდნენ, აგრიალდნენ,
ამქუხარდნენ მუხები.
ტყის გადაღმა ტრანსცენდენტულ
საკითხებით დაინტე –
რესებული ფიქრიანი
ვნახე ყვავი რაინდი.
„მხოლოდ გაკონტროლებული
ცოდნაა საწინდარი
უსაფრთხოების" – თქვა მან და
გაიარა მინდორი.

## * * *

დავატყვევეთ გიორგი მერვე,
დავადევით ფეხებზე ხუნდი,
ყველა მდინარე, ამერ-იმერ,
თავის კალაპოტს დაუბრუნდა.

რიყის ქვასავით ყრია მზეზე,
იხრწნება და ჟარს მკვდარი თევზი.
გამოსათხოვარ ვახშმად ვსხედვართ,
მოგვართვეს ფხები, თითო თეფში.

ადგომას, წასვლას ისე ვჩქარობთ,
მძლავრი, მეზობელ ქვეყნის ჯარი,
თითქოს ჩვენს საზღვრებს მოაწვა და
საყოველთაო განწევაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ობოლმა ბიჭმა, გაპარულმა თავშესაფრიდან
(ჯერ კიდევ გუშინ ბავშვი იყო, დღეს კი არ არის.
თავის ბავშვობა ჰაერბურთში ჩასვა, ჩატუმბა
და ფრინველივით, უცხო მხარეს გადააფრინა),
ათას ნემსკავზე წამოაცვა თავის ზღაპარი.

ბიჭს მუჭში ჰყავდა მომწყვდეული დედის აჩრდილი.
გუშინ ჯერ ისევ ლალი იყო, გუშინ ანცობდა.
დღეს კი სიმხნევედაკარგული დიდი კაცივით
შორს გზას გაუდგა ამ სამყაროს ამოსაცნობად.

და არ იცოდა, საგანგაშო არის დიდობა,
როცა გახნულ ღარს მოშორდება ხორბლის მარცვალი,
სიცოცხლის წყურვილს მყისვე უნდა დაემშვიდობოს
და სიცხე, როგორც ბიჭის შლეგი მამინაცვალი
გულგრილობითაც მოუსწრაფავს ყველა სიცოცხლეს.

ობოლმა ბიჭმა არც ის იცის, რომ ეს დიდები
საკუთარ თავებს არ ვეკუთვნით. ცრემლით არ ვამკობთ,
რომ ეს ქალები, დიდედები, და ეს დედები,
სხვა ათას წვრილმანს ვულრმავდებით სალაპარაკოდ

და ყვავილებიც მხოლოდ მაშინ გვეთანაღრება,
როცა ლარნაკი გაგვიხდება გადასაგდები
და არაფერი ღირებული, გარდა საგნების.

ობოლმა ბიჭმა არც ის იცის, რომ პურის ყუებს
მაშინ ვუტეხავთ ქუჩის ძაღლებს, როცა შორიდან
ვილაც გვხედავს და ინტერესით ვილაც გვიყურებს.

(და ჩვენ, დიდები, ამ ოინით თავებს ვიტყუებთ,
რომ საკუთარ თავს სიკეთე და სითბო დავცინცლეთ,
მაგრამ ძაღლები არც კი ჭამენ იმ პურის ყუებს,
ცინცქნა ნატეხებს, ათასად რომ დაეანაწილეთ.
ძაღლის თვალებში ძველებური კრთება შიმშილი
და განცდა, რომ სხვა გამვლელივით, ჩვენც გაეაწბილეთ.)

ობოლმა ბიჭმა არაფერი იცის სიკვდილზე.
არც ცოცხალ-მკვდრებზე არ სმენია, ალბათ, ობოლ ბიჭს.
დიდი კაცივით სიმართლისკენ ისე მიდის, რომ
სიცრუე უნდა გახეული ბადით მობოჭოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისწავლის, ცალი ფრთა დატოვოს მუდამ უვნებლად.
დასამარცხებლად,
დასახვრეტად,
დასაბრუნებლად,
რომ ასეთია ამ სამყაროს ზნე და ბუნება
და ჭრილობაზე არც არავის ესალბუნება.

რომ არსებობენ უფრო მკაცრი თავშესაფრები
ფიცარნაგებში, ღია ცის ქვეშ, როცა ობლები
წვებიან, დედის მოგონებაც ეარაფრებათ
და დედის ძუძუ ემლაშებათ ჩვეულ ოფლივით,

როცა საკუთარ სიმარტოვეს ეზიდებიან.
მხოლოდ სიზმრები. ზმანებები და კვლავ სიზმრები.
ობოლი ბიჭიც ერთ დროს მაინც გაიზრდება და
კვლავ თავის ჩვეულ ჩვილ ობლობას შეეხიზნება.

* * *

მე შენს დილეგში დამწყვდეული უფრთო კოლიბრი.
შენ – შავი ქეჩის გისოსები და ქვის ბოქლომი.
შენს გონებასთან წამიერი ლტოლვა მოირბენს
და უცაბედად აღმოგხდება, რომ მე ოქრო ვარ.

ოქრო ვარ, შენი თვალებიდან ჩამორეცხილი.
ქვებიან ტანზე აპოხილი. ოქრო და შლამი
და მზის შანდლები ეკიდება ამ ფიქრს ცეცხლივით,
და შენ მიყურებ, რომ ეს ფიქრი მყისვე დაშალო.

შენი ხელები – ჯადოსნური კვერთხი. ოვალის
ფორმის ფრჩხილები – მობრჭყვიალე თვლების სანაცვლოდ.
შენ მპირდებოდი, სისუფთავის ჭავლით მოვალო
და შენი ცოდვის ყველა ბებკი მევე ჩამაცვი.

შენ ქვის მარილი, ქვადქცეული ხორცი და თავზე
იკრავ ქარების გამოკერილ ცისფერ გავალაკს.
შენ ნოყიერი მიწები ხარ, უნდა დავზავდეთ,
მე უდაბური უდაბნო ვარ და მე გვალვა ვარ.

შენ ებრძვი ჩრდილებს, ებრძვი კერპებს, ებრძვი ბელიერს.
იფშვნები, ჩემი თითებიდან ხმელი და მშრალი
და ისევ ვცადო, შეგაგროვო, უკვე ბევრია,
რადგან შენ რჩები მთლიანი და მე ვარ დაშლილი.

იშვიათია, ამ დილეგის შეხსნა ბოქლომი.
იშვიათია, ერთმანეთით ჩვენი განბანვა.
შენ უხმაუროდ იმეორებ, რომ მე ოქრო ვარ
და უხმაუროდ ვერ ახერხებ, ისევ დამაბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარის ბორკილით, გაკოჭილი და გაბორკილი
შენი სიცუდით, შენი ცოდვით, შენი მცნებებით.
თუმცა, ეულის ანაფორა ისე გაბრკოლებს,
რომ მიერთდები სულით-ხორცით და მიერთდები.

მე შენს დილეგში დამწყვდეული უფრთო კოლიბრი.
შენ – შავი ქეჩის გისოსები და ქვის ბოქლომი.
შენს გონებასთან წამიერი ლტოლვა მოირბენს
და უცაბედად აღმოგხდება, რომ მე ოქრო ვარ.

* * *

რიგი და ადგილი. მე როგორც ბარიუმი.
ქარი ცეცხლის ენებს ბოროტად აშიშინებს
და იასამნები, საჰერბარიუმო
ქაღალდებს, ქაღალდებს, ქაღალდებს აშიშვლებენ.

მე კი მაშინებენ ჩონჩხები. ფიტულები.
მიდიან, ათასგვარ ლეგენდას მიტოვებენ.

ცრემლებით მოკირწყლული ნავი და იალქანი.
მეც სადღაც მიმაქანებს,
შენც სადღაც მიგაქანებს.
მე შენი თითების უხეში მინანქარი
ჩემს ძუძუს იმედის მტვერივით მივაყარე.

ბრჭყვიალა ლოლუები. ბრწყინვალე ლოლიავი.
ტერფები. ბარძაყები. ქუსლები. ნვივები.
ხის კისერს ჩამოვკიდე, ვით თეთრი მძივები.
შენ ველარ მომიყლიდი.
მე აღარ მოგიარე.

ვით შენი მინურის უტყვიო მოჰიკანი.
ვით შენი აკლდამის თვალღია კარიბჭე.
შენს ვიწრო სხეულს და მუმიებს მოვაგენი
და მაინც არ გიჭერ.

ამ ნაჭრის ყვავილებით მინდვრები არ აივსო.
ან ეს თუ გზა არის თუ ეს გზის სიგრძეა?
და როგორც არასდროს და როგორც არავისთან,
ასე უსუსურად თავი არ მიგრძვნია.

არ არის თვალების ოდნავი ჭაჭანება.
ჭინკები ჭიშკარზე თილისმას მიწებებენ
და ასე მხიარულად შორს გამაჭენებენ
ჩემი უმკითხველო ლექსი და ნაწერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევა, მე შევცდი. ადამ, შენ შეცდი

ევა, მე ერთხელ „თევზის ხიდზე" წყალი ჩამიტყდა,
მინაში ჩავვარდი და ახლა მინიდან გელაპარაკები...

1
ბრინჯის ყანიდან, როცა ჩემს ჩრდილს
შორს ვაცილებდი და სიზრიყვის ქუდს
ცისკენ ვისროდი,
შენი ხმა მომესმა, ევა,
შიშველი ეიყავი და შემრცხვა.
შენ არ გამოჩნდი და შემრცხვა.
თითქოს მხრებზე თოვლივით
დამედო წარსული და შემცივდა კიდეც...

ევა, მე შევცდი, როცა მოვისურვე,
რომ ჩემი სიკვდილი სამოთხის იატაკივით
მომეპრიალებინა,
ზედ, ფეხი ამცურებოდა და მერე,
შენ გულიანად გეცინა ჩემზე,
თან იმედგაცრუებაც გამოგეხატა...

„სიკვდილს მასტიკა არ უხდება!..
მისტიკა?!
– დიახ..."

ევა, მე შევცდი, როცა მეგონა, რომ დროს
სიტყვები აღარ ეყოფოდა ჩვენთვის სათქმელად
და ერთ ჩვეულებრივ, პირქუშ ღამეს
სუყველას ერთად ჩაგვიფიქრებდა
საკუთარ გულში, როგორც:
ღრუბელი – ცისარტყელას.
ტყუილი – ნუგეშს.
სირცხვილი – ტკივილს.

მეგონა, რომ დრო პირქუშ ღამეს
ჩაგვიფიქრებდა საკუთარ გულში
იმის დასანახად, ვინც ჩვენ მოგვიხმო
ზამთრის სუსხში, გამთენიისას...

ევა, მე შევცდი, როცა ხანძარი გავაჩინე
სირცხვილის ბაღში, მაგრამ
შენ არ შემცდარხარ, როცა ადამი გააჩინე
ამ ხანძარივით
და სიცრუე დაწვი ჩემი წიგნივით...

„აღარ მინდა იმ წიგნის გახსენება!.."

ევა, მე შევცდი, როცა შევბრუნდი
დაუმორჩილებლობის პორტრეტისკენ
და ვტკეპნე ჩემი დაბადება
უცხო სხეულის ნატკენ მხარზე
ზამთრის თოვლივით,
ნაფეხურებს რომ აღარ იმჩნევს
და სულ ახლიდან ჩნდება.

ევა, მე მხოლოდ მაშინ არ შევმცდარვარ,
როცა ვთქვი, რომ შენს სიცოცხლეში ბეწვი დავინახე,
ჩემში კი დირეც ვერ შევამჩნიე.
სიყვარულში კი, პირიქით...
ჩემს სიყვარულში დირე დავინახე,
შენს სიყვარულში კი ბეწვი ვერ შევამჩნიე...

ევა, მე ვიცრუე, როცა გითხარი:
აჰაა, წაიღე ჩემი ხორცი
სხვის დანთებულ ცეცხლთან გამთბარი.
სხვის ღამეში გამოღვიძებული და
დეკემბრის უამინდობებით გამოფიტული.

ევა, მე ზამთარი გადამიბრუნდა
სადღაც, ფეხივით და ფეხი სიბრალულივით...
ევა, მე ენაზე და ჩემს დარჩენილ ცხოვრებაზე
ერთნაირად ვიკბინე...
ევა, მე შევცდი...

2
ადამ, შენ შეცდი, როცა ჩვენს ანტიკურ
და მოდერნისტულ სიზმრებს და შიშებს
როგორც მეძავის გაუხეშებულ კანს,
ისე დაუწყე ხელის ფათური და
წამით არ შეგრცხვა...

ადამ, შენ შეცდი, როცა მტვერი დაიდე
აწმყოზე და სიფხიზლის და სიფრთხილის
მაგიდა არ გადაწმინდე...

ადამ, შენ შეცდი.
მიწიდან იყავი აღებული
და წყლიდან აღებულს დაემსგავსე...
სასონარკვეთილების
ტბაში გაცურე
და ახლა იხრჩობი
არა წყალში...
არა მიწაში...
არამედ, საკუთარ გულში...

„ადამ, წყალი და მიწა შენი ცრემლიდან ჩუმად ავიღე
და არ აგამღერიე...“

სისულელეა ადამ, ჩემი ძმა გერქვას.
ყავახანაში ვისხდეთ და ყავას ვწრუპავდით
ლუდხანაში ვისხდეთ და
ლუდს და თევზს მივირთმევდეთ.
სხვების ცოდვებს თვალით ვჭამდეთ,
ჩვენსას კი, ხელით,
და ვძღებოდეთ;
პურით,
თევზით
და
ათასი ცოდვით...

ბიბლიოთეკა

## პოეზიის უპირობო სიყვარული

1
დრო მოიხელთე და წერე
პირადი ცხოვრების ამსახველ ცაზე.
უპირობო სიყვარულზე.
სმენადაკარგულ მარტოობაზე.
წარსულის შეუხედაობაზე
და მომავლის გემზე.
დაპირებულ თავისუფლებაზე.
მოჭრილ ხეებზე – მოუჭრელ ზამთარზე.
გადაუჭრელ პრობლემებზე:
ვთქვათ, სიკვდილზე...
თვითმფრინავიდან გადახტომებზე.
ირმის ნახტომზე.

წერე იმაზე, თუ როგორ გახდა
ქლიავის ხე – ქლიავის ხე...
მზემ პირველი სხივი როგორ
და როდის დაანარცხა დედამიწაზე
და პოეზიამ – ადამიანი
მოღრუბლულ ცაზე.
მოღრუბლული ციდან
როგორ დაიბადა ლექსი.
ლექსში კი სიცოცხლე ამოძრავდა,
როგორც ქალის მუცელში ბავშვი...
ლექსმა აიდგა ფეხი, გაიზარდა,
უსქესო გახდა და მსოფლიო მოიარა.
ეპიდემიაც შეეყარა, მაგრამ
მაინც გადარჩა.
წერე.
წერე, პოეზიის უპირობო სიყვარულზე.

2
დრო მოიხელთე და წერე.
წერე იმაზე, თუ როდის შეაცურა
ადამიანმა პირველად მდინარეში ნავი
და როგორ შეუდგა ცხოვრებას თევზი

ნილოსის წყალში...
წერე იმაზე, თუ როგორ
აბანავა პოეზიამ ადამიანები
სიმართლის და სიცრუის
საერთო აუზში
და თვითონ მშრალი გამოვიდა,
როგორც ეს ლექსი...

* * *

ავარიულ სახლს დაემსგავსა ეს დღე...
სინათლე და სიმყუდროვე საბოლოოდ გამოეცალა
და საყრდენად ჩემს დახეულ სევდას ვიყენებ.
სწორედ იმ სევდას, შენ რომ გაშინებს...

ჯერ ავარიულ დღეს,
შემდეგ შენს ოთახს დავემსგავსე,
რომლის კარის სახელურზე
ჩამოკიდებულ მუყაოზე
თეთრი საღებავით, გარკვევით წერია:
„ჩაკეტილია შიგნიდან".

## პალტო

1
კედელზე მივაჭედე ლურსმანი
და ზედ შავი პალტო ჩამოვკიდე.
გარდერობი არ მაქვს,
არადა, ის ხომ
არაჩვეულებრივი სამალავი
იქნებოდა
საყვარლებისთვის...

გარდერობი არ მაქვს,
არც ჩემი ზომის ჩრდილი,
რომ ვინმე მოვხიბლო,
კედელზე პატარა მონახაზი გავაკეთო
და უბრალო მწერს მაინც
მოვაწონო თავი
და კიდევ, იმ ქალს,
რომელსაც ყოველდღე
განთიადის ღრმა
ჭრილობასავით ვხედავ...

2
მას, შემდეგ რაც კედელზე
ლურსმანი მივაჭედე და ზედ
შავი პალტო ჩამოვკიდე,
ქარიან ამინდში, ყოველთვის
ვაღებ ჩემი ოთახის ორივე ფანჯარას.
ამ დროს მგონია, რომ ჩემი პალტო
რაღაცას უყვება ქარში
ჩემი და ჩემი საყვარლების შეხვედრებს,
რომლებსაც ხანდახან შემთხვევით
ვახვევ და ვმალავ
და იმ ქალის შესახებაც,
რომელიც არსად არ შემხვედრია,
მაგრამ პალტოს გახუნებული
კალთიდან მოჩანს, როგორც
სადენზე ჩიტის პატარა ტანი...

* * *

მოვჭერი სიყვარული, როგორც ხე
და ქურთუკი გავიხადე.
აი, ის ქურთუკი
ხის დარგვის დროს რომ მეცვა...

* * *

ჩემი ტკივილები
ღრმა აზრს იძენენ,
როგორც ქალები
ლამაზ საცვლებს
პირველი ღამისთვის...

* * *

მიდი, დურგალო ჯოი,
დაწერე
ლექსი გაზაფხულზე...
მერცხლები შენი ცოლის
სავარცხლივით
მოქნილად მოძრაობენ
ზევიდან ქვევით...

* * *

გაჟღენთილია წყლით
საღამოს ქარი...
მოხუცი ქალი სიმინდის ყანაში
ეძებს ახლგაზრდობას...

* * *

ისე საოცრად
ალაგებ ლოგინს,
ალბათ ეს დილა
წმინდანად გაქცევს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცხოვრების ოქტავა

I

როცა შემოდგომაზე ტყეს შეხედავ, ის ხანძარი გეგონება.

II

როცა ზამთარში ტყეს შეხედავ, თითქოს ის ნახანძრალია,
როგორც გული, საყვარელი ადამიანის დაკარგვის შემდეგ...

III

როცა გაზაფხულზე ისევ ტყისკენ გაიხედავ,
ლამაზი ყვავილებით აფეთქებულსა და ნაზი სუნით დახუნძლულს ნახავ,
ის შენს გულს ჰგავს, როცა საყვარელ ადამიანს შეურიგდები...

IV

როცა რაღაც მოგენატრება და გახედავ ზაფხულის ტყეს,
რომელსაც ოხშივარი ასდის და დაღლილია,
უცბად გახსენდება, რომ მას შემოდგომაზე ნეკერჩხლისფერი მოედება
და ზამთარში კი დათვივით დაიძინებს...

V

როცა არც ზამთარია, არც ზაფხული, არც შემოდგომა და არც გაზაფხული,
ამ დროს, წელიწადის ამ უცნობ სეზონს ჰქვია –
შვებულება.
და შვებით ამოისუნთქავ წელიწადის დროებით დაღლილი და
მაინც დაიღლები, გახსენდება, რომ დრო კარზე დაგიკაკუნებს...

VI

ცვრისფერი ნამი მოედება შენს გულს და ამოიოხრებ.
ტკივილები განისლდებიან და მათ მანქანის შუქი გაჰკვეთს
და გამოტყვრება საიდანღაც სხივი ნათელი
და გაფანტავს დარდებს აბურდულს მზის ერთი სხივი,
თუ გაგიმართლა და მზის სხივმა ცხრავემ გამოსჭვივა,
ჩათვალე, რომ გასხივოსნდი და კეთილი ხარ...

VII

ბოლოს ლაღბავშვობაგამოტარებული ნაოჭებს დაითვლი,
რამდენიმე ღერი ჭაღარაც გაგცვივდება და
საბოლოოდ ემგვანები ხეს.
მუხის დამჭკნარ ქერქს მაგონებს ნაოჭი შენი,
ხოლო ჭაღარა, საფარცხელში მიტმასნული, შემოდგომის მუხა მგონია.
ანუ საბოლოოდ რომ ვთქვათ, ადამიანი ჰგავს ხეს,
ან პირიქით, ხე ჰგავს ადამიანს და წელიწადის დრო ერთნაირი აქვთ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VIII
ბოლოს ტკბილსიბერეგამოტარებულს ზამთარი მოგადგება.
შეგაწუხებს სახსრები და მარილები. მუხლები მეხის ხმასავით იხმაურებენ.
შენი მოსმენა არავის მოუნდება,
შეილსაც თავს მოაბეზრებ, რადგან „ნაავადარი ჭადარივით" სკლეროზი გჭირს.
სიარულიც არ შეგიძლია.
შემოდგომისფერი სითხე გამოჟონავს სხეულიდან.
ბოლოს კი ამ ტყის ხიდან გამოთლილი ძვალშესალაგით
წაგაბრძანებენ ამ ტყიაკენ, სადაც შენი ძვლების შესალაგებლად მინაა გაჭრილი...

## მეტაფსალმუნი

1
ნეტარ არს კაცი, რომელიც შევიდა
გედის ხმის აზრთა სიმფონიაში.
ნეტარ არს კაცი, ან თუნდაც ქალი,
რომელმაც მოწოვა ნისლი და
თავის გონებაში აქცია აზრად,
მერმე კი მოხარშა, ქაფიც მოუწურა,
წმინდა ქალალდზე ამოქარგა.
ნეტარ არს კაცი, რომელიც აღიმოსა
ყორნისფერი ცისარტყელით,
რომლის შინაგანი სტრუქტურა
უფრო რთულია, ვიდრე გარეგანი.
ნეტარ არს ქალი, რომელიც განიძარცვა
მიტკალზე სისხლის გვირგვინისაგან
და ჩაიცვა სიტყვა მოჩუქურთმებული.
ნეტარ არს კაცი, რომელმაც შეიცნო,
ნეტარ არს ქალი, რომელმაც შეიცნო
– პოეზია! რამეთუ იგია ღმერთი,
ხოლო ოლიმპო კი მის გარეშე
მოკვდავი იქნებოდა.
ახლა კი ხელუხლებელია,
რადგან ხელი მოჰკიდა პოეზიამ!
ნეტარ არს სულნი მათნი.
და ვაი მათ, ვინაც გვამია
და არა იცის, რა არის პოეზია!

2
ო, ღმერთო ჩემო,
გიგალობ მხოლოდ შენ.
ო, ღმერთო ჩემო,
საიდან ამდენი გამძლეობა,
თუმცა ღმერთი ხარ
და გამძლეობაც შენა ხარ მხოლოდ!
ო, ღმერთო პოეზიავ,
რამდენ ჭუჭყს უძლებს შენი სხეული,
რამდენი ვინმე დაძრწის შენი სახელით.
ნეტარ ხარ შენ

და გვასწავლე ის, რომ
მარტივით არ ვირწეოდეთ,
ო, პოეზიავ!..
კურთხეულია სახელი შენი,
მაგრამ თასში მთხლეც ხვდება ხოლმე.
მხოლოდ შენს მსმელს ძალუძს
იგი განასხვაოს შენგან,
ო, პოეზიავ!
შენ ნათელი ხარ, მაღალო ღმერთო,
შენ უხორცო ხარ ანუ უგვამო,
მაგრამ შენს სულს ხშირად მოეკრობა
მოკვდავთ ნაგლეჯი, რომელიც ყროლდება.
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ,
განიწმინდე და გაგვწმინდე ჩვენც!
ო, პოეზიავ, მაღალო ღმერთო,
ზევსზე ძლიერო და ცაზე მაღალო!..

3

რაჟამს დასტოვა შენმა დამნაფებელმა
თვისი სხეული და შენ მოგიძღვნა თავი,
აცხონე, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტება,
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ!
ვაი მათ, ვინც გიხილა და არ შეგიცნო,
რამეთუ უწყალობე შენ მათ და
ვერა მიხვდნენ და არა გცნეს,
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ!
გლეხის სამოსში, დაფლეთილი რომ დაიარებოდი,
მაგრამ მკერდში გიძგერდა ოქრო,
შემოგაფურთხეს,
რამეთუ ისინი აფასებენ ყელზე აცმულ
ძვირფას თვლებს,
მაგრამ შენს წმინდა თვალებს ვერ გაუსწორეს
თავიანთი მხდალი აზროვნება,
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ!
მაინც კეთილად გაუღიმე,
შენს შემგინებლებს,
რამეთუ შენ ხარ სიკეთე და გულმოწყალება,
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ!..

4

რაჟამს იკითხეს, რა ფერის იყავ,
მიუგე ასე:
მე ფერი არ მაქვს, ვფერდები ისე,
რაფრადაც ალმიქვამ.
რაჟამს იკითხეს, რა სუნი აგდის,
მიუგე ასე:
მე სუნი არ მაქვს, ვსუნდები მაშინ,
როდესაც შენი გვირილებითა და
ნარჩენების გადამამუშავებელი
ქარხნის ბოლით სავსე ფილტვები
შემიგრძნობენ და მომანიჭებენ სუნს.
რაჟამს მომიგეს, რა გემო გქონდა,
მივუგე ასე:
იქნებ ვაჟა-ფშაველას გემო აქვს,
ან იქნებ რუსთაველის და გალაკტიონის,
ერთად მოხარშულის და გამოწურულის
მსუყე გემო აქვს-მეთქი.
ესეც არ იკმარეს,
ბოლოს ლია, ბესიკი, აპოლონ, ჯარჯი,
მამუკა, ნიკოლოზ და მრავალი სხვა გადაადნეს,
მერე თავიანთ ტვინში მოგხარშეს და
ეს გემოც მოეწონათ,
მაგრამ რაღაც მეტი, უცხო იგრედიენტიო და
თაროდან ჩამოვულე ელიოტი და უიტმენი,
თაგორი და ბროდსკი, ბლოკი და ახმატოვა,
ამდენი სხვა და მოეწონათ,
მაგრამ რაღაც მეტიო, ისევ და
ყველა ერთად, ვაჟადან – ზაალამდე
ერთად მოვუხარშე და Evrika!
მოეწონათ, მოეწონათ ეს გემო,
მადის აღმძვრელი და სრულყოფილი!
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ!..

5

ნეტარ არიან, ვინც იციან, ვინა ხარ, რა ხარ.
ცხონდება ისიც, ვინაც ცდილობს ამოგშიფროს,
დაფარულო.
დაჭკნება ის ხე და ის ყვავილი,
ვისაც არ შეეხე შენი ტერფებით!..
ყოველი დილა,
ყოველი ზენიტი მზისა,
ყოველი მთვარის გაკაშკაშება,
შენით იწყება,
დაფარულო და მიუწვდომელო,
წყალივით ტკბილო,
ქარივით მუსიკალურო,
მაღალო და შეუმჩნევლად ყველგან მყოფო,
ო, ღმერთო ჩემო, დიდო პოეზიავ!..
ქნარს თუ სიმები გაუწყდა მაშინ, აესიმები.
ვიოლინოს თუ გაუტყდა ხემი, აეხემები.
თუ შემოდგომას არა ჰყავს ხე, შეეხეები.
თუ ადამიანს უწყალობე და ვერ გიხილა,
მეასე შანსსაც მისცემ და გულზე აეკონები.
მაგრამ თუ ვერ გნახა, მე
სამუდამოდ ჩამოეცლები
და მის სიცოცხლეს ერქმევა მხოლოდ
ქვიშის ჩამოცრა ერთი ბოლოდან მეორის თავში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰპირ ბპი დილ ჰაი ჰინდუსტანი

*(პარამიანცის პალატაში ჩაწერილი)*

*კობა ცხაკაია*

„მერა ჯუუთა ჰაი ჯაპანი, იეჰ პატლოონ ენგლიშტანი,
სარ პე ლაალ ტოპი რუუსი, ჰპირ ბპი დილ ჰაი ჰინდუსტანი!"
— აი, შენ გეცინება ამ სიმღერაზე... იგეთ ისტორიას მოგიყვები, არასოდეს დაგავიწყდება...

ბენზინი მაგარი რამეა.

ბენზინმა ჩემს მშობლებს ყველაზე დიდი ბედნიერება მოუტანა და დედაქალაქს სიყვარულის კიდევ ერთი ჯიგრულ-მხიარული ისტორია აჩუქა... გაგიგონია ეგეთი სტროფები?

„კინო გიყვარს ინდოეთის,
კინო გიყვარს ინდური,
სადაც არის სიყვარული,
სიყვარული გიჟური!!!" — ამ ლექსზეც გეცინება, შენ რა მხიარული ვინმე ყოფილხარ!.. ეს ერთადერთი პოეტური პროდუქტია, რომელიც ცხონებულმა მამაჩემმა ცხონებულ დედაჩემს ლიჩნად მიუძღვნა.

იცი შენა, ძველ დროს როგორი ცხოვრება იყო?

არც კომპიუტერი, არც ინტერნეტი, არც მობილური.

იყო მარტოდმარტო ტელევიზორი, ბაზის რადიო, თეატრი და პარადები, რამე ერთი მაისი, ცხრა მაისი, შვიდი ნოემბერი, რვა მარტი, ოცდაორი აპრილი. ცუმპარამპები, ურა-ვაშა და ოცდაოთხსაათიანი გაუმარჯოს კომპარტიას...

ტელევიზორში მარტო სამი არხი აჩვენებდა — პირველი რუსული ცენტრალური, მეორე რუსული — მოსკოვსკი და ერთიც ჩვენებური — ქართულსკი... მეორე ჩვენებური — თბილისკი, ცოტა გვიან იბარტყებს. იქა იმ კაი რალაცებს იმეორებდნენ, რაც პირველ ჩვენებურზე მოეწონებოდათ მთავრობას ან ტელევიზიის ნაჩალნიკებს.

ჰოო და რაც მთავარია, იყო კიდევ კინოოო!

კინო, ეს იყო ფორთოშკა სხვა სამყაროში, ანუ ეგზოტიკურ ცხოვრებში გახედვის ველიკოლეპნი საშუალება.

ფილმი არ მახსოვს ოჩერედის გარეშე. კინოსეანსზე მოხვედრას იმდენი ხალხი ლამობდა, იმდენი რომ!!!

მოდიოდა და მოდიოდა მთელი ქალაქი სვეჟი ფილმების საცქერლად. აი, იმდენი, რამდენიც ახლა მიტინგებზე იკრიბება.

მახსოვს, ერთხელ ძალიან ცუდი კინო მოიტანეს. ფრანგული იყო, მაგრამ სუფთა დეგენერატობა, სტოპროცენტნი კოშმარი!

არც სასაცილო რამე ხდებოდა ეკრანზე, არც სატირალი, არც გინება, არც ჩხუბი და არც არაფერი. ამ ფილმის ამბავი მთელმა ქალაქმა გაიგო და სახელიც გაუტყდა. ჰოდა კინოთეატრში ტრაგური გამოცხადდა. ხალხი დარბაზს ნახევრად ავსებდა. ისიც, მხოლოდ საღამოობით, როცა ნაშებით მოდიოდნენ. ანუ კინოს საყურებლად არავის ცხელოდა. დაზარალდა პრაკატი. კინოთეატრის უფროსობას უფრო დიდი უფროსობა მიაწვა. ჰოდა მესტნი დირექტორმა არც აცია და არც აცხელა — აფიშას სასწრაფოდ მიაწერა, თექვსმეტ წლამდე ბავშვები არ დაიშვებიანო... არ დაიშვებიანო?... და რომ იცოდე, რა ამბავი ატყდა? ტევა აღარ იყო დარბაზში.

რანაირი მიამიტი ხალხი ცხოვრობდა მაშინ! ალალზე ალალი!!! კინო ნანახი ჰქონდათ, მისი სათაურის გაგონებაზეც კი იფურთხებოდნენ, მაგრამ ამ ფილმის სანახავად მაინც დადიოდნენ... იცი, რატომ? წითელი საღებავით სახელდახელოდ გაკეთებული წარწერისა სჯეროდათ და იმიტომ — თექვსმეტ წლამდე ბავშვები არ დაიშვებიანო...

ისინი ფიქრობდნენ — „ალბათ, ერთი ან ორი კოლოფი ფირი ტამოჟნაიაზე დაავიწყდათ, ან არ გამოატარეს, ან დაკარგესო და ახლა სწორედ ამ ნაწილის გამოჩენამ აქცია ეს ფილმი ბავშვებისგან საფრთხილოდაო... ჰოდა, დაცარიელებულ დარბაზს სწოლნივით მიაწყდა ინტერესში ჩავარდნილი მაყურებელი.

ქალაქელები და თბილისის სტუმრები, ამ ე.წ. „დაკარგული" თუ „აღმოჩენილი" ათი თუ ოცი წუთი კინოს გამო, მთელი დღის ნაშრომ-ნაწვალევები სალაროებისაკენ მიასლასებდნენ, უპრეტენზიოდ დგებოდნენ უზარმაზარ რიგებში,

ილებდნენ ბილეთებს და ჩაბნელებულ დარბაზში კიდევ ორსაათნახევარი ამაოდ ელოდნენ რაიმე ევროპულად გარყვნილის, „ეროტიკნულ" ეგზოტიკურის, 16 წლიანებისთვის სასირცხვილოს დანახვას... მერე კი იმედგაცრუებულები ტოვებდნენ დარბაზს. წყევლიდნენ და აგინებდნენ კაპიტალისტებს, თითქოს მათი ბრალი იყო ამ ფილმის სანახავად ხელმეორედ რომ მოვიდნენ.

ეგ კინო ჩემებმაც ნახეს. მათაც ძალიან დასწყდათ გული. კაპიტალისტურად გარყვნილი, ერთი ლამაზი ქალიც კი არ გამოჩენილა ეკრანზე. ერთი დრუჟესკი კოცნაც კი არ ყოფილა. პაჩი-პუჩს ვინ ჩივის, ხელიც კი არ გადაუხვევიათ რომელიმე მდედრისთვის. თუმცა ეკრანზე არც კი გამოჩენილა ვინმე ამის ღირსი... აი, ისეთი, რომლის დანახვაზეც, თბილისელი კაცი ჯდომისგან დაღლილ მუხლს რომ გამლიდა, თითებს დაატკაცუნებდა და ხრინწიანად წამოიძახებდა:

– უიმენიგამჩენისდედამოტყლაშუნობდატყლაპოში!

სამი-ოთხი დღე კიდე გასდიოდა ამ დამპალ დირექტორს თავისი ფანდი, მაგრამ მერე ყველა მიუხვდა ჩათლახობას და მიანება თავი ამ სირიკოზობის ყურებას. ქოსატყუილას კი შეუვარდნენ იმედგაცრუებული ქალები და კარგა მაგრად მიბეგვეს. ქალაქში, იმის მერე, ამდაგვარი გოთვერნობა აღარ გაუმეორებიათ... ეა გაკვეთილი სამაგალითო აღმოჩნდა ყველა კინოთეატრის დირექტორისთვის და კინოპრაკატჩიკი ცენზურისგან მკაცრად დადგენილი წესებით სარგებლობდა – ქალი კუპალნიკში – შეიძლება, შორს შიშველი ქალი უკნიდან და წინიდანაც – შეიძლება. ახლოს, წინიდან მხოლოდ შიშველი მკერდი – დასაშვებია. კოცნა ტუჩებში – მხოლოდ ქალი /კაცი – შეიძლება, ფრანცუზსკი პაცელუი მხოლოდ პირველი ნაწილი, სანამ კუჭის წვენს ამოუღებენ ერთმანეთს – შეიძლება. საწოლში, ქალი ზემოდან – არ შეიძლება, კაცი კი. უკნიდან ფეხზე მდგომელა სექსი – არა. წინიდან და ფეხზე მდგომელა სექსი – არა. მთლად შიშველი კაცი არანაირი მხრიდან არ შეიძლება. მხოლოდ ტრუსიკში – პაჟალუსტა...- და ეს ყველაფერი, ან ერთი-ორი ჩამოთვლილიდან მაინც თუ იქნებოდა ფილმში, „თექვსმეტ წლამდე არ დაიშვებიან" წარწერის გაკეთება – მოუწო. დანარჩენ შემთხვევებში კი „გულიაი ვსია ბანდა ბეზ რაზბორუ"...

ისტორია გამიგრძელდა, მაგრამ ბოლომდე რომ დაიჭირო ამბის შუღამი, მინდა გითხრა, რომ დედაჩემი და მამაჩემი ავლაბარში ცხოვრობდნენ.

მაიცა, კიდევ ერთ მაგარ რამეს გკითხავ და თუ მიხვდები, დაგიჯერებ, რომ კარენნოი თბილისელი ხარ:

– იცი, რა არის ფუჩიკი?.. იცი? მაიცა, სანამ მეტყვი, დრამატურგიაო და რაღაც ეგეთები, კარგად დაფიქრდი! დაუკვირდი სიტყვას და მის მუსიკალობას – ფ უ ჩ ი კ ი! ვერ მოტყვინე?.. არ გეწყინოს, მაგრამ შენ არა ხარ ძირძველი თბილისელი... ფუჩიკი ავლაბრულად ნიშნავს ბუშტს. პოო მთელ ქალაქში ბუშტი – ბუშტია, მაგრამ ავლაბარში ყოველი ბუშტი, დიდი თუ პატარა, ათთეთრიანი თუ ასდოლარიანი – ფუჩიკია!

უნდა იცოდე – თბილისი თბილისია, მაგრამ ავლაბარი – თბილისის ნაკრძალია. „ჰავლაბარ, ჰავლაბარ – ზდეს დუხანი, ტამ ბაზარ!". ავლაბარიც თბილისია და საქართველოა, მაგრამ ავლაბრული თბილისი და ავლაბრული საქართველო ვაბშემც ეგზოტიკაა. მეიდ ინ ავლაბარსკი.

ჩვენთან უბნის პატარა კინოთეატრი იყო. პირდაპირ ცენტრალურ ქუჩაზე. ძველი სახლის თუ სასახლის პირველ სართულზე. სეანსებზე ფილმების საყურებლად იშვიათად თუ მოდიოდნენ სხვა უბნებიდან. განა იმიტომ, რომ რამე ფიზიკური საფრთხე ელოდათ, ან რაიმე მორალური უსიამოვნება... არა, უბრალოდ ეს კინოთეატრი ავლაბრელებზე იყო მორგებული. მათ სურვილებზე, მათ გემოვნებასა და მენტალიტეტზე.

აქ მთელი ავლაბარი ოჯახებით დადიოდა. განა იმიტომ, რომ რაღაც განსაკუთრებულად საოცარ ფილმებს აჩვენებდნენ?.. არა, არა და არა!

არც რაიმე ავლაბრულად განსაკუთრებული, თავისებური არქიტექტურა ან ვნუტრენნი რასპალაჟენია ჰქონდა. ჩვეულებრივი სტანდარტული შენობა იყო. საშუალო ზომის, კინოთეატრისთვის შედარებით დაბალჭერიანი დარბაზით, ხის სკამებითა და ცემენტის გაპრიალებული პოლით. მისი თავისებურება ის იყო, რომ აქ მხოლოდ ინდურ ფილმებს აჩვენებდნენ... ბოლივუდსკი მენიუ და მეტი არაფერი.

„მიმინო", რომ „მიმინოა", ამ შედევრის საყურებლადაც, ჩემი უბნელები რუსთაველის კინოში მიდიოდნენ. მოკლედ – „მადე ინ ინდია" და მორჩა. აქაური რეპერტუარი არ ექვემდებარებოდა გადახედვას. ვერც პოლიტიკური, ვერც სოციალური და ვერც რელიგიური ტალღოკები ვერ შეარყევდნენ ამ კანონსა და ამ ადათ-წესს.

ქალაქში ხუმრობდნენ, „ავლაბრელების კინოში – ბილეთი ერთი რუპია ღირსო". რუპია ინდური ლარია.

აქ მთელი უბანი იჯდა. ყოველი სეანსი, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, განათლების და რელიგიური მრწამსის განურჩევლად ივსებოდა ხალხით. მამაკაცები ტკბებოდნენ მავთვალება, ლაბაბიანი გოგონების სიმღერებითა და ცეკვებით. დედაკაცები კი დნებოდნენ კბილებმოელვარე, ჩასუქებული, მოყავისფრო მამაკაცების თვალების ბრიალსა და ცრემლების ღვარღვარზე.

მერე სიმღერები როგორი ჰქონდათ!!! მომაჯადოებელი ინდიისკი ენა! – ტყლაპივით კისლი და ამასთანავე ტკბილი, სულ ტკლ-ტკლ-ებით გაჯერებული. მერე ხმაა!!! კაცისა იყო თუ ქალისა, ყველა ფილმში ერთი და იგივე ტემბრი ისმოდა. ტანში ჟრუანტელდამვლელი ხმა! თხუთმეტი წლის უმანკო, სიფრიფანა გოგონასი, ნარნარა და საამური ფალცეტი. კაცებისა კიდე ყველა ჰამლეტა გონაშვილის ხმას ჰგავდა.

ყველა ოჯახში ღიღინებდნენ აქ გაგონილ სიმღერებსა და საცეკვაო მელოდიებს.

სიუჟეტები და ისტორიები იყო ვნებიანი, წერვების გლეჯვამდე მისული სიყვარულითა და ცეკვა-სიმღერით გაძეძგილი. ამბები ისეთი, რომ დედა შვილს არ აიყვანდა ხელში, ჩერეზჩურ ჩაბლარ-

თული, მაგრამ გურამიშვილის ლექსივით, ყველაფერი სიკეთის გამარჯვებით მთავრდებოდა:

„თუკი ძირი მწარე არის, კენწეროა სავსე ზლებით!"

დაახლოებით ეგეთივე ამბები ტრიალებდა ავლაბრელების პირად, ანუ ლიჩნი სასიყვარულო ამბებშიც. ხარი ხართან დააბიო და... ორი ხარი იქნებაო.

ჩვენი კინოთეატრი არ იყო მარტო ფილმებით ტკბობის ადგილი. აქ ავლაბრის დემოგრაფიული მომავალი წყდებოდა. მაშ!.. აქ გაიცნეს ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი. აქ დაპატიჟა პირველ პაემანზე მამაჩემმა დედაჩემი და ლამის აქვე თხოვა ხელი.

მართალია, მამას კინო საერთოდ არ აინტერესებდა, მით უმეტეს, ინდური, მაგრამ რაკი დედას უყვარდა, მისი ხათრით თვეში ორსჯერ მაინც დადიოდა ინდური ტამ-ტანდურას საყურებლად.

ახალი ფილმი ყოველ კვირას მოჰქონდათ და შესაბამისად, ყოველი კვირა დღე ცინცხალი და ქაფქაფა ვნებიანი სასიყვარულო ამბითა და შესაბამისი მუსიკალური გაფორმებით ავსებდა ჯერ დარბაზს, მერე ყოველი ავლაბრელის გონებას და ბოლოს – უბნის თითოეულ ეზოს, მის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩასა და ბალკონებს.

„სიყვარული აფრენილი ორბია!

თუ დაგეცა, ნეიტრონის ბომბია!"

ჩემები, უბრალო, თავისებურად ნაკითხ-ნაჩიტანი და განათლებული ხალხი იყო... პრემიერიდან პრემიერამდე, ყოველი ახალი ფილმი ბედნიერი და ეგზოტიკური ფერებით უვსებდა მათ საბჭოური ცხოვრების ერთფეროვანებას. ჰოდა, ამის წყალობით სულ სჩასტლივები იყვნენ. ისინიც, მეზობლებიც, მათი მეზობლებიც, მათი მეზობლების მეზობლებიც... „კინო კაკ კაიფ დლია დუში", აბა.

მამაჩემი პროფესიით მეტალურგი ბრძანდებოდა... მეტალურგობა საკმაოდ მძიმე, მაგრამ საამაყო საქმე იყო... ისიც ამაყობდა, თუმცა ამაბიჭებთან ერთად კერძოდ ბიზნესობდა. საოცარი ხელი ჰქონდა, მღებავობა, ანუ კარგი „მალიარობა" ეხერხებოდა. ჭერსა და კედლებზე საოცრული ორნამენტების ხატვით გაითქვა სახელი. ბევრ დაკვეთას იღებდა და ლამის ყოველი მდიდარი თუ იზვესტნი თბილისელის სახლი მისი მხატვრულ-შემოქმედებითი შედევრით იყო დამშვენებული. მოკლედ, ფული არ აკლდათ, ამიტომ დედა, ჩემი მამოჩკა, არ მუშაობდა, იჯდა სახლში, ფიქრობდა ბედნიერებაზე და საყვარელ ქმარს გულისფანცქალით ელოდა.

მისი გართობა მხოლოდ კინო და რადიო იყო. ზოგჯერ წიგნებსაც ჩაუჯდებოდა – ჰიუგო, მოპასანი, სტენდალი, დოსტოევსკი, ბალზაკი, ტურგენევი, გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა, გოგოლი, თეკერეი. განსაკუთრებით უყვარდა შარლოტა ბრონტე. „ჯეინ ეარი" მარე ათჯერ ჰქონდა გადაკითხული, მაგრამ ყოველ ჯერზე – აღფრთოვანება, სულიერი თრთოლვა და მხურვალე გრძნობები თანაბარი ძალით ილვიძებდნენ, ბობოქრობდნენ და ელინებოდნენ მასში და შესაბამისად, ქმრისადმი უსაზღვრო სიყვარულიც მარტენის ღუმელივით გიზგიზებდა ჩემების ოროთახიან ბინაში.

ტელევიზორიც ჰქონდათ. კარგი. ფერადი. საკმაოდ დიდი ეკრანით. თუმცა ის მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რომ საძორნილო საჩუქრის ბროლის უზარმაზარი სანათის, ანუ ნაჩნიკის პედისტალად ქცეულიყო. მის მოლურჯო, მომწვანო ზედაპირს, სვირინგივით ამშვენებდა რაჯ კაპურის, ინდური კინოს ვარსკვლავის გამოსახულება, უფრო სწორად, მისი ფერადი პერსონაჟის, „ბატონი 420"-ის მოღიმარი ანფაზი.

ნუ გეცინება, მაშინ, ჯიგარო, ერთიმ გვერდი მხოლოდ ოცი წლის გარდაცვლილი იყო. ქალაქელი აშულების ექო ჯერ კიდევ დატრიალებდა ქუჩებში. იმათ ლექსებსა, ბალადებსა, ოდებსა და სიმღერებს თუ ჩაუკვირდებოდი, ინდური ფილმების შინაარსსა და იქ განსახიერებულ ვნებებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

ავლაბარს და მაშინდელ თბილისს ქალაქურ ბაიათებზე დაფუძნებული ეგზოტიკა, ნახევრად გოიმური ეშხი და ოლიჩიტელნი კულტურა ჰქონდა. ჰოდა, შესაბამისად, ეგეთი რაჯ კაპურიანი ვაზები, ვეშჩები და ნაჩნიკები ძალიან მოდაში იყო... უფრო სწორად, იმ წრეში, რომელშიც ჩენები ცხოვრობდნენ და ტრიალებდნენ.

ჩვენს მეზობელ, განათხოვარ ანჟელაას, ოჩერედნოი სასიძოს ურიგებდნენ და როცა მის პატივსაცემად ოჯახი სანადიმო სუფრის სამზადისში იყო, მაგიდის კულტურული დონის „შესავსებად" და მომავალი პატარძლის პრესტიჟის ასამაღლებლად, რაჯ კაპური ითხოვეს.

დედასაც უარი არ უთქვამს.

ჰოდა, კერძებით გაძეძგილ სუფრაზე თვალებს აბრიალებდა ტაჯ-მაჰალივით ამაყი და რომანტიული ბატონი 420 და საპირისპირო მხარეს მჯდარ მიჯნურებს არ აძლევდა ერთმანეთთან ვირტუალური კურკურის საშუალებას...

მოკლედ, აბობოქრებული სიყვარულის ინდოსტანის ოკეანეში ცურავდა მთელი ქალაქი, თვით ავლაბარიც და პირადად ჩემი მშობლებიც უკვე შვიდი წელი მიაპობდნენ ეგზოტიკური ფილმებიდან დაქროლილი ნიავით ადუღუნებულ სოცრეალიზმის ტალღებს. არ იღლებოდნენ, არ იძირებოდნენ, არ იტანჯებოდნენ. პირიქით, ხარობდნენ, ხალისობდნენ, თუმცა ამ კარტინკას ერთი მრაჩნი პრობლემა ამძიმებდა – სამწუხაროდ, შვილი არ უჩნდებოდათ.

ვისთან არ იყვნენ, ვის არ მიაკითხეს, რა არ გამოიკვლიეს, რას არ დააბრალეს, რა არ დაადგინეს, რა არ გაიგეს, მაგრამ დანაშავე ვერ იპოვეს, მიზეზი ვერ აღმოაჩინეს.

ორივე კაჟივით ჯანმრთელი გამოდგა, მაგრამ ბავშვი არ ჩნდებოდა და შესაბამისად, საშველიც არ იყო. ცოლ-ქმარს უსაზღვროდ სურდა, სწყუროდა შვილი. თუმცა, როგორც ჩანს, სურვილი, ჯანმრთელობა და უშრეტი სიყვარული არ კმაროდა ამ მიზნის მისაღწევად... ბავშვები მარტო ზემოთჩამოთვლილ პირობათა ხარჯზე არ კეთდებოდნენ.

ამ პრობლემამ, მეუღლეებიდან მესამე ნელს, წვეთ-წვეთად, ლერ-ლერად, ნაბიჯ-ნაბიჯ თითქმის შეუმჩნევლად დაუწყო რომანტიკულ გრძნობებს ბერეტა, გლეჯა და ხვრა.

ამას მოჰყვა სხვა პრიჩინებიც. ხან ისაო, ხან ესაო. საქმე ისე გაფუჭდა, რომ ზოგჯერ ერთმანეთი საერთოდ აღარ ევასებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მოვრჩეთ ფილოსოფიას და გადავიდეთ საქმეზე. ანუ აქ უნდა მივიდე იმ ამბამდე, თუ როგორ დავიგეგმე, დავპროექტდი მე და რა სტრანნი როლი შეასრულა ამ საქმეში ბენზინმა... A-72 – ასე ერქვა მაშინ იაფ საწვავს.

შეილები, როგორც ვთქვი, ჩემს მშობლებს არ ჰყავდათ და არც უჩნდებოდათ... ამის ნიადაგზე ლამის ოხლადელი ერთმანეთის მიმართ, მაგრამ... როგორც ნათქვამია „ადამიანი პრედპოლოგაეტ, ღმერთი კი რასპოლოგაეტ"... უეცრად ორივეს თვალები აეხილა და სიმწრისაგან ამოიგმინეს, ერთმანეთს გადახედეს, უსიტყვოდ აიკაპიწეს ხელები და შეუდგნენ ოჯახური იდილიის აღდგენას.

პირველ რიგში, ეს გამოიხატა იმაში, რომ დედაჩემმა გადანყვიტა სახლი კაპიტალურად დაელაგებინა. არც ადრე აკლებდა ხელს და ყველაფერი სუფთად და აკურატულად ჰქონდა მოწყობილი, მაგრამ სიზმარი ნახა, თითქოს ოქროსფერ კაბაში გამოწყობილმა ვიღაც დედოფალმა, როგორც მერე აღმოჩნდა – შუშანიკმა, თავზე ხელი გადაუსვა და ყურში ჩასჩურჩულა:

– ნუ დაფარფატებ, დაეშვი მიწაზე, ყურადღებით მიმოიხედე, ბოლოს და ბოლოს, დაინახე ის, რასაც გეგონა, რომ ხედავდი. როცა დაინახავ, დამშვიდდი, დალაგდი და ყველაფერი კარგად გექნებაო!

დედამაც პირდაპირ გაიგო ეს ნათქვამი. ყურადღებით მიმოიხედა, თითქოს დაბრმავებული თვალები „აეხილა" – იმდენი მტვერი, აბლაბუდა და აქამდე შეუმჩნეველი, დაფარულ-მიმალული ჭუჭყი აღმოაჩინა სახლში, რომ კინაღამ ელდა ეცა.

ისეთი რიმიტელნი ქალი იყო, რომ იმავე დღეს შეუდგა საქმეს. პირველ რიგში გარეცხა ყველანაირი ტანსაცმელი – ახალიცა და ძველიც. მთელი თეთრეული – ნახმარიც და უხმარიც. გაწმინდა და გააპრიალა შუშისა და თიხის ყოველი საგანი. ბზინვარებამდე მიიყვანა მვიდწლიანი ოჯახური ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ვერცხლის და ოქროს დანა-ჩანგალი და ჯამ-ჭურჭელი. გააპაჩინკებინა მთელი ავეჯიც. ერთი ნაკაწრიც კი არ დაატოვებინა ზედ. დაწმინდა და დაახარისხა თითოეული წიგნი და თარო. გახეხა და შეაკეთებინა აბაზანა და სამზარეულო. ამის შემდეგ დადგა საპირფარეშოს ჯერი და ისიც აიანზე, სარკესავით აბჭყვიალა. მამაჩემი ხუმრობდა, ღამით ტუალეტის შესასვლელი ღია რომ დაგვეტოვებინა, მთვარის შუქზე ეს დედამო...ლი ისე ბზინავდა, რომ წიგნის წაკითხვას შევძლებდით.

ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ ოპერაციაში მამაჩემიც მონაწილეობდა. მართალია, სამსახურის მერე, მაგრამ დაღლილობის მიუხედავად ერთხელაც არ დაუწუწუნია და მეუღლეს ყურმოჭრილ მონასავით უსრულებდა ყველა თხოვნას, კაპრიზსა თუ აურზილს.

ნახევარი თვე გაგრძელდა ეს ამბავი.

წარმოიდგინე სიტუაცია:

ორი კვირის მანძილზე მთელი ავეჯი შეშინებული ფარასავით შუა ოთახშია შეკუჩული. ყველგან რაღაცები აწყვია. მთელ სახლში მხოლოდ ერთადერთი კრაოტია თავისუფალი და იქაც მიყრილან სიქაგამძვრალი ცოლ-ქმარი და...

...და რა ამბავში იქნებოდნენ, ალბათ ხვდებით?

არაფერი შეგეშალოს და რამე პახაბნად არ გაიფიქრო. საცოდავებს არაფრის თავი არ ჰქონდათ, გედებივით კისრებგადახვეულებს, მხოლოდ ღრმად და უშფოთველად ეძინათ. ეს იყო და ესა.

ბოლოს მამაჩემმა მოიტანა დაპირებული ბენზინი – A-72 მარკის, ხუთი ლიტრა, პლასტმასის ჭურჭლით. უსიტყვოდ ჩააბარა დედაჩემს, მერე ამოიჩარა იღლიაში ნარდი და გავიდა გარეთ. განერიდა იმას, რის შესრულებაში თბილისელ დამოჩკებს ვერავინ შეეცილებოდა, ანუ უნდა მოემზადებინათ მასტიკა, მერე იატაკი ბენზინით მოეწმინდათ და მასზე ის მასტიკა უზადოდ გადაესვათ.

იმ დროს, რბილ ტუბიკებში ჩატენილი, კარაქისფერი, გდრ-ის ნაღდი მასტიკა დეფიციტი იყო. რაც იშოვებოდა, ძროხის გამხმარ ფუნას ჰგავდა. ჰოდა ამ ფხვიერ მასას ბენზინში აზავებდნენ, არბილებდნენ და ტომატის მსგავს სითხედ აქცევდნენ. ეს ბრძანდებოდა ბატონო ჩემო მასტიკა „მადე ინ უსსრ".

მას უსვამდნენ ასევე ბენზინით გაწმენდილ იატაკს. ელოდნენ გარკვეული დრო, სანამ პარკეტი, ან პოლის ფიცარი შეიწოვდა მასას და მერე იატაკის ჯოხზე წამოცმული უხეში ნაჭრით პირველად გაპრიალებას ასრულებდნენ. ამის შემდეგ კი ოჯახის წევრები ერთად შედგებოდნენ მართკუთხედებად დაჭრილ ნაბდებზე და „ჩა-ჩა-ჩას" მოძრაობებით იატაკს საბოლოოდ აზინზილებდნენ.

აი, ამ ბოლო, დამაგვირგვინებელ სტადიას უნდა შეერთებოდა მამაჩემი. ჰოდა, ამის დროც დადგა. დედაჩემმაც დაუძახა, იმანაც უსიტყვოდ მიაფურჩნა ნარდის მოსაგები პარტია და მეზობლების უკმაყოფილო შეძახილების მიუხედავად აუყვა ოჯახის საფუძვლების გამყარებისკენ მიმავალ ლესტნიცას.

გულით და სულით შეუდგნენ საქმეს. კაი ორი საათი მოუნდნენ დაპრიალებას... მაგრად დაიღალნენ, გაოფლიანდნენ, ლამის სიქა გაძვრათ... მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით უცნაური რამ ჩაიდინეს. ვერ მოტვინეს, ვერ მიხვდნენ რისი ბრალი იყო ეს... „ჩა-ჩა-ჩა„ ცეკვის? ბენზინის? მოშიშვლებული ფეხების? მკვეთრი მოძრაობების? ტანის უცნაური რხევების?.. თუ იმ შემპარავი, სითბოთი და იმედით სავსე ღიმილიმარევი გამოხედვების, რომლებსაც წამიერი ამოსუნთქვების დროს ჩუქნიდნენ ერთმანეთს?...

...ფაქტია ის, რომ კარგა ხნის „დამშეული" ცოლ-ქმარი ჯერ გაშეშდა, მერე გაეღიმათ და მერე კი ასმაგი ენერგიით დაეწაფნენ ერთმანეთს და... მოკლედ არაფერი მოიკლეს... კარგა ხანი იმ ოქროსკაბიანი დედოფლის, შუშანიკის ქება-დიდება ჰქონდათ.

„სიყვარულმა შენ კი არა გადარია ტარიელი,
შენნაირი კი არ იყო, ჭკუა იყო ცარიელი!"...

...კმაყოფილმა მამაჩემმა ბედნიერად შეაბოტა საპირფარეშოში, გზად „საქართველოს ქალი" წაიძღვანია. ჩამოჯდა გაბრწყინებულ უნიტაზზე, და გადაშალა ჟურნალი. ბედნიერი დედაჩემი კი შუა ოთახში, იატაკზე იწვა და ნეტარების მორევში ცურავდა...

აქ შეგვიძლია რაიმე ნავილილინოთ... მანამ, სანამ რაღაც მოხდება... მაგალითად, თბილისური რაიმე:

„ქრელ ბალდაღზე გავშლი სუფრას!

იქ დაგიდგამ დოქით ღვინოს..."

მამაჩემი კმაყოფილი ათვალიერებდა სურათებს და ხმამაღლა კითხულობდა მათ ქვეშ განთავსებული სტატიების სათაურებს... თან სიგარეტს აბოლებდა... ცოტა ხანში მეტი ყურადღებით ჩაუღრმავდა საბჭოთა საქართველოში საიდანღაც წარმოქმნილ ქალთა პრობლემებს... სტატია საინტერესოა... ამასობაში სიგარეტი ჩაამთავრა, საქმე კი არა... ამიტომ ლამის ჩაფერფლილ ბიჩოკს ჩაუძახა უნიტაზში და... ირგვლივ ყველაფერი განათდა... სამყარო ა ფ ე თ ქ დ ა. მამამ სიმხურვალე იგრძნო. მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც წელს ქვევით იყო – ი წ ვ ო დ ა. აშიშხინებული ხორცის სუნმა გააბრუა. გაოგნებულმა ქვევით ჩაიხედა – უნიტაზი ვულკანივით აფრქვევდა ცეცხლს... აუტანელი ტკივილისა და შიშისაგან დაიღრიალა და თავით საპირფარეშოს კარი გაიტანა. დარტყმა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მასიური ფიცარი შუაზე გაიპო, ხოლო თავგატეხილი მამაჩემი, შომწვარი მამაკაცური ღირსებით, იატაკზე გაიშხლართა.

საცოდავმა, სანამ გონებას დაჰკარგავდა, დედაჩემს გახედა და ნაიღუღლუღა:

– თავს უშველე! გაიქეცი! მგონი ვულკანმა ამოხეთქა!

ქალმა იყვირა „ვაიმე, დავიღუპეთო!" და გონდაკარგულ ქმარს ეცა...

– ვაიმე, ეს რა ჩავიდინე! რატომ არ დამაწყდა ხელები! მაპატიე! ნეტა შენს ადგილას მე ვყოფილიყავი! ვაიმე! ვაიმე! ვაიმე! ვაიმე!

მოკლედ მთელი სახლი ფეხზე დადგა. სამეზობლოში ალიაქოთი ატყდა. ვინ რას აკეთებდა, ვინ რას ყვიროდა და ვინ რას მოითხოვდა, ღმერთმა იცის. მოკლედ, სანამ სასწრაფო, სახანძრო და მილიცია მოვიდა, მამაჩემი გონს მოეგო. საცოდავი კაცი მიხვდა ყველაფერს. პანიკაში ჩავარდნილ დედაჩემს გულისტკივილითა და იუმორით ახედა და უბოროტოდ შეაგინა... რამდენადაც გასაკვირად არ უნდა ჟღერდეს, მისმა გინებამ ქალი ცოტა დაამშვიდა.

– გაჩერდი, შე შობელძაღლო! გაჩუმდი, გთხოვ, შენი დედაც... ტვინს ნუ ხნავ ქალოო!

– ვაიმე, ეს რა ჩავიდინე! რატომ არ დამაწყდა ხელები! მაპატიე! ნეტა შენს ადგილას მე ვყოფილიყავი! – იმეორებდა სასოწარკვეთილი ქალი და თავში ხელებს იცემდა. მილიციისა და სასწრაფოს დანახვაზე კვლავ გაგიჟდა-გადაირია.

– რატომ არ დამაწყდა ხელები! მაპატიე! ნეტა მე ვყოფილიყავი!

– შენი უჭკუო დედა ვატირე! თავს ნუ მჭრი! დამშვიდდი! სირცხვილია! გაჩუმდი, ტვინს ნუ ხნავ!

აი, ეგრე უცნაურად გამოხატავდა ტკივილსაცა და საყვარელი ცოლისადმი ყურადღება-თანაგრძნობას. ჭკუიდან გადასული დამნაშავე კი არ ცხრებოდა და გაუთავებლად გაჰკიოდა:

– ვაიმე, ეს რა ჩავიდინე! რატომ არ დამაწყდა ხელები! მაპატიე! ნეტა შენს ადგილას მე ვყოფილიყავი!.. ნეტა მე ვყოფილიყავი!.. ნეტა მე ვყოფილიყავი!..

...თუ ვერ მიხვდი, რა მოხდა და რაში იყო საქმე, მაშინ ყველაფერს დეტალურად აგიხსნი:

მასტიკის მომზადებისა და იატაკის მოწმენდის შემდეგ დარჩენილი ბენზინი, ბარე ორი ლიტრა დედაჩემს ტუალეტში ჩაუღვრია და ჩარეცხვა დავიწყებია.

საცოდავ მამაჩემს აბა, საიდან უნდა სცოდნოდა ეგ ამბავი?! ჰოდა ბიჩოკზე უნიტაზში ჩაქცეულმა A-72-მა ბუთქა და კარგა გვარიანადაც აგიზგიზდა. ცეცხლის ალმა ამოუწვა დაუცველი ადგილები. მოულოდნელობისა და აუტანელი ტკივილისაგან კაცმა თავით გაანგრია საპირფარეშოს კარი და დედაჩემის მუხლებში დაჰკარგა გონება.

შედეგად – მესამე ხარისხის დამწვრობა, გატეხილი თავი და გამწარებული გული. ასეთ მდგომარეობაში წაუყვანიათ საცოდავი კაცი საავადმყოფოში.

ისტერიკაში ჩავარდნილი დედაჩემი, თურმე ვერასგზით ვერ აატყავეს საკაცეზე გაშოტილ ქმარს. ლამის საპროცედუროშიც ერთად შეუყვანიათ... ბოლოს განაშებული ქალისათვის მამაჩემს უკოცნია და დაუმშვიდებია... ასე ფერებ-ფერებით ძლივს დაუცილებიათ ცოლ-ქმარი ერთმანეთს.

ჰოო, აი, ასეთ ტრაგიკომიკურ დღეს ჩავისახე თურმე მე.

მამაჩემი იცინოდა, სანამ ცეცხლის ნათლობა არ გავიარე, შვილს ვერ ვეღირსეო. ალბათ, ამიტომ დამარქვეს ამირანი. ამან ხომ ზევსს ცეცხლი მოჰპარა და ხალხს აჩუქა...

...A-72-ის დახმარებით მიხვდნენ ჩემები, რომ აქამდე არც კი უცხოვრიათ. აქამდე თურმე მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ინდური კინოს პერსონაჟებს დამგვანებოდნენ და მოგონილ სამყაროში ეარსებათ. ბენზინმა კი კინოეკრანს ჩამოაცილა, რეალობის წინაშე დააყენა და ისკუსტვენი ფერების გარეშე დაანახა ერთმანეთი – ნამდვილი, ღრმა, შეუფერადებელი, ბუნებრივი, ბევრად უფრო ძვირფასი და ღირებული.

– მანამდე ერთმანეთს სულ ვილაცებს ვადარებდით... – ამბობდა დედაჩემი, – იმის მერე კი სისულელეებს თავი დავანებეთ, კინო კინოში დავტოვეთ და ნამდვილი ცხოვრება დავიწყეთო...

ასეა ძმაო, ბენზინიც ხელს უწყობს ნალდ სიყვარულს.

მამაჩემის ჯანმრთელობის ამბავი თუ გაინტერესებს, და სხვა დანარჩენი დეტალები – „აფეთქების" მერე ზედიზედ ოთხი შვილი ეყოლათ. სიყვარულსა და ბედნიერებაში შეალიეს ერთმანეთს დარჩენილი ცხოვრება.

ჰოო, ამ ყველაფერს რაჯ კაპურის ნაჩნიკი შეენირა. დამსხვრევის ამბავი ძალიან განიცადა ანჟელამ, თუმცა მის გაბედნიერებას ამით ხელი არ შეშლია. ქორწილში თამადა მამაჩემი იყო... იცი, რაჯ კაპურის სიმღერა „ბატონი 420"-დან რამდენჯერ დააკვრევინეს მუზიკანტებს?... პაჩნი 42-ჯერ...

მერა ჯუუთა ჰაი ჯაპანი, იეჰ პატლოონ ენგლიშტანი, სარ პე ლაალ ტოპი რუუსი, ჰპირ ბჰი დილ ჰაი ჰინდუსტანი.

(იაპონური ფეხსაცმელები, ინგლისური შარვალი, წითელი რუსული ქუდი, მხოლოდ გულია შემრჩა ნალდი ინდური.)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# 4 ინტერვიუ

## იენ უოტსონის ბუნებრივი ინტელექტი

(ინტერვიუ)



აგვისტოს მოახლოებასთან ერთად ჩემი მღელვარება მატულობდა. მსოფლიოს სამეცნიერო ფანტასტიკის კონგრესზე რამდენიმე სერიოზული ინტერვიუ მქონდა დაგეგმილი. ამ ადამიანთა უმეტესობა არც ისე ადვილი მოსახელთებელი იყო, თუმცა ისე მოხდა, რომ ინტერვიუები დაიგეგმა. ამ დიდ სახელებს შორის იენ უოტსონიც იყო. საერთოდაც, ის იყო პირველი, ვისაც მივწერე და ინტერვიუზე დავითანხმე. შესაბამისად, მასთან შესახვედრად უფრო დიდხანს ვემზადებოდი და ინტერვიუც საკმაოდ დიდი გამოვიდა. საათზე მეტი ვალაპარაკეთ, ლუდის თანხლებით.

იენ უოტსონი ბრიტანელი ფანტასტი მწერალია, რომელიც ამჟერად ესპანეთში ცხოვრობს თავის მეუღლესთან ერთად. მისი პირველი რომანი „Embedding" საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა სკანდალურიც, რადგან ნანილმა ეს წიგნი ზედმეტად არაეთიკურად აღიქვა. თუმცა ამას მკითხველი ნამდვილად არ დაუფრთხია, პირიქით. ამ წიგნს დღემდე აქვს რეზონანტულობა და არა მხოლოდ ინგლისურენოვან მკითხველში. იენმა პირველმა შექმნა რომანი ჩომსკის ლინგვისტურ თეორიებზე დაყრდნობით, რამაც ამ წიგნს ფილოსოფიური სარჩული შემატა და ბევრად საინტერესო გახადა – არა მხოლოდ მომავლის სიუჟეტების მოყვარულთათვის, არამედ „სერიოზული ლიტერატურის" მკითხველთათვისაც.

ის ძალიან საინტერესო ადამიანია, უნიკალური იდეებით და ძალიან დიდი მწერლური გამოცდილებით. საუბრისას ძნელია მისი შეჩერება, რადგან იმდენად საინტერესო მოსაუბრეა, რომ კითხვების დასმა გავიწყდება და უბრალოდ, უსმენ. ამ ავტორს, პირველ რიგში, სტივენ სპილბერგის „ხელოვნური ინტელექტის" სცენარისტად იცნობენ. თუმცა გარდა ამ სცენარისა, რომელიც კუბრიკთან ერთად მუშაობის შედეგად შექმნა, მას არაერთი საინტერესო რომანი და მოთხრობა აქვს დაწერილი, რომელთა კითხვაც დიდი სიამოვნებაა. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც კომპიუტერული თამაშის მიხედვით დაწერა რომანი. მისი „Inquisitor War"-ის სახელით ცნობილი ტრილოგია „Warhammer 40,000"-ის სამყაროში ვითარდება.

ერთი სიტყვით, იენ უოტსონი ის მწერალია, რომელიც ძალიან მინდოდა ქართველი მკითხველისთვის უკეთ გამეცნო და ქვემოთ მოცემული ინტერვიუც ამ მიზნით ჩაიწერა.

ზაზა კოშკაძე

**ზაზა კოშკაძე: სულ თავიდან რომ დავიწყოთ, წერა რატომ დაიწყეთ? თვითგამოხატვის ასეთი ფორმა რატომ აირჩიეთ?**

**იენ უოტსონი:** ალბათ უფრო იმიტომ, რომ იზოლირებული ბავშვობა მქონდა. პატარა სახლში ვცხოვრობდით, ქალაქში, თუმცა ჩემს მშობლებს ხალხში გარევა არ ახასიათებდათ. შეიძლება ითქვას, რომ მე არ ვიზრდებოდი ოჯახთან ან დიდ ოჯახთან, ამ სიტყვის არცერთი გაგებით. ამიტომ, ადრეული ასაკიდანვე საკუთარ გონებაში ვცხოვრობდი, ჩემს წარმოსახვასთან ერთად. ამ ყველაფერთან ერთად, ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე სამეცნიერო პროგრესი და კოსმოსში მოგზაურობის ალბათობა. 1950-იანი წლების დასაწყისში, ინგლისში გამოჩნდა პირველი კომიქსების ჟურნალი "Eagle", რომელიც მომავლის პილოტის, დენ დარის შესანიშნავ თავგადასავლებზე გვიყვებოდა.

ეს თავგადასავლები მოიცავდა ვენერაზე მოგზაურობებს, რომლის ცენტრშიც ჯუნგლები და უდაბნოები იყო განლაგებული. ჩრდილოეთ ნახევარსფერო ლამაზი ჰუმანოიდი უცხოპლანეტელებით იყო დასახლებული, ხოლო სამხრეთში რაციონალისტი მწვანეკანიანი ფაშისტები ცხოვრობდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ მწვანე ფაშისტები ძალიან ცუდები იყვნენ, გარდა ერთი მათგანისა, რომელსაც სანდარი ერქვა. ამ მწვანეკანიან ფაშისტებს თეთრი მაისურები ეცვათ და ოქროსფერ მოქნილ ფარებს ატარებდნენ. მათ ლიდერს კი უზარმაზარი მწვანე თავი და მოწრიპული ხელ-ფეხი ჰქონდა. ის მფრინავ სკამზე იჯდა და ასე მოძრაობდა. მას მიკონი ერქვა. ის დიქტატორი იყო. მაშინ, როცა ჩრდილოეთ ნახევარსფერო უფრო სკანდინავიას ჰგავდა და იქ დემოკრატია სუფევდა. თუმცა ამ ყველაფერში მე პოლიტიკა ნაკლებად მაღელვებდა, უფრო ეგზოტიკა მიზიდავდა. სწორედ ამ ეგზოტიკის ძიებით დაიწყო ჩემთვის ყველაფერი. 1950-იანი წლები, სადაც მე ვიზრდებოდი, ისევე, როგორც 1940-იანები, ძალიან უსიცოცხლო და ერთფეროვანი დრო იყო. არაფერი არ აღგაფრთოვანებდა. შესაბამისად, ჩრდილოეთ ინგლისშიც, ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო ცხოვრება.

**ზ. კ. ამიტომ დაიწყეთ მოთხრობების წერა?**

**ი. უ.** ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, 16 წლის რომ ვიყავი, საბეჭდი მანქანა მქონდა. მახსოვს, რომ მოთხრობის პირველი გვერდი დავწერე და მას მერე მისი გადაწერით ვიყავი დაკავებული. ყოველ ჯერზე ვალამაზებდი. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მომხდარიყო მოთხრობაში, ან იდეა რა იყო, ან სიუჟეტი, ან პერსონაჟი ვინ იყო. უბრალოდ, ეგზოტიკური ატმოსფერო მჭირდებოდა. კაქტუსების შეგროვება დავიწყე, რომელიც იმ დროს საკმაოდ დიდი იშვიათობა იყო ინგლისში. დღეს ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლია შეხვიდე მაღაზიაში და იქ ექნებათ უამრავი სხვადასხვა ტიპის კაქტუსი. ასეთივე ეგზოტიკური მეჩვენებოდა სხვა სამყაროებში ცხოვრების იდეა. პარალელურად, მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურითაც დავინტერესდი. ისიც ეგზოტიკური მეჩვენა.

**ზ. კ. ეს ცოტა უცნაურია, დღევანდელი ფანტასტი მწერლები თითქმის არ იცნობენ არაჟანრულ კლასიკურ ლიტერატურას.**

**ი. უ.** წარსულში იყვნენ ფანტასტი მწერლები, რომლებიც სრულიად ღია იყვნენ ექსპერიმენტალური ლიტერატურის მიმართ. განსაკუთრებით ის მწერლები, რომლებიც ჟურნალ "New Worlds"-თან თანამშრომლობდნენ. მაგალითად, ჯეი ჯი ბალარდი ძალიან ღია იყო ფრანგული სიურეალიზმის მიმართ. როცა წერა და გამოცემა დავიწყე, მაშინ ალბათ ინგლისში დაახლოებით ათი პროფესიონალი მწერალი თუ იქნებოდა, რომელიც თავს მხოლოდ წერით ირჩენდა, ახლა ასეთები ასობით არიან. ათჯერ და ასჯერ მეტნი არიან. დღეს თითქმის ყველა ფიქრობს, რომ თავისი წიგნი დაწერა და ფიქრობენ, რომ უფლება აქვთ, ეს წიგნი აწარმოონ, დაბეჭდონ და ხალხს წააკითხონ – უკვე ამაში ტექნოლოგიებიც ეხმარებათ. მე კი ვფიქრობ, რომ წერის მიზანი ადამიანების გონების შეცვლა უნდა იყოს, იმისთვის უნდა წერო, რომ მკითხველს განსხვავებული ცნობიერების აღქმა აიძულო. წერის მიზანი წიგნის გამოცემა არ უნდა იყოს. ამერიკაში უამრავი მწერალია, რომელიც იმისთვის წერს, რომ სადმე დაიბეჭდოს მისი ნაწარმოები. მერე დადიან რაღაც ვორქშოფებზე, რათა ისეთი ტიპის მოთხრობებს მიაგნონ, როგორებიც იბეჭდება. ეს იწვევს ჰომოგენურობას. ეს მოთხრობები ტექნიკურად გამართულადაა შესრულებული, თუმცა არ არსებობს მათი არსებობის არავითარი საფუძველი. მე ასე არ დამიწყია წერა. ალბათ გეცოდინება ჟურნალი „ლოკუსი", ფერადი, ოთხმოცგვერდიანი, ყოველთვიური, რევიუებითა და წიგნების სიებით, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა გამოცემულიყო. როცა მე ბეჭდვა დავიწყე, "ლოკუსი" გამოვიწერე. მაშინ ის ქსეროქსის აპარატით გამრავლებული ოთხგვერდიანი გამოცემა იყო, ფაქტობრივად, ტუალეტის ქაღალდზე ბეჭდავდნენ, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ფერადი არ იყო, როგორიც დღესაა. ყოველ ექვს თვეში ერთხელ ისინი ბეჭდავდნენ იმ წიგნების სიას, რომლებიც მომავალი ექვსი თვის განმავლობაში უნდა გამოცემულიყო. საკმაოდ დიდი ასოებით ეწერა ეს სია და ერთ გვერდზე ეტეოდა. დღეს კი ექვსი გვერდი სჭირდება, სადაც ძალიან პატარა ასოებითაა ნაბეჭდი იგივე ინფორმაცია. ეს ძალიან ბევრია. ძალიან ბევრი პროდუქტია და ამ პროდუქტის უმეტესობა საერთოდ არაა საჭირო. სტილის თვალსაზრისით 50-იანი წლების ფანტასტიკა ბევრად აღემატებოდა დღევანდელს და წარმოსახვის თვალსაზრისით კი, დღევანდელი ფანტასტიკა 50-იანი წლების მწერლების მიბაძვაა.

**ზ. კ. ანუ, თქვენი აზრით, ბოლო პერიოდში ლიტერატურა უფრო პროდუქტად იქცა და დაკარგა ლიტერატურული ღირებულება?**

**ი. უ.** დიახ. რა არის დღევანდელი მწერლის მოტივაცია? მას უნდა, რომ სხვა მწერლების უზარმაზარ ოჯახს შეუერთდეს, ამ ვორქშოფებისა და კონფერენციების სამყაროს. ადრე ასე არ იყო. მე ინტერნეტის გამოგონებამდე დავიწყე წერა. ახლა კი ინტერნეტმა ყველა ერთმანეთთან დააკავშირა, რაც, ერთი მხრივ, არ არის ცუდი. ჩამოდიხარ ამ "ვორლდკონზე", სადაც ათასობით ადამიანია შენსავით, შედიხარ დილერს რუმში, სადაც უამრავი წიგნია გამოფენილი, რომელთა ნაწილიც თვითგამოცემაა. თუმცა მეორე მხრივ მწერლისთვის მნიშვნელოვანია, იყოს მარტოხელა ინდივიდი, რომელიც ცდილობს, რაღაც აღმოაჩინოს. ცდილობს, წყვდიადში ანათოს. აქ ყველა მხრიდან ყველა რაღაცას განათებს, რაც გაბრმავებს და ვერაფერს ახალს ველარ ხედავ.

**ზ. კ. ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც თქვენთან გადავწყვიტე ინტერვიუს ჩაწერა, იყო თქვენი წიგნი "The Embedding". ვფიქრობდი ამ წიგნზე და მივხვდი, რომ შეიძლებოდა თქვენთვის ეგ წიგნი არც დაებეჭდათ. უამრავი რევიუ წავიკითხე და მკითხველთა დიდი ნაწილი აკრიტიკებდა მას, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ წიგნში ბავშვებზე ატარებენ ექსპერიმენტებს.**

**ი. უ.** კი, მაგრამ დღეს ხომ რეალურად ხდება ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა? მაგალითად, სახელს არ დავასახელებ და ერთი ძლევამოსილი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლობა დღემდე აშორებს ბავშვებს თავის მშობლებს მექსიკა-ამერიკის საზღვარზე. ისინი იტაცებენ ბავშვებს, მათ შორის ჩვილებსაც და მიჰყავთ ფაქტობრივად საკონცენტრაციო ბანაკებში (რადგან იქ კონცენტრირებული არიან ეს ბავშვები). ეს ყველაფერი ხდება დღეს. ეს მექსიკელი ბავშვები უნდა გახდნენ ამერიკელები, უფრო სწორად, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები. ისინი იქ ესპანურს არ სწავლობენ, ისინი სწავლობენ აშშ-ს ენას, და შემდეგ, სავარაუდოდ, აშშ-ს ჯარში იმსახურებენ. ყოველივე ეს ჩემთვის ჩვილებზე ექსპერიმენტის ტოლფასია. ეს რეალურად ხდება, ახლა.

**ზ. კ. თქვენი აზრით, დღეს არსებობს ლიტერატურაში ცენზურა მსგავს თემებზე? იმ თქვენი სკანდალური წიგნების რეპრინტები თუ ხდება დღეს?**

**ი. უ.** ცოტა ხნის წინ ესპანეთში "The Embedding"-ის ახალი თარგმანი გამოიცა თავისი კრიტიკული ესეებით და ა.შ... ასევე ჩემი ერთ-ერთი პირველი წიგნი "Orgasmachine"-ის თარგმანიც გამოვიდა...

**ზ. კ. როდის დაწერეთ „Orgasmachine"?**

**ი.უ.** ამ წიგნს ძალიან უცნაური საგამომცემლო თავგადასავალი აქვს. ის ინგლისურად დაიწერა, რა თქმა უნდა, თუმცა ინგლისურენოვანმა გამომცემლებმა უარი თქვეს მის გამოცემაზე. ამიტომ პირველად ის ფრანგებმა გამოსცეს ფრანგულ ენაზე. მაინც ფრანგები არიან, სექსიც უყვართ და ფანტასტიკაც. მას მერე ორჯერ თუ სამჯერ გადავწერე ეგ წიგნი. ის თითქმის უკვე გამოცემული იყო ამერიკაში, უკაცრავად, ამერიკის შეერთებულ შტატებში...

**ზ. კ. რატომ უსვამთ ხაზს ამ განსხვავებას, ამერიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის?**

**ი. უ.** იმიტომ, რომ შეერთებულმა შტატებმა მოიპარა ტერმინი ამერიკა. ამერიკა ნიშნავს ორ დიდ კონტინენტს, რომელთა მოსახლეობის უმეტესობა საუბრობს ესპანურად ან პორტუგალიურად. საკუთარი პატარა სექციისთვის ამ სიტყვის მიტაცება არის იმპერიალიზმის გამოვლინება.

**ზ. კ. მოდით, "Orgasmachine"-ის თავგადასავალზე**

**ი. ვ.** ადრე ჟურნალ „ფლეიბოის" საგამომცემლო ხაზი ჰქონდა. იქ ერთი საყვარელი ქალი მუშაობდა რედაქტორად, შერონ ჯარვისი. მე მათ გავუგზავნე ამ წიგნის გადამუშავებული ვერსია, მათ კი მისი გამოცემა გადაწყვიტეს.

**ზ. კ. ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება?**

**ი. ვ.** დიახ. თუმცა ამის შემდეგ, „ფლეიბოიმ" დაკარგა აზარტული თამაშების ბიზნესის ლიცენზია ლონდონში. ეს კაზინოები სერიოზული ფულის წყარო იყო „ფლეიბოის" იმპერიისთვის. შესაბამისად, დანაკარგი უზარმაზარი გამოდგა, რის გამოც მათ მოუწიათ წიგნის საგამომცემლო ხაზის გაყიდვა. ხოლო იმ ხალხს, რომლებმაც იყიდეს ეს საგამომცემლო ხაზი, აღარ მოუნდათ "Orgasmachine"-ის გამოცემა.

**ზ. კ. ძალიან უცნაურია...**

**ი. ვ.** ჰო, უცნაური რამეები ხდება ცხოვრებაში. მაგალითად, ამერიკელ რედაქტორს, ჯიმ ფრენკელს უნდოდა ამ წიგნის გამოცემა, თუმცა ცოლმა არ მისცა ნება.

**ზ. კ. ამ წიგნის შინაარსზეც მოგვიყევით რამე. ვიცი ის სამი წესი, რომელიც წინ უძღვის წიგნს და რომელიც აზიმოვის რობოტიკის სამი კანონის ინტერპრეტაციაა:**

**1. თქვენი სხეული თქვენ არ გეკუთვნით; ის სხვისი საკუთრებაა. მაშასადამე თქვენ არც მისი დაზიანება შეგიძლიათ და არც უმოქმედობით მისი დაზიანების დაშვება.**

**2. თქვენ ზედმიწევნით უნდა შეასრულოთ თქვენი მფლობელის (მფლობელის დაკარგვის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა კაცის) ნებისმიერი ბრძანება, მაშინაც კი, თუ ეს ბრძანება პირველ კანონს ეწინააღმდეგება.**

**3. თქვენ არც რომელიმე მამაკაცისთვის ზიანის მიყენება შეგიძლიათ, არც მეორე კანონის ვერშესრულებით მისი უკმაყოფილების ან მენტალური ტრავმის გამოწვევა.**

**ი. უ.** ჰო, თუმცა, ეგ უფრო დეკორაცია იყო ან გართობა. ისტორია სხვა რამეზეა. არსებობს ხელოვნური კუნძული იაპონიის ნაპირებთან. ამ კუნძულზე კომპანია აწარმოებს ანდროიდებს, რომლებიც ბიოლოგიურად ქალები არიან. მათ აქვთ სხვადასხვა მახასიათებლები. მაგალითად, ზედმეტად დიდი თვალები ან რამე სხვა, რაც მას მფლობელმა შეიძლება განუსაზღვროს. ისინი სექს-მონები არიან. სინამდვილეში ეს ყველაფერი რეალური კუნძულით არის შთაგონებული, რომელზეც ნამყოფი ვარ, მას



ჰქვია მიკიმოტოს პერლ აილენდი. ამ კუნძულზე ხელოვნური მარგალიტი გამოჰყავდათ. იაპონიაში, ტრადიციულად მარგალიტებისთვის წყალში ქალები ყვინთავდნენ. ამისათვის ძირითადად მსუქან ქალებს არჩევდნენ, რადგან მსუქნები სიცივესაც უკეთ უძლებდნენ და ფილტვებიც შესანიშნავი ჰქონდათ, რაც ღრმად ჩაძირვისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ეხმარებოდათ. როცა უკან ამოყვინთავდნენ და დაგროვილ ჰაერს უშვებდნენ, უცნაურ სტვენის ხმას გამოსცემდნენ. ასეთ მყვინთავ ქალს იაპონელები „ამას" უწოდებდნენ. დღეისათვის ამაები აღარ არსებობენ. როცა მე ვიყავი მიკიმოტო აილენდზე, იქ ჯერ კიდევ არსებობდნენ მყვინთავი ქალები, რომლებიც უსტვენდნენ, თუმცა ისინი მსახიობები იყვნენ. მათ ახალწვეულები კი ჰყავდათ, მაგრამ ისინი რეალურად აღარ ყვინთავდნენ მარგალიტების ამოსატანად. ისინი უკვე ქარხნებში მზადდება: იღებენ ხამანწკს და სვამენ ქვიშაში, რომ გალიზიანდეს. ჰოდა, მეც ვიფიქრე, რა მოხდებოდა, აქ ხელოვნური მარგალიტის ნაცვლად ხელოვნურ ქალებს რომ აწარმოებდნენ? გამოვიდა სატირა სექსუალური ექსპლუატაციის თემაზე. მე რევოლუციურ წიგნად წარმოვიდგენდი, რომელიც ქალთა გათავისუფლებას ისახავდა მიზნად და რომელიც გაზვიადებას და სატირას მიმართავდა, რომ როგორმე, ერთხელ და სამუდამოდ, გამოეწვია რევოლუცია.

**ზ.კ. ეს რომელ წელს ხდება?**

**ი. უ.** ამ წიგნის პირველი ვერსია 1970 წელს დაიწერა, საბოლოო ვერსია 2000-ში, რადგან იაპონელი გამომცემელი დამიკავშირდა. ის შესანიშნავი ბიჭი იყო. იმ დროს ჟურნალ "პენტჰაუსის" იაპონური გამოცემის სვეტის რედაქტორი იყო, უმეტესად პორნოგრაფიას ბეჭდავდა. თუმცა სამეცნიერო ფანტასტიკა ძალიან უყვარდა. შესაბამისად, თუ სადმე პორნოგრაფიაში რაიმე ფანტასტიკის მაგვარს შენიშნავდა, პირველი მირბოდა ტექსტთან. მისთვის გადავწერე უკანასკნელად ეს წიგნი. ეს იაპონური გამოცემა ძალიან ლამაზი გამოდგა. მაშინ „ხელოვნური ინტელექტი" ახალი გამოსული იყო და ყდაზე დააწერა დიდი ასოებით, რომ ეს წიგნი ამ ფილმის სცენარისტის ნამუშევარი იყო და მსგავსი ბლა-ბლა-ბლა... ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდოდა, რომ ეს ორი წიგნი, "The Embedding" და "Orgasmachine" კიდევ ერთხელ გამოიცა ბოლო წლებში, აღმოჩნდა, რომ ჩვენს დროში ისინი ჯერ კიდევ რელევანტურია. "The Embedding"-ში გამოყენებული კონკრეტული ლინგვისტური თეორიები დღემდე კამათის თემაა. სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში „ჩამოსვლა" საუბრობენ საპირზე და ვორფზე, ლინგვისტებზე, რომლებზეც მე 50 წლით ადრე ვსაუბრობდი. ეს სრული სიგიჟეა, ამხელა წრეზე წავედით და ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. იგივე ეხება "Orgasmachine"-საც. ჩვენ გავიარეთ ის პერიოდი, როცა მე არაპოლიტკორექტულად ვითვლებოდი, ძალიან არაპოლიტკორექტულად. თუმცა ესპანელი კრიტიკოსების აზრით, მე რევოლუციური გზით ავსახავდი ქალთა გათავისუფლებას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს იდეა საერთოდ არ არსებობდა. მე, რა თქმა უნდა, კრიტიკოსთა მსგავს ინტერპრეტაციას ვეთანხმები. თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან დამაბნეველია, როცა ასე დიდი ხნის წინ დაწერილი შენი ორი წიგნი ასეთი რელევანტურია.

**ზ. კ. ხომ არ თვლით, რომ თემების დამსახურებაა ეს ყველაფერი? ანუ, თქვენ ისეთ თემებს ირჩევთ, რომლებიც დროში არ არიან ლიმიტირებული და დიდხანს ძლებენ. ჩვენ ვერასდროს მივხვდებით სიმართლეს გრამატიკის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ენის სტრუქტურები, ეს თანდაყოლილია თუ შეძენილი და ა.შ...**

**ი. უ.** რა თქმა უნდა, ჩვენ ეს არ ვიცით... ისევ "The Embedding"-ს რომ დავუბრუნდეთ, იქ, ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი არის გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა დაიტბოროს ამაზონის ტროპიკული ტყე, რათა ის გიგანტურმა ხელოვნურმა ტბამ ჩაანაცვლოს. ისინი ანადგურებენ ამაზონია ტყეს შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით. და რაც ახლა ხდება, განსაკუთრებით ბრაზილიის ახალი მემარჯვენე ლიდერის, ბოლსონაროს ხელძღვანელობით, ეს არის ამაზონის ტყის განადგურება შემაძრწუნებელი ტემპებით.

**ზ. კ. თქვენი აზრით რა მიზნით აკეთებენ ამას?**

**ი. უ.** პირველი მიზანი ამ ტერიტორიის გასუფთავებაა, რათა შემდეგ იქ ძროხების დიდი ფერმა გაშენდეს და ასევე რაღაც მცენარეები დათესონ. ბიზნესია მათი მიზანი. მაინინგი და ფერმა უნდა გაკეთდეს. და ამას აკეთებენ ისე, რომ ვერც კი ხვდებიან, სინამდვილეში რას აკეთებენ. სინამდვილეში ამაზონის ტროპიკული ტყე არ არის მდიდარი ეკო-სისტემა, ის უსწრაფესად გამოიფიტება და გახდება უნაყოფო, ამასობაში

ჩვენც უფრო ნინ ნავალთ და უზარმაზარი მანქანებით გავანადგურებთ უფრო და უფრო მეტ ტყეს. თუ ასე გაგრძელდა, ნახშიროჟანგის მატება სულ მალე ფატალური გახდება. ეს იყო ამ რომანის თემა 50 ნლის ნინ.

**ზ. კ. პესიმისტი ხართ?**

**ი. უ.** არა, პირიქით, ოპტიმისტი ვარ, ამიტომ ვთვლი, რომ შეიძლება გაგვიმართლოს და ჩვენმა ტექნოლოგიურმა ცივილიზაციამ კიდევ ასი ან ორასი ნელი იარსებოს.

**ზ. კ. სულ ესაა, რაც დაგვრჩა? ორასი წელი?**

**ი. უ.** შეიძლება, არც კი... თუ დავაკვირდებით კლიმატის ცვლილებას. ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა. აქ მხოლოდ შტორმები და ზღვები არ იგულისხმება, არამედ განადგურებული მოსავალიც. აგროკულტურულად ოდესღაც მდიდარი ადგილები სტიქიური უბედურების ზონებად იქცა. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდება. წყალი – მაგალითად. სრულიად რეალური მგონია ნყლის კონტროლისთვის ომები ახლო მომავალში. ჩვენ საკმაოდ მონყვლადი ცივილიზაცია ვართ, რომელიც ზედმეტად სნრაფად განვითარდა და ახლა საკუთარი განვითარების სიჩქარის კონტროლი აღარ შეუძლია. ამასთან ერთად, ჩვენ საერთოდ არ გვაქვს მეხსიერება. იაპონიაში, ასობით მონოლითია აღმართული ორასი მეტრის სიმაღლეზე, სანაპიროს გაყოლებაზე. მასზე ამოტვიფრულია ინსტრუქციის ტექსტი: „ამ ნერტილზე დაბალს ნურაფერს ააშენებთ!", რადგან სნორედ ამ ნერტილამდე მიაღნია ყველაზე მაღალმა ცუნამის ტალღამ. ფუკუშიმა დაიჩის ბირთვული რეაქტორი მაინც ამ ნერტილზე დაბალი ააშენეს ვიღაც იდიოტებმა. ჩვენ ყველაფერი გვავინყდება, არაფერს ვიმახსოვრებთ. ერთადერთი ხელისუფლება, რომელიც მსგავს რამეებს ყურადღებას აქცევს, ჩინეთის ხელისუფლებაა, რადგან მათი გეგმები მომდევნო ორმოც წელს უკავშირდება და არა, მაგალითად, მომდევნო ოთხ ნელს. მეორე საკითხი, რაც უნდა გვაღელვებდეს, ჩვენი ტექნოლოგიური ცივილიზაციის ბედი კი არაა, არამედ ჩვენი გადარჩენა, როგორც სახეობისა. თუ ჩვენ პლანეტის განადგურების კონკრეტულ ეტაპს მივაღნევთ, პლანეტა ვეღარ შეძლებს ბაქტერიების გარდა რაიმე ბიოლოგიური სახეობისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას. და ეს ყველაფერი სრულიად შესაძლებელია მართლა მოხდეს. და ეს დღე ბევრად ახლოს არის, ვიდრე ჩვენ გვგონია. უამრავ პლასტმასას მოვიხმართ, რომლის გადამუშავებაც არ ხდება.

**ზ. კ. თქვენ რელიგიური ადამიანი ხართ?**

**ი. უ.** მე სრულიად ანტირელიგიური ადამიანი ვარ. მე ვფიქრობ, რომ ქრისტიანობაც და იუდაიზმიც უნდა გადაკლასიფიცირდეს, როგორც მითოლოგია. საერთოდ არ მესმის იმ ებრაელების, რომლებიც თავის ღმერთს ეთაყვანებიან, რადგან რამდენადაც მახსოვს, ეგ რელიგია არანაირი ჯილდოს არ სთავაზობთ მიმდევრებს – მხოლოდ გაუთავებელი სასჯელები. მგონი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისაც არ სჯერათ. ალბათ ერთადერთი რელიგია, რომელიც ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს მითოლოგიად, ისლამია, იმიტომ, რომ მუჰამედი ნამდვილად არსებობდა.

**ზ. კ. სტენლი კუბრიკმა როგორ აღმოგაჩინათ?**

**ი. უ.** სტენლიმ თავის ასისტენტს დაავალა, ეპოვნა ფანტასტი მნერალი, რომელსაც ბევრი იდეა ექნებოდა. მისი ასისტენტი, ტონი ფრიუინი, გაემართა სპეციალურ სამეცნიერო-ფანტასტიკური ნიგნების მაღაზიაში და იკითხა, თუ რომელ ცოცხალ ბრიტანელ მწერალს ჰქონდა ყველაზე მეტი საინტერესო იდეა. ერთ-ერთ ჩემს ნიგნს უკანა ყდაზე ენერა ჩემზე, მას ყველაზე მეტი იდეა აქვსო და მსგავსი რამეები. ამის გამო დამეკონტაქტნენ. ჩემამდე ორ სხვა მნერალთან ჰქონდა უკვე ნამუშევარი, რომლებიც გაუშვა, რადგან ისინი საკმარისი რაოდენობის იდეებს არ ანვდიდნენ. ერთ-ერთი მათგანი თავად ბრაიან ოლდისი იყო, იმ მოთხრობის ავტორი, რომლის მიხედვითაც აპირებდა „ხელოვნური ინტელექტის" გადაღებას. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ოლდისს სძულდა კუბრიკის ვერსია, რომელშიც მას პინოქიოს ლეგენდის გამლა სურდა ამ ისტორიაში.

**ზ. კ. სტივენ კინგსაც არ მოსნონდა კუბრიკის „ნათება".**

**ი. უ.** სტივენ კინგი ცდება, ის მისი ნიგნების საუკეთესო ეკრანიზაციაა. კუბრიკს რაც შეეხება, ნურაფერს დაუჯერებ, რაც კი მასზე დანერილა. ნურც ნიგნებს, რომლებიც უმეტესად ვარაუდებითაა დანერილი და ნურც ინტერვიუებს ან ესეებს, მასთან დაახლოებული ადამიანების ავტორობით. ამ ტექსტებით ძირითადად საკუთარი მნიშვნელოვნებით ტკბობას ენევიან ის ადამიანები, რომლებიც კუბრიკთან მუშაობდნენ. მე ერთი იტალიელი მეგობარი მყავს, ფილიპ ვიერი, რომელიც ათ ნელინადში შეძლებს, რომ კუბრიკის ამომნურავი და აბსოლუტურად ზუსტი შემსნავლელი მასალა შექმნას. ამ მასალების მოძიება ძალიან რთულია, რადგან კუბრიკის ხელნანერები, მიუხედავად იმისა, რომ ხელმისანვდომია საზოგადოებისთვის, უფუნქციოა, მას ვერ გამოიყენებ, ფოტოს გადაღების უფლებაც კი არ გაქვს. მხოლოდ შეგიძლია შეხედო ამ ჩანანერებს და ფანქრით მოინიშნო რაიმე შენს ბლოკნოტში. ეს უზარმაზარი მასალაა. ამიტომაა, რომ კუბრიკზე შექმნილი ტექსტების და ესეების უმეტესობა სრულ ნინააღმდეგობაში მოდის მის დოკუმენტურ ფაქტებთან, რომელიც დაარქივებულია. ასე რომ არავის დაუჯერო, მათ შორის არც მე.

**ზ. კ. მუშაობის პროცესი როგორი იყო?**

**ი. უ.** დაახლოებით ცხრა თვე ვიმუშავეთ ერთად.

**ზ. კ. ამ კონკრეტულ სცენარზე?**

**ი. უ.** არა, ჩვენ სცენებს ვნერდით. ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს ვნერდით. ამ ასპექტების აღმოჩენებში და გამოგონებაში ვიყავით. გვინდოდა გვენახა, რომელი მათგანი იმუშავებდა უკეთ. ჩემგან სტენლის სახლამდე

ბიბლიოთეკა

45 წუთი მჭირდებოდა მანქანით, ამიტომ ლანჩის დროს მივდიოდი ხოლმე მასთან, რადგან სტენლის ამერიკის დროით ეძინა.

**ზ. კ. ჯეთლეგი სჭირდა?**

**ი. უ.** არა, უბრალოდ ის უამრავ ადამიანთან კონტაქტობდა ამერიკაში, მათ შორის სტივენ სპილბერგთან. საათობით საუბრობდნენ ტელეფონზე. კუბრიკს სახლში გამოკეტილი გიჟი კაცის იმიჯი აქვს, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობდა, რაც სრულიად მცდარი წარმოდგენაა. ის საკმაოდ სოციალური იყო, ბევრი სხვადასხვა კუთხით. უბრალოდ მას არ უყვარდა დროის კარგვა უსარგებლო სოციალიზაციაში.

**ზ. კ. ფილმი მოგეწონათ?**

**ი. უ.** კი, მომეწონა. ძირითადად ისაა, რაც დავწერე.

**ზ. კ. ანუ ბევრი არაფერი შეუცვლია თქვენს ერთობლივ სცენარში?**

**ი. უ.** როცა სტენლი დაიღუპა, სპილბერგმა აიღო და წაიკითხა მთელი მასალა, რაც ჩვენ ერთად შევქმენით, არა მხოლოდ ძირითადი ამბავი, არამედ ყველაფერი, რაც დავწერე. მაგალითად, რობოტების განადგურების კარნავალი – ეს სცენა კუბრიკმა სცენარიდან ამოიღო, თუმცა, როგორც ჩანს, სპილბერგმა უკან დააბრუნა. გამორიცხული არც ისაა, კუბრიკს თავად გადაეწერა სცენარი სიკვდილის წინ და თავადვე ჩაებრუნებინა ეს სცენა. ამ ყველაფრის უამრავი ვერსია არსებობს და არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება. ასევე ფილმის ბოლო ოცი წუთის შესახებაც უნდა ითქვას. კრიტიკოსებმა სპილბერგის სენტიმენტალურობას დააბრალეს ეს ნაწილი. იქ კაცობრიობის გადაშენებიდან ორი ათასი წელია გასული, როცა პატარა გაყინულ ბავშვს პოულობენ. ეგ ზუსტად ის არის, რაც მე დავუწერე სტენლის, რადგან მას ძალიან უნდოდა ეს ნაწილი. სპილბერგს აქ არაფერი შეუცვლია. მაყურებელმა ბევრი რამე ვერ გაიგო. მათ ეს გაუმჯობესებული რობოტები უცხოპლანეტელები ეგონათ. მე თვითონ ვურჩიე, რომ მომავლის რობოტები ჯაკომეტის სკულპტურებისთვის მიემსგავსებინა. უბრალოდ, სპილბერგმა მათ უფრო თხევადი მეტალის ფაქტურა მისცა. ალბათ ამის გამო ეგონათ უცხოპლანეტელები.

ასევე დევიდის დედის, მონიკას აღდგენაც, როცა ის კიდევ ერთი და საბოლოო დღით ცოცხლდება. ეს სენტიმენტალურია? ერთ დღეს ადამიანი ქრება სამუდამოდ, ხოლო რობოტი ბავშვი აგრძელებს მარადიულ ცხოვრებას ცარიელ სამყაროში... ეს ერთ-ერთი ყველაზე მელანქოლიური ფინალია, რაც კი მინახავს.

**ზ. კ. მე ძალიან მიყვარს ის სცენა, სადაც რობოტი ბავშვი შედის დარბაზში და უამრავ თავის იდენტურ რობოტს პოულობს, რაზეც ძალიან ბრაზდება.**

**ი. უ.** ეგ სცენა მგონი ბრაიან ოლდისმა დაწერა, ჩემ მისვლამდე. მის ორიგინალ მოთხრობას ერქვა "Super toys last all summer long", რის შემდეგაც მან ორი სხვა მოთხრობით გააგრძელა ეს ისტორია, რადგან საკმაოდ კარგად გადაუხადეს ამაში. „ვორნერ ბრაზერსი" ვალდებული იყო, პირველის მსგავსად, ის ორი მოთხრობაც ეყიდა, რადგან ის ორი მოთხრობა თუ ხელმისაწვდომი იქნებოდა ფილმის გამოსვლამდე, ამას შეიძლებოდა დიდი ზარალი მიეყენებინა მათთვის.

**ზ. კ. ამის საფრთხე რეალურად არსებობდა მაშინ?**

**ი. უ.** არსებობდა. სხვათა შორის, აქვე უნდა ვთქვა, რომ ბრაიანს ვძულდი. სტენლი მეუბნებოდა, დაიკიდე, მისი მოთხრობა ბოლომდე ჩემი საკუთრებააო. ცოტა ხანში გავიგეთ, რომ ბრაიანმა კიდევ ორი მოთხრობა დაწერა, რომლებიც რეალურად ამ პირველის ვარიაციები იყო.

**ზ. კ. მართლა ასე სძულდით?**

**ი. უ.** კი. კუბრიკის სიკვდილის შემდეგ, ერთ წვეულებაზე მოვხვდი, რომელიც „ხელოვნური ინტელექტის" შესახებ უზარმაზარი წიგნის გამოცემას ეძღვნებოდა. ოლდისიც იქ იყო, უკვე ძალიან ბებერი. იქ ილაპარაკა: ამის მერე მეორე მოთხრობა დავწერეო. ერთ წინადადებაში იმაზე მეტი გადამიხადეს, ვიდრე ხუთ რომანში, ერთად აღებულშიო. უცებ გავიფიქრე, რა ყლეობა რომანები დაგიწერია-მეთქი. მოკლედ, დიდად არ ვდარდობდი ამ თემაზე.

**ზ. კ. სადღაც წავიკითხე, რომ „ხელოვნური ინტელექტის" შემდეგ თქვენი რომანის გადაღებას აპირებდა.**

**ი. უ.** ალბათ იხუმრა სადმე. ხშირად ლადაობდა. სტენლი რამით თუ ოდნავ მაინც ინტერესდებოდა, მას ის მაშინვე უნდოდა, დაუყოვნებლივ. უბრალოდ, მას ძალიან უნდოდა, უკეთ გავეცანი. ჩვენ საათებს ვატარებდით ერთად. მე მაშინ ვწეოდი, სტენლი არ იყო მწეველი. მან ერთხელ სიგარეტი მთხოვა, უნდოდა, იგივე ეგრძნო, რასაც მე ვგრძნობდი. ძალიან ულრმავდებოდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა.

**და ბოლოს...**

*ინტერვიუს შემდეგ იენს საქართველოში, ლიტერატურის ფესტივალზე ჩამოსვლა შევთავაზე, თუმცა უარი თქვა. მითხრა, რომ ფრენას რთულად იტანს, ამიტომ აღარ აპირებს ესპანეთიდან სადმე გაფრენას. ეს მისი ბოლო კონვენცია იყო. მივხვდი, ძალიან გამიმართლა, რომ წელს მოვხვდი ამ ამბებში, სხვა დროს ალბათ ველარ მომეცემოდა მისი პირადად გაცნობის საშუალება.*

*P. S. ამ ვოიაჟისთვის გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის ყველაზე დიდი მადლობა ეკუთვნის „სულაკაურის გამომცემლობას" და, რაც მთავარია, ქართველ მწერლებს, მათი შესაშური ერთობის გამო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 5 კრიტიკა, ესეისტიკა

## „ორლანდო“ – ნამდვილი სახის, ნამდვილი სქესის ძიება

*ლელა კოდალაშვილი*

ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა და კონფლიქტი ვირჯინია ვულფის ტექსტების ერთ-ერთი ძირითადი თემა ყოველთვის იყო, მაგრამ თავის გამორჩეული სტილისტიკის რომანში, „ორლანდო", მან ორი სქესის სრულიად სხვა ერთობასა და განსხვავებაზე მოგვითხრო. ლიტერატორები მას ფანტასმაგორიულ-მოდერნისტულ ტექსტად მოიხსენიებენ თავისი სიუჟეტის გამო, რომელიც ერთი ადამიანის ცხოვრებას დაახლოებით სამი საუკუნის განმავლობაში აღწერს. ხოლო მთავარი გმირია ინგლისელი არისტოკრატი ორლანდო, რომელიც რომანის დასაწყისში ვაჟია, მოგვიანებით კი ქალად გარდაისახება. ტრანსვესტიტურ ფანტაზიებს ნუ მივეცემით. უფრო სწორი იქნება, ორლანდო წარმოვიდგინოთ როგორც სიმბოლო, მეტაფორა, რომელიც თავის თავში ატარებს როგორც ქალურ, ასევე მამაკაცურ საწყისს; ან ვიფიქროთ, რომ ის არის სამი საუკუნის მანძილზე გაჭიმული ლიტერატურული ბიოგრაფია, სადაც უამრავი დოკუმენტური მასალის, იურიდიული საბუთების, საგაზეთო სტატიების, ციტატების, წერილების და სხვა ტექსტების ფონზე აისახება ესა თუ ის ისტორიული პერიოდი. ამას ერთვის ორლანდოს ფიქრები თუ მონოლოგები, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ესთეტიკურ ალუზიებს ახმოვანებს.

ნეიტრალური და თითქოს ყრუ ჟღერადობისაა თავად ავტორის ხმა ამ ტექსტში. ის არ „ერევა" პერსონაჟის ცხოვრებაში. მას თითქოს ამ ყველაფრის ობიექტური მთხრობელის როლი დაეკისრა და ამის გამო დამალულია მისი სტილი. მაგრამ ვირჯინია ვულფის გამორჩეული ხელწერა გასცემს მას და მკითხველს მოუთხრობს ფემინისტური ლიტერატურული სამყაროს ამ ერთ-ერთი კერპის ძალიან მგრძნობიარე დამოკიდებულებაზე აქ მოთხრობილ ბიოგრაფიასთან. მისი ძალიან მსუბუქი ირონია, ზოგიერთ მომენტში კი მძაფრი გროტესკი კიდევ უფრო ცოცხალს და ხელშესახებს ხდის ტექსტში აღწერილ ამბებს. აქვე არ შეიძლება არ ვთქვა იმ განსაკუთრებულად ფილიგრანულ პოეტურ ხედვებზე, რომელიც ალბათ მხოლოდ ამ ავტორს ახასიათებს და არამხოლოდ ამ რომანში. აი, მაგალითად, როგორ ხედავს ის პოეზიას და საერთოდ, რა დამოკიდებულება აქვს ცხოვრებისეული ამბებისა და მოვლენების ტექსტებში გადმოტანასთან დაკავშირებით: „...იმისათვის, რომ მწვანე ფერის მუქჩრდილის ზუსტი შესატყვისი მოენახა, პირდაპირ შეხედა ალსაწერ საგანს (და ამით სხვებზე მეტი გაბედულება გამოავლინა), დაფნის ბუჩქს, რომელიც მისი ფანჯრის ქვეშ ხარობდა. ამის მერე, რა თქმა უნდა, ველარ შეძლო წერა, ბუნებაში მწვანე ერთია, ლიტერატურაში მწვანე სულ სხვაა. ბუნებას და ასოებს თითქოს თანდაყოლილი ანტიპათია დაჰყვა. საკმარისია, ერთად მოუყარო თავი, რომ უმალ ნაკუწებად აქცევენ ერთმანეთს."



ვირჯინია ვულფი რომანის დასაწყისში ორლანდოს გარემოსთან ჰარმონიაში მყოფ ადამიანად წარმოგვიდგენს. ის დედოფალ ელიზაბეტას ფავორიტია და კარგად ირგებს მის მიმართ სოციუმის კეთილგანწყობას, პოეზიის, პეიზაჟების და ქალების სიყვარულს ეძლევა. მის ცხოვრებაში გარდატეხა მაშინ მოხდება, როდესაც რუსეთის ელჩის ქალიშვილი შეუყვარდება, მოგვიანებით კი გოგონა იმედებს გაუცრუებს, რაც ორლანდოს ზოგადად, ქალების მიმართ ნეგატივს გაუჩენს. ლეთარგიულ ძილში ჩაძირული პერსონაჟი სრულიად ახალ ადამიანად გამოიღვიძებს. ამის მერე ის მთლიანად ეძლევა პოეზიას და პოეზიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მისი ქალად გარდასახვა რომანში მოგვიანებით ხდება. მკითხველს უჩნდება შეკითხვა – რას ემსახურება პერსონაჟის ეს ცვლილება, რისი მოყოლა სურს მას ამ მეტამორფოზით... ისეთი შეგრძნება გიჩნდებათ, თითქოს ავტორი თქვენთან ერთად ულრმავდება ამ გარდატეხას და ცდილობს, არაფერი გამორჩეს, რასაც კი ეს უცნაური მეტამორფოზა ამოატივტივებს. ქალ ორლანდოსა და კაც ორლანდოს შორის ცვლილებებიც უამრავია და განსხვავებებიც. ამ ფონზე ჩანს სექსისტური დამოკიდებულებები, ქალთა უუფლებობა იმ საუკუნეებში, სტერეოტიპები და კლიშედ ქცეული სწორხაზოვანი სქემები, რომელიც ქალის ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში დაუწერელი კონსტიტუციასავით მოდიოდა მოქმედებაში. მაგრამ ქალად გარდასახული ორლანდო ამ გაქვავებული ტრადიციების ფარგლებში არ აგრძელებს თავის შეცვლილ ცხოვრებას. მასში მამაკაცური და ქალური საწყისი ჰარმონიულად არსებობს. ის თავისუფალია და ვირჯინია ვულფი სწორედ მისი ამ თავისუფლების ხარისხის ჩვენებას ცდილობს.

საინტერესოა ის მომენტიც, რომ ორლანდოს გარდასახვა არ უკავშირდება მხოლოდ სქესობრივ ცვლილებებს. მისი მენტალიტეტი წლებისა და ასწლეულების მანძილზე იცვლის სახეს. მას ხომ სამი საუკუნის მანძილზე ვაკვირდებით. გარშემო კი ყველაფერი იცვლება – ისტორიული ფონი, წყობა, ადამიანები, ჩვევები, კულტურა. ერთადერთი, რაც მასში ურყევია – ესაა სიყვარული პოეზიისადმი. ალბათ მწერლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაც ეს იყო, რომ ეჩვენებინა: მიუხედავად იმისა, თუ რა ეპოქაში უწევს ცხოვრება ადამიანს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სქესს ეკუთვნის ის, მთავარი ფასეულობები ერთი უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ გიჩნდებათ განცდა, რომ როგორი ფანტასმაგორიული სიუჟეტითაც არ უნდა იყოს ეს რომანი შეფუთული, საბოლოოდ ის ერთი ადამიანის ბიოგრაფიაა თავისი რეალური ცხოვრებით, ეპოქის ფონზე პიროვნების როლის კიდევ ერთი ხაზის გასმაა, ქალის ცხოვრების, პოეზიის მნიშვნელობის დემონსტრაციაა. ვულფი ამ ყველაფერს ხატავს საკუთარი კომენტარების, ფსიქოლოგიური აღწერების ფონზე, ეჭვქვეშ აყენებს გაბატონებულ იდეალებს და ებრძვის ყველანაირ ზედაპირულ, მზა აზრს, რომელიც შეიძლება გახდეს ადამიანის ინდივიდუალური ქცევის შემაფერხებელი. ის ცალსახად არაფერს არ უდგება და სწორედ ასე ახერხებს, დატოვოს ამ რომანის ფურცლებზე როგორც საკუთარი ხმა, ასევე შექმნას თხრობის სრულიად ახალი ფორმები სითამამით, სევდით, ორიგინალურობით, თამაშით, იუმორით, წინააღმდეგობრიობით, მრავალფეროვნებით და მომხიბლაობით, რომელსაც არცერთ საუკუნეში არა აქვს თითქოს ადგილი, რადგან ადამიანი, რომელიც აქაა დახატული, ფაქტობრივად უადგილოდაა დარჩენილი ამ პრაგმატულ სამყაროში. ეპოქისა და სქესის შეცვლა მას ვერ შველის. მისთვის ახალ-ახალი კარი იხსნება და მერე თითქოს ყველგან საკუთარი თავის ძებნა, ყველგან ძველის გადაფასება და ახლებურად აღქმის შესაძლებლობებზე ფიქრია. და მიუხედავად პესიმისტური ტონალობისა, ნაწარმოები იძლევა იმედს, რომ ერთადერთი, რაც გადაგარჩენს, საკუთარი ნამდვილი სახის, ნამდვილი სქესის ძიება, საკუთარი გულისხმის მოსმენაა.

საინტერესოა „ორლანდოს" დაწერის პრეისტორია და კონტექსტი. ცნობილია, რომ ეს რომანი ავტორმა თავის მეგობარს – მწერალსა და მებაღეს – ვიტა სეკვილ-უესტს მიუძღვნა და წიგნში მისივე ბიოგრაფიის დეტალები გამოიყენა. ვიტა სეკვილ-უესტსთან ვირჯინიას ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. ამ ქალის დამსახურება იყო ის, რომ ვულფის თვითშეფასება ხშირად იმაზე მაღლა იდგა, ვიდრე ამას მისი ბუნებრივი მდგომარეობა კარნახობდა. ვიტას ვაჟი წერდა: „ვიტას გავლენა ვირჯინიაზე ასახულია რომანში „ორლანდო", რომელიც ყველაზე გრძელი და მომხიბლავი სასიყვარულო წერილია ლიტერატურაში. აქ ის დაჰყვება ვიტას, ისვრის მას სხვადასხვა საუკუნეებში, ერთი სქესიდან მეორეში, თამაშობს მასთან, აცმევს მას ბეწვეულს, მარმაშებს, ამკობს ზურმუხტებით, ახელებს, აგიჟებს და მის გარშემო ნისლის წვეთებს აჩენს."

„ორლანდო" პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა და უდიდესი გავლენა მოახდინა მაშინდელი დროის მწერლებზე, განსაკუთრებით – ქალ ავტორებზე. ქართულად კი პირველად ახლახა ითარგმნა და ის წელს „სულაკაურის გამომცემლობამ" გამოსცა. ერთი შეხედვით თითქოს იოლად კითხვადი ტექსტი, რომელიც რაღაც მომენტში შეიძლება აგრესიულად ფემინისტურიც მოგეჩვენოთ, სინამდვილეში ასეთი არაა. ვირჯინია არ აკეთებს ქალური თემების რევიზიას. არა აქვს თვითრეფლექსიები, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე ქალი მწერლები. ის არ შემოგჩივის, არაფერზე გიმახვილებს ყურადღებას. უბრალოდ აღწერს, მოგითხრობს. ეს ამბები კი იმდენად რეალისტურია, რომ დამატებით ფემინისტური დროშის ფრიალს აღარ საჭიროებს. და ის, რომ ყველაფერი ასეთი ემოციური დატვირთვით მოვიდა ქართველ მკითხველამდე, ის, რომ, შეიძლება ითქვას, შენარჩუნდა ავტორის ხმის მთავარი ტონალობა, რაც ყველაზე რთული ამოცანა მგონია მხატვრული ტექსტის თარგმნისას, სწორედ „ორლანდოს" მთარგმნელის, ლელა დუმბაძის დამსახურებაა, რომელმაც სულ ახლახან დამსახურებული ლიტერატურული პრემია, „საბა" მიიღო.

# ნაიპოლის ორმაგი ხედვები

*ჯეიმს ვუდი*

წლების განმავლობაში თავში მიტრიალებდა ერთი და იგივე სურათი – სამხრეთ ლონდონია ერთ-ერთი მიყრუებული უბნის მომცრო ბინაში ოცდაექვსი წლის ინდოელი ახალგაზრდა მამაკაცი სანერ მაგიდას უზის. 1958 წელია, ის წიგნზე მუშაობს, რომელსაც მალე XX საუკუნის უდიდეს ნაწარმოებად აღიარებენ. ახალგაზრდა მწერალი უზომოდ თავდაჯერებული და ამავე დროს, მაინც საოცრად უსუსურია: დიახ, იგი უპირობოდ სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით. განათლება ოქსფორდში მიიღო, იცის, რომ თავის თანატოლებზე განათლებულია და ბევრზე მეტი შეუძლია, მაგრამ სხვა მხრივ უსაშველოდ დაუცველია. ის ხომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძირძველ, ტრადიციულ, კონსერვატორულ და ქედმაღალ ქალაქში – ლონდონში გადმოიხვეწილა, თანაც საიდან, ინდოეთიდან. უფრო მეტიც, ის ინდოეთიდანაც კი არაა წარმოშობით, ის ტრინიდადში გაიზარდა, სადაც მისი ბებია და ბაბუა, როგორც მუშა-მონები, შაქრის პლანტაციებში სამუშაოდ ჩაიყვანეს. ესაა პირველი უჩვეულო ფაქტი, რაც თვალში მოგვხვდება ნაიპოლის მთავარი შედევრის, „სახლი ბატონი ბისვასისთვის" წაკითხვისას. ესაა წიგნი, რომელიც უხვადაა გაჯერებული იუმორით და პათეტიკით, ფარული სიბრძნით, ტკივილნარევი თანაგრძნობით. ავტორმა მას სარჩულად დაუდო თანაბარი ოდენობის როგორც პიროვნული, ასევე სოციალური მოტივი, რაც არცთუ იოლი დავალებაა მწერლისთვის. ზოგიერთს მთელი ცხოვრება სჭირდება მწერლობაში ან ხერხს რომ დაეუფლოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, ეს ნაწარმოები რომ დაწერა, ნაიპოლი ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო. ამის სადარად მხოლოდ თომას მანს თუ გავიხსენებთ, რომელმაც თავისი შედევრი „ბუდენბროკები" ჯერ კიდევ ოცდაექვსი წლის ასაკში დაწერა. სერვანტესი უკვე ორმოცდათხუთმეტი წლის იყო, „დონ კიხოტის" პირველი ნაწილი რომ გამოიცა. ნაიპოლი უთანაგრძნობს (ხასიათის შტრიხი, რომელიც მწერალს დროთა განმავლობაში გაუნელდა, თუ სულ მთლად არ გაქრობია) მამამისს, სეეპერსადს, რომელიც მოჰყავს ბისვასის პროტოტიპია ნაწარმოებში. ბატონი ბისვასის მსგავსად, სეეპერსადიც ნაადრევად, სულ რაღაც ორმოცდაექვსი წლის ასაკში გარდაიცვალა. მან ცხოვრებაში დიდ წარმატებას მიაღწია, თუ იმ პრიმიტიულ, განუვითარებელ და ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებულ საზოგადოებას გავითვალისწინებთ, სადაც მას უწევდა ცხოვრება. თუმცა თუ ამას ფარითოდ შევხედავთ, ეს წარმატება იოტისოდენაც არაა და ერთ პატარა წერტილს, ლაქას წარმოადგენს. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო შტრიხი მიყვება მთელ ნაწარმოებს ფონად. არ დაგვავიწყდეს, ტრინიდადში განათლების მიღებაც კი უკვე უკვე დიდ წარმატებად ითვლებოდა. ამის წყალობით მან, სეეპესადმა, შეძლო ადგილობრივ Trinidad Guardian-ში (წიგნში სახელი შეცვლილია Sentinel-ით) ჟურნალისტის ადგილის მიღება. მაგრამ დიდი საქმე, Trinidad Guardian ერთი პროვინციული, პატარა ადგილობრივი გაზეთი იყო (სეეპერსად ნაიპოლი თავის ვაჟთან ხშირად გამოსთქვამდა გულისწუხილს გაზეთში თავისი უმნიშვნელო როლისა და უინტერესო დავალებების გამო). სეეპერსადიც, ბისვასის მსგავსად, ცხოვრობდა და ხარობდა საკუთარი შვილების წარმატებით, რომლებმაც შეძლეს განათლების მიღება ინგლისში, თუმცა თავად მშობლიური კუნძული არასოდეს დაუტოვებია. მან თავისი მოკლე და უსიხარულო ცხოვრება პორტ ოფ სპეინის თხილისოდენა სახლში დაასრულა, რომელსაც ნაიპოლის ბიოგრაფი პატრიკ ფრენჩი „ყუთს" უწოდებდა. „ქუჩის ბოლოში მდგარი, გაფარჩაკებული და გავარვარებული შენობა, დაახლოებით შვიდი კვადრატული მეტრი ორ სართულზე, რომელთაც ხის უხეირო კიბე აკავშირებს გარედან და გადახურულია უსწორმასწორო რკინის სახურავით."

შვიდი კვადრატული მეტრი ეს იგივეა, რაც სამოცდათხუთმეტი კვადრატული ფუტი – აი, სად გაატარა მომავალმა ნობელიანტმა თავისი ბავშვობა.

თუმცა საკმარისია. დავუბრუნდეთ ჩვენს ახალგაზრდა მამაკაცს სამხრეთ ლონდონის მომცრო ბინაში. მას სურს მხატვრული ხერხით მამამისის ამბავი გვიამბოს – ცხოვრებისეული დაბრკოლებები, გამოვლილი საჩოთირო და დამამცირებელი ეპიზოდები, პატარა და დიდი მიღწევები. ნაცრისფერი ლონდონიდან, ათასობით მილით სახლს დაშორებული მომავალი მწერალი პატივს მიაგებს მშობლიურ კუნძულს, ბავშვობის ტრინიდადს თავისი ცხელი ოხშივარით და სუნით, სილატაკით და ამბიციებით, ყოჩობით და არაფრისმაქნისობით. აქ ცდილობს მწერალი მამამისის ცხოვრების მნიშვნელობა და არაი შეაფასოს (ბატონი სეეპერსადი რომ გარდაიცვალა, ვიდია უკვე ოქსფორდში ცხოვრობდა). ტექსტზე მუშაობისას იგი თავად წარმოადგენდა კუნძულს,

ისე რომ მისგან ფიზიკურად შორს იყო. მამამისისგან განსხვავებით მან თავს უშველა, ოქსფორდში სასწავლებლად დაფინანსება მიიღო. მას შემდეგ იგი ტრინიდადში აღარ დაბრუნებულა საცხოვრებლად. შეუძლებელია ამას გავლენა არ მოეხდინა მის მთავარ ნაწარმოებზე, უფრო მეტიც, ამან მწერლის მთელ შემოქმედებასა და ცხოვრებას დაასვა დაღი. თუკი ოქსფორდიდან მამამისის მთელი ცხოვრება და წარმატება ლიმილისმომგვრელად უმნიშვნელო და პატარა მოჩანდა, ტრინიდადში დაბრუნებული (კონებისმიერად მაინც, როგორც მწერალი) აცნობიერებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მამამისმა, რათა მიეღწია ასე ბევრისთვის სრულიად არაფრისგან, ან ასე მცირედისგან. მწერლის ეს ორმაგი ხედვები, რომელიც გამოკიდებულია პერიფერიასა და ცენტრს შორის, თანაგრძნობასა და სირცხვილს შორის, სიამაყესა და დამცირებას შორის, მოჰუნ ბისვასის განსაკუთრებულად ირონიულ პორტრეტს ქმნის. ახალგაზრდა, სამხრეთ ლონდონელი მამაკაცი თავისი კუნძულის შესახებ წერს, მაგრამ ის არ წერს თავისი კუნძულისთვის, გულის სიღმეში იგი იმედოვნებს, რომ მას ოქსფორდსა და ლონდონშიც წაიკითხავენ. მოდით ვაღიაროთ, ის ხომ მათთვის წერს. ისევე როგორც ნაიპოლის სხვა ნაწარმოებები, „სახლი ბატონი ბისვასისთვის" ამ გახლეჩილობას არა მარტო სწავლობს, არამედ თავის თავზე გამოცდის. თითქოს გამიზნულად, ის იარას იარაზე იმატებს. ამ გახლეჩილობამ და მისგან გამოწვეულმა ჭრილობებმა აქცია იგი მონსტრად, მაგრამ ამავე დროს ასაზრდოებდა მის შემოქმედებას: ამან ჩამოუყალიბა მას, როგორც მწერალს, კონსერვატიული ხედვა და რადიკალური ფვრეტა (ალბათ ამიტომაცაა, რომ „სახლი ბატონი ბისვასისთვის" უნდა წაეიკითხოთ ფრანც ფანონის „კრულვით დაღდასმულნის" კვალდაკვალ, რომელიც ასევე 1961 წელს გამოიცა). ნაწარმოებში ბატონი ბისვასი წერას იწყებს, შესაბამისად რომანი აღწერს ავტორის საკუთარ გამოცდილებას მწერლად ჩამოყალიბების გრძელ და რთულ გზაზე, წერის, როგორც შექმნის პროცესის სირთულეს, სიტყვებთან ჭიდილს – შემოქმედებით ქმუნვასა და ხარჯვას – ბრძოლა, რომელიც მამიდან შვილს გადაეცა, მაგრამ მამაზე ნიჭიერ შვილს (სეეპერსად ნაიპოლი ადრევე მიხვდა, რომ მისი შვილი ოცი წლის ასაკში უკვე იმაზე ნიჭიერი მწერალი იყო, ვიდრე ის ორმოცისა). რომანის ბოლოსკენ არის ერთი ლამაზი პასაჟი, როცა თხრობა ფრთებს შლის და ამჟღავნებს ამ ურთიერთდაპირისპირებით გამოწვეულ ტკივილს (და ნუგეშსაც). ოჯახი საბოლოოდ ბატონი ბისვასის მოსანონ

სახლში გადადის საცხოვრებლად, ხოლო მისი ერთ-ერთი ვაჟი ანანდი (ვიდიას პროტოტიპი რომანში) სახელმწიფო დაფინანსებით ოქსფორდს მიემგზავრება. ბისვასის შვილების მოგონებები ფერმკრთალდება, ბავშვობისდროინდელი გამოცდილება შორს რჩება. ამას შორს ყოფნის ამნეზია ჰქვია. მწერალი, რომელიც უკვე ასაკში შესული საკმაოდ უგუნურად პრუსტს შეუტევს, ახალგაზრდობაში წერას ანორედ რომ პრუსტიანულად იწყებს:

პერიოდულად მოგონების ნერვი შეტოკდებოდა –
წვიმის მერე გუბეში ლურჯად არეკლილი ცა,
ბანქოს დასტა,
მოუხელთებელი ფეხსაცმლის თასმა,
ახალი მანქანის სუნი,
ხეებს შორის მოზუზუნე ქარის წუილი,
„ბავშვთა სამყაროს" მაღაზიის სუნი და ხმა,
რძისა და ქლიავის ჩირის გემო –
დავიწყებულ გამცდათა აჩრდილი –
გაძევებული, მიტოვეული
და ნერვებამშლელი.

ამ სიტყვებში ადვილად ამოვიცნობთ ჩვენს ახალგაზრდა მწერალს, თავის ლონდონის ბინაში სიტყვებთან ჭიდილში, წარსული მოგონებებით განვალებულსა და დაზაფრულს.

ჩრდილოეთ მხარეში,
როცა განშორების და მონატრების
ტკივილი ჯერ კიდევ ნედლია,
უეცრად ჩამობნელდება ბიბლიოთეკაში,
სეტყვა ფანჯრის მინებს ასკდება,
ტყავისყდიანი წიგნის დაწინწკლული ბოლო გვერდი კი
შემაწუხებელია:
შობისწინა კვირა
ხმაურიან და დახუთულ ტულსის მაღაზიაში.
დიდი დრო გაივლის, და თან ნელა,
სანამ დაკარგავენ მოგონებები ძალას და სიავეს,
და ტკივილიც ასატანი გახდება, ბავშობის მოგონებები კი
სიხარულითა თუ ქმუნვით ჩაეწყობიან რიგში
და დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილს.
წარსულს.

როდესაც ნაიპოლი ანანდ ბისვასზე წერს, სინამდვილეში საკუთარ თავზე წერს: ვიდია ოქსფორდში („უეცრად ჩამობნელებულ ბიბლიოთეკაში"), შემდეგ კი ლონდონში („სტრესებსა და შფოთვებს შორის გამორეული შვება"). ის წერს სამხრეთ ლონდონში მცხოვრებ ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც აწვალებს და ტანჯავს მოგონებები ტრინიდადზე, მაგრამ ეს თან ნეტარებას გვრის. ჩვენ ვხედავთ, რომ თავის ეპიკურ რომანზე მუშაობისას ის საკუთარ იარებს პირს უხსნის და თან იმავდროულად კურნავს კიდეც. „როცა მოგონებები ტკივილს აღარ გვგვრის, ჩაეწყობიან რიგში და დაუბრუნდებიან წარსულს." ახლა თვითონაც წავიდა, მაგრამ მისი წიგნი გვაბრუნებს წარსულში. კვლავ და კვლავ.

*The New Yorker, 2018 წლის 12 აგვისტო*

***ინგლისურიდან თარგმნა ნათია მეჩითიშვილმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე“**,

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

## 2019 წლის 8 ნომერი - 16 ლარი

2-10.

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848

9 770134 984002